საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი
სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

ნატო ყრუაშვილი

# სოფელი ხიზაბავრა

თბილისი 2009

(UDC)უაკ 94(479.22-22)
ყ-831

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია სოფელ ხიზაბავრის ისტორიული წარსული, XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საკითხი, წარმოჩენილია მესხ განმანათლებელთა ხიზაბავრაში მოღვაწეობა და ა.შ.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სამხრეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: სვიმონ გამსახურდია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ციური ლაფაჩი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კონსტანტინე ჩოლოყაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ყრუაშვილი

ISBN 978-99940-69-12-5

# წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა: ანტონ და იოსებ ხუციშვილების, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების, დომინიკე მუღაშაშვილის, მიხეილ ვარძელაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, პიო ბალიძის (ბალიაშვილის), მიქელ თარხნიშვილის ნათელ ხსოვნას. იმ ღირსეულ მამულიშვილებს, რომლებმაც დაიცვეს და წარმოაჩინეს ხიზაბავრის მდიდარი ისტორიული წარსული.... თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს ხიზაბავრელთა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში, მათი კულტურული დაწინაურებისა და განათლების წინსვლის საქმეში.

საკითხის დამუშავების იდეა მომაწოდა ცნობილმა ქართველმა მამულიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **სვიმონ გამსახურდიამ**.

ბატონ სვიმონს ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა მოვლილი და შესწავლილი ჩვენი კუთხე. გულწრფელად უყვარდა მესხეთი და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მესხებს. ამ გრძნობის ნათელი დასაბუთებაა სიცოცხლის ბოლო წლებში მის მიერ გამოცემული რომანიც: „ხერთვისის ბინდი“.

ბატონ სვიმონ გამსახურდიას მიმართ მინდა მადლიერება გამოვხატო იმ ნდობისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტს გამომიცხადა, რითაც მომეცა ჩემი მშობლიური სოფლის ისტორიის წარმოჩენის საშუალება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

*ავტორი*

# შესავალი

ხიზაბავრა ტიპიური ჯავახური სოფელია. იგი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს. მოძიებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დასახლება ივარაუდება გვიანი ბრინჯაოს — ადრე რკინის ხანიდან. ე.ი. ძვ. წ. აღ-ის პირველი ათასწლეულით. სოფლის სახელწოდება ორი სოფლის სახელთა: ხიზისა და ბავრის შეერთებით არის მიღებული.

სოფლის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიული ძეგლი მდებარეობს: ხიზების, ობოლეთის (IX-X სს.), ღართის (XIII ს.), „ღვთისმშობლის" (XVI ს.), ღარიბათ (XIX ს.), „იესოს გულის" (XIX ს.), უნაგირის (ნასოფლარი) ეკლესიები, ციხე (XIII საუკუნიდან), დარნები — მიწისქვეშა გვირაბები, რომლებზეც დგას სოფელი და რომელიც დღემდე მეცნიერულად შეუსწავლელია., სოფლის ტერიტორიაზე არსებობს ე. წ. „სამყინვარო", რომელიც სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებოდა, ასეთივე დანიშნულების იყო ე.წ. „ვარანტების აბანო", რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ისტორიული და სხვა მასალებით ირკვევა, რომ სოფელი ხიზაბავრა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა, როგორც სტრატეგიული ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. რამდენადაც მასზე გადიოდა სამცხისა და ჯავახეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა.

მოძიებული მასალებით ნათლად ჩანს, რომ ხიზაბავრაში ისტორიულად მაღალ დონეზე იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის ძირითადი და დამხმარე დარგები, მოსახლეობის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მევენახეობასა და მეთევზეობას. მაღალ დონეზე იყო განვითარებული შინამრეწველობა. კერძოდ, ქვის, ხის, თიხისა და ტყავის დამუშავება.

ხიზაბავრის ისტორიაში საყურადღებოა ისიც, რომ მის მოსახლეობას, ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე, კათოლიკობის მიღება მოუხდა. მაგრამ მან ჯავახეთის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით არ გაიზიარა და თავიდან აიცილა ეროვნული გადაგვარება — გასომხება.

ხიზაბავრის ყოფა-ცხოვრებაში საუკუნეთა მანძილზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო და რელიგიურ დღესას-წაულებს. აქ ძირითადად აღინიშნებოდა: შობა-ახალი წელი, ბედობა, წყ-ალკურთხევა, ყველიერი, აღდგომა, ვარდი მოფენობა, ფერისცვალე-ბა. აღნიშნულ დღესასწაულებთან დაკავშირებით მრავალი წეს-ჩვეულება და რელიგიური რიტუალი ფიქსირდება.

სოფლის ისტორიას ამდიდრებს და საინტერესოს ხდის აქ განვითარებული ისტორიული მოვლენები. კერძოდ, მეფე აშოტ კუროპალატის მიერ არაბი სარდლის ხალილას სასტიკი დამა-რცხება და ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებული მეფე ერეკლე II-ის ნადიმი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთში ხიზაბავრა ფალავნების კერად იყო ცნობილი, აქაურ ფალავნებს ხიზაბავრელობით მოიხსენიებდნენ.

ხიზაბავრა თავისი მდიდარი წარსულით ყოველთვის იწვევდა მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესს. მისადმი ყურადღება გან-საკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნეში. ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ივანე და კონსტანტინე გვარამაძეები, ზაქარია ჭი-ჭინაძე, ილია ალხაზიშვილი, ივანე როსტომაშვილი და სხვები ხიზაბავრის შესახებ სისტემატურად აქვეყნებდნენ წერილებს და აქ მოძიებულ მასალებს ქართული პრესის ფურცლებზე (გაზ. „ივერია“ „დროება“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, „მოამბე“, „მოგზაური“, „განათლება“ და ა. შ.). მოგვიანებით (XX ს.) საინტერესო სტატიები გამოქვეყნდა პავლე ფირფირაშვილის მიერ, სოფელ ხიზაბავრის წარმოჩენაში დიდი დამსახურება მიუძღვის მიხეილ ველჯანაშვილს. მან გამოსცა „ხიზაბავრის მეგზური“ (1974წ.) და „ხიზაბავრის განთიადი“ (1982წ). ამას-თანავე, ზურა ქუქჩიშვილის მიერ მომზადდა სადისერტაციო ნაშრომი — „სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვ-ლევა სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე“ (1998წ.). ასევე გამოიცა გიორგი დათაშვილის „ხიზაბავრელები დიდ სამამულო ომში“. ხოლო ჩვენს მიერ წლების მანძილზე მომზადებულ იქნა მრავალი სტატია და საკონფერენციო მოხსენება: „სოფელი ხიზაბავრა პრესის ფურცლებზე“ (გაზ, „ასპინძა“, 1985, №141, 142, 143), „მესხეთი და კათოლიკური სარწმუნოება“ (გაზ. „ასპინძა“, 1989,

№113), მიხეილ ვარძელაშვილი (გაზ. „მესხეთი“, 1990, №2), იოსებ ხუციშვილი (გაზ. „სამცხე“, 1991, №150), „ღმერთმა აღარ მოგაბრუნოთ უკან“, (გაზ, „ასპინძა“, 1990, №7), „ვინმე მესხი - ივანე გვარამაძე (ხიზაბავრაში მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდი), (გაზ. ასპინძა, 1991, №102), „საზოგადო მოღვაწენი სოფელ ხიზაბავრიდან“, „ივანე გვარამაძე და ხიზაბავრის სკოლა“, „ბავშვის მოვლისა და აღზრდის წესები (სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სოფელ ხიზაბავრის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, რომელიც ეფუძნება საარქივო და ველზე მოპოვებულ მასალებს, წერილობით წყაროებს, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული და პრესის მასალებს, ზოგად და სპეციალურ ლიტერატურას. მოპოვებული მასალის განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ხიზაბავრის ისტორიაში ზოგადად აისახება სამხრეთი საქართველოს ისტორია, ყოფა და კულტურა.

# ხიზაბავრა — „ჯავახეთის კარიბჭე“

ხიზაბავრა ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე სოფელია სამხრეთ საქართველოში. მისი ტერიტორიული მდებარეობა ყოველთვის საკამათო საკითხს წარმოადგენდა. მცხოვრებთა მტკიცებით იგი სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობს, საზღვარი გადის ჩიხორიშის, საროს, ვარანტის, აბაზას ხევებზე და მთავრდება წვერის მინდვრით. აქედან გამომდინარე სოფელი უშუალოდ სამცხის ფარგლებშია მოქცეული, ხოლო მის აღმოსავლეთით მიწები ჯავახეთს ეკუთვნის. აღნიშნული საკითხისადმი ასეთ დამოკიდებულებას ნიკო ბერძენიშვილი შემდეგნაირად ხსნის: „სარო-ხიზაბავრელები არც სთვლიან თავს ჯავახებად, სამცხელებად მოაქვთ თავი. საფიქრალია, რომ ეს ნაგვიანევი ამბავია, როცა „ჯავახში“ სომეხი იგულისხმება ვიდრე ძველი დროის მოვლენა. ხიზაბავრელთ დღესაც მოსდევთ ძველი განწყობა სამცხელებად მოაქვთ თავი“.[1]

ხიზაბავრა საუკუნეების მანძილზე ჯავახეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტად იყო მიჩნეული დევი ბერძენიშვილის მოსაზრებით: „ხევისპირა ზეგანზე იყო ჯავახეთის ყველა მნიშნნელოვანი პუნქტი ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად მოწინავე: კუმურდო, სარო, ხიზაბავრა, კვარშა, ჩუნჩხა...“[2] თ. ჩიქოვანი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ფეოდალურ ხანაში ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიის საზღვრებში იყო მოქცეული კოლა-არტაანის მხარე და დღევანდელი ასპინძის რაიონში შემავალი ხიზაბავრა-თოკისა და ნაქალაქევ-თმოგვის ზონის სოფლები“.[3] ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხიზაბავრა „ჯავახეთის კარიბჭედ“ არის წოდებული.

ამჟამად ხიზაბავრა ასპინძის რაიონში შემავალი სოფელია. მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს. რაიონული ცენტრიდან იგი 18 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო ახალციხიდან (ე.ი. უახლოესი სარკინიგზო ხაზიდან) კი — 48 კმ-ით.

სოფელი გაშენებულია საბურთლების მთის კალთებზე. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ნასოფლარი „ვარანტები“,

სამხრეთით — ვაკე „ორმანიები“, დასავლეთით — „მინდორები“ და ნასოფლარი „ხიზა“. მას ირგვლივ აკრავს პატარა მთები, რომლებიც ქმნიან ხევ-ღელეებს: ხიზიხევი, ხმელხევი, სარ-ოხევი, ორმანახევი, აბაზასხევი, ვარანტისხევი, ჭალისხევი, დედოფლისხევი, სანაქრისხევი, კაპნისხევი, ჩრდილისხევი, ხიხატისხევი, ბრაწნალისხევი, ლეკინაჩეხისხევი.

სოფლის ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება დამალისა და ობოლეთის ფოთლოვანი და თეთრობი ჭობარეთის წიწოვანი ტყეები (ეს უკანასკნელი XX საუკუნის დასაწყისში ხიზაბავრის სათემო მიწის ფონდში შედიოდა და წარმოადგენდა მის საზაფ-ხულო იალაღს), აღმოსავლეთით კი სოფლები: თოკი და ვარგავი, სამხრეთით — სოფელი სარო, დასავლეთით — ასპინძა.

დევი ბერძენიშვილის მითითებით სამცხე-ჯავახეთის სოფლები ძირითადად გაშენებული იყო მთის კალთებზე ან ქარაფის (კლდის) პირზე.[4] გამონაკლისს არც სოფელი ხიზა-ბავრა წარმოადგენს. განსახლების ასეთი ტიპი გარემოებით იყო განპირობებული და მრავალი მიზეზით აიხსნებოდა: კერ-ძოდ, ქართველმა გლეხი, რომელმაც კარგად იცოდა მიწის ფასი, ცდილობდა რომ ვარგისი, ვაკე ადგილი სახნავ-სათესად გამოეყენებინა, ხოლო შედარებით ცუდი, კლდოვანი ადგილი — საცხოვრებელად. გარდა ამისა, მტერთა ხშირი თავდასხმა მოსახლეობას აიძულებდა, რომ შედარებით ძნელად მისადგომ ადგილზე (მთის ფერდობზე, კლდის თავზე) დასახლებულიყო და ამიტომაც არიდებოდა ვაკე ადგილზე ცხოვრებას. ასეთივე მოსაზრება ჰქონდა ალექსანდრე ფრონელს.[5]

სოფელი ხიზაბავრა მთის ფერდობზე გაშენებულ, მჭიდროდ დასახლებულ, ტერასული ტიპის სოფელს წარმოადგენს. მჭიდრო დასახლებაც მტერთა ხშირი შემოსევებით იყო გან-პირობებული. მტრის უეცარი თავდასხმის დროს მოსახლეობა თავის დაღწევას ახერხებდა ერთი სახლიდან მეორეში გად-ასასვლელი საიდუმლო კარებითა და მიწისქვეშა გვირაბებით ანუ დარნებით.

სოფელი სამ ნაწილად იყოფოდა: ნანეხვი, შუა უბანი, საბუზარა-უნაგირა (ჯოლდა). სოფლის გამყოფ ნაწილებად

პირობითად მიჩნეულია ორი წყარო: ე.წ. სოფლის წყარო და წიპათ წყარო. თითოეული ნაწილი სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლების მსგავსად იყოფოდა უბნებად. თითოეულ უბანში ერთი გვარის მოსახლენი ცხოვრობდნენ. კერძოდ, ნანეხვში შედიოდა შემდეგი უბნები:

1. კატარინათ უბანი (მამუკაშვილების);
2. თათარპეტეთ უბანი (პოსოშვილების);
3. მურადათ უბანი (მურადაშვილების).

შუა უბანში შედიოდა:
1. წყაროს უბანი;
2. ხუციენთ უბანი (ხუციშვილების);
3. გოგალათ უბანი (გოგალაძეების);
4. კოშორათ უბანი (ხიხალაშვილების);
5. კანკროთ უბანი (ზურაბაშვილების);
6. ველჯანათ უბანი (ველჯანაშვილების).

უნაგირა-საბუზარას უბანში შედიოდა:
1. საბუზარას უბანი.

1945 წელს ბაგრატ ეფრემის ძე პაპაშვილმა საბუზარას უწოდა ჯოლდა – სოფელ ჯოლდის მიბაძვით. (ჯოლდა იყო ქურთებით დასახლებული სოფელი, მდებარეობდა ასპინძის რაიონში, ამჟამად ნასოფლარია).

ამჟამინდელი მდგომარეობით ხიზაბავრაში, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლებში დარღვეულია გვარების მიხედვით ცალკეულ უბნებად დასახლების ძველი ტრადიცია.

სოფელი ზღვის დონიდან 1740 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ზედაპირი მთაგორიანი აქვს, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე. ჩრდილოაღმოსავლეთით ქვანაცროვანი და შავმიწა ნიადაგია, ადგილ-ადგილ კი თიხნარი, ხოლო ძირითადი სახნავ-სათესი ფართობი უფრო კირნარი ნიადაგით ხასიათდება... ჰავა კონტინენტურია. ზამთარი მკაცრი იცის, იანვრის თვის

ტემპერატურა საშუალოდ $-15^0$-დან $-25^0$-მდე შეადგენს. ზაფხული ცხელია, ივლის-აგვისტოს თვეების ტემპერატურა $+25^0$-დან $+30^0$-მდე აღწევს. წლიური საშუალო ნალექები მოდის 500-800 მმ. გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები. დასავლეთის ქარებს მოაქვთ ნალექები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის ქარებს ზაფხულში სეტყვა, ზამთარში — ქარბუქი და ყინვა. იცის ნაგვიანევი ყინვები, რომელიც ხეხილისათვის ძალიან მავნეა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან დაახლოებით 1800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ხიზაბავრის საზაფხულო საძოვრები ე.წ. „ვანის" სახელწოდებით. იგი წარმოადგენს შესანიშნავ სათიბს და საძოვარს: მის ბაზაზე ამზადებენ მაღალი ხარისხის პირუტყვის საკვებს, აქვე არის საძოვრები, პირუტყვს ამყოფებენ ივნისიდან ნოემბრამდე (ხდება პირუტყვის გამოზამთრებაც).

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობს ობოლეთისა და თეთრობი ჭობარეთის ტყეები. სადაც ხარობს: წიფელა, ვერხვი, რცხილა, მუხა, თხილი, პანტა, კოწახური, ტირიფი, ასკილი, ტყემალი, კუნელი, ნეკერჩხალი, ფიჭვი, ჭნავი.

ეს ტყეები მდიდარია ფრინველებითა და ნადირით. იქ ბუდობს: კაკაბი, ხოხობი, ოფოფი, კაჭკაჭი, ძერა, მერცხალი, შოშია, წიწკანა, ბუ, ქორი, კოდალა, ბეღურა, გნოლი, გარეული იხვი და ბატი. ბინადრობს: მგელი, მელა, ტურა, კურდღელი, ირემი, მაჩვი, ციყვი, გარეული ღორი, კატა, დათვი.

სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება ქვეწარმავალთა შემდეგი სახეობანი: ხვლიკი (მწვანე), კუ, გველგესლა, ანკარა, მორიელი, აქვეა გომბეშო და ტბის ბაყაყი. ხოლო სოფლის სამხრეთით მდ. მტკვარში გავრცელებულია თევზის შემდეგი სახეობანი: ლურჯა, ციმორა, ნაფოტა, ღვანა ანუ ლორჯო, მურწა ანუ წვერა, ლოქო, ხოლო ვანის წყალში — კალმახი.

გეოლოგიური თვალსაზრისით სოფლის ტერიტორიაზე მოიპოვება თიხის, სილისა და ბაზალტის ქვის საბადოები. თიხის არსებობა ხელს უწყობდა მეთუნეობის განვითარებას, რაც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება. კერძოდ, კონსტანტინე გვარამაძის მიერ მოძიებულ მასალებში

ვკითხულობთ: „ხიზაბავრაში ძველად ბევრი კეთდებოდა ხელით თიხის ჭურჭელი. ჯამი, კოჭობი, ქოთანი, თონე და სხვა ჭურჭლები, რომლის მასალა თიხა ადგილობრივი იყო. კეთდებოდა აგრეთვე ჩარხითაც.[6]

რაც შეეხება ბაზალტის ქვას, მას დაახლოებით 300 ჰა ფართობი უკავია. კერძოდ: წვერი, კლდეწითლები,ხარძლები, ნიჯგორის ყელი, ჩანჩხერელა, სამყინვარო, ხიზა, საგოგაო და ა. შ. აქ არსებული ქვის ბაზაზე, უახლოეს წარსულში, სოფლის ტერიტორიაზე რამოდენიმე ქვის ქარხანა მუშაობდა, საიდანაც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ დამუშავებული ქვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამოდენიმეჯერ განხორციელდა გეოლოგიური დაზვერვები ნავთობის ძიებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1968 წელს ჩატარებული დაზვერვის დროს, სოფლის ჩრდილოეთით დაახლოებით 1-1,5 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა წყალი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაჩნდა წყალსაცავი.

ხიზაბავრა ასევე მდიდარია სამკურნალო და სასმელი წყლით. აკაკის „თვიურ კრებულში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ხიზაბავრა გაშენებულია მაღლობზე და შვენიერათ გადასცქერის წინ ვაკე მინდვრებს... აქაური წყალი მეტათ საამო სასმელია, ბევრი მათგანი სამკურნალო თვისებებისაც არის. მაგალითად ვარანტების აბანო მუნსა რგებს. ამ მიდამოში, რადგან ეს ტყიან მთას წარმოადგენს, მრავალი ცივი წყაროებიცაა. მათ შორის შესანიშნავია: წვერის, საღორიის, ობოლეთის, კლდეკარის, კოდის, ხიზის, სასოფლო ჭალის, აბაზას, ხიზაბავრის წყაროები“.[7] რაც შეეხება აქ მოხსენიებულ ვარანტების აბანოს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მას იყენებენ ე.წ. „ქარებისაგან“ განსაკურნებლად (მასზე ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ).

ხიზაბავრის ტერიტორიაზე მდებარეობს აგრეთვე „საცივი“. ვახუშტის ცნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად ყოფილა არა თუ ბუნებრივი, არამედ ხელოვნური საცივები, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას შეეძლო თოვლითა და ყინულით სარგებლობა, რომელსაც სამკურნალო და სამეურნეო საქმიანობის მიზნით იყენებდნენ. საცივები მოთავსებული ყოფილა როგორც კლდეში, ისე ქვავნარში.

ხიზაბავრის „საცივი“ მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე — ქვავნარში, სოფლიდან 4კმ-ის დაშორებით. მას ადგილობრივი მოსახლეობა „სამყინვაროს“ უწოდებს. 60-იან წლებში იგი სათანადოდ იქნა შესწავლილი პავლე ფირფირაშვილის მიერ. მისი წერილი „სოფელ ხიზაბავრის ბუნებრივი საყინულე“ გვაცნობს საცივის აღწერა-დახასიათებას: „სამყინვაროს დაახლოებით 2000 კვ.მ. ფართობი უჭირავს. ის რამოდენიმე ათეულ სხვადასხვა სიდიდის ორმოსაგან შედგება. ორმოთა უმრავლესობა ისეთია, რომ იქ დიდი ტანის მქონე ადამიანის ჩასვლა შეუძლებელია. ორმოები ზაფხულში ჰიგიენურადაა დაცული, მათი უმრავლესობა მაისისათვის თითქმის ამოვსებულია ყინულით. მოსახლეობის ცნობით, ორმოებში ყინულის შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ზამთრის ხანგრძლივობაზე და ზაფხულის წვიმებზე. თუ ზაფხული წვიმიანი არაა ყინული აგვისტო-სექტემბრამდე ინახება, საშუალოდ კი ივლისამდე სძლებს“.[8] დასახელებული საცივის სამკურნალო მიზნით გამოყენებას XI-XII საუკუნეებიდან ვარაუდობენ. დღეისათვის ექიმბაშები მას ისევ იყენებენ სამკურნალოდ, მწყემსები კი წყურვილის მოსაკლავად.

რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას ლეგენდის მიხედვით, მიღებული უნდა იყოს ორი სოფლის სახელის შეერთებით (ხიზა+ ბავრა= ხიზაბავრა). დღეისათვის ხიზა წარმოადგენს ნასოფლარს, ხოლო თვითონ სოფელი ბავრის ტერიტორიაზეა გაშენებული. ლეგენდის მიხედვით „დღევანდელი ხიზაბავრის ტერიტორიაზე ორი სოფელი: ხიზა და ბავრა მდებარეობდა. მათ შორის გაუვალი ტყე ყოფილა, უგზოობის გამო მის მცხოვრებთ არ სცოდნიათ ერთმანეთის არსებობა. ზამთრის ერთ დღეს ბავრელი კაცი წყაროზე წასულა. მას თოვლზე ადამიანის ნაფეხურები შეუმჩნევია, ნაკვალევს გაჰყოლია და ხიზაში მისულა, სადაც კარგად მიუღიათ. ხიზელები გადასულან ბავრაში, მოსწონებიათ იქაურობა და სამუდამოდ იქვე დასახლებულან. ურთიერთის პატივისცემით თავიანთი სოფლის სახელები შეუერთებიათ“. ამასთანავე, ხალხში დაცულია ასეთი თქმულებაც, რომ თითქოს მხოლოდ ხიზა ყოფილა დასახლე-

ბული. იმის გამო, რომ ბავრაში კარგი წყარო იყო, ხიზელები ბავრაში გადასულან და დამკვიდრებულან. თავიანთი სოფლის სახელიც არ დაუკარგავთ. იგი შეუერთებიათ ბავრასთან და მიუღიათ ახალი სახელწოდება ხიზაბავრა.[9]

სოფლის სახელთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ივანე გვარამაძეს. აი რას წერს იგი: „ხიზაბავრა რთული სახელია ორი სოფლისა, ხიზისა და ბავრისგან წარმოსდგება. ოთხი ვერსით შორს არის ხიზა ბავრითგან. ბავრა ტერასულია, ნიშნამს ქვიან ადგილსა, სადაც გაშენებულია სოფელი. ხიზა კი დიდი ხნის ნაოხრალია, წოდებაც წარმომდგარა მრავალს დარნებსა და სახიზარებისაგან."[10]

ენათმეცნიერული თვალსაზრისით ხიზ-ი ნიშნავს გაბზარული თიხის ჭურჭლის საგლესს, ბამბისა და დანაყილ-გაცრილ თიხის ნარევს ცვილში ან თიხის ქონში მოდუღებულს. ხოლო ხისა — იგივეა რაც ხეზი. ხეზი კი წარმოადგენს ძაფზე მომსხო ნართს (ჩვეულებრივი სელისას ან კანაფისას)[11]. თუ ჩვენ ამ განმარტებებს გავიზიარებთ, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივმა თიხის არსებობამ განაპირობა ამ სახელწოდების წარმოშობა და რომ აქ უძველესი დროიდან ადგილი უნდა ჰქონოდა საფეიქრო საქმიანობის განვითარებას. ამის ფაქტობრივ დასაბუთებას კი გვაძლევს სამცხე- ჯავახეთის ტერიტორიაზე მოძიებული არქეოლოგიური მასალები. კერძოდ, წითელი თიხის კვირისტავი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. აღრიცხვის VI-V ათასწლეულებით. იგი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. აგრეთვე მოგვეპოვება უფრო გვიანი პერიოდის (III ათასწლეულის) მასალები: ძვლის კვირისტავი, თიხის ჭურჭელი ბადისებური ორნამენტებით და ა. შ.

ენათმეცნიერი გრიგოლ ბერიძე კი ხიზაბავრას მიაკუთვნებს ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, სადაც კნინობითობის ა- ბოლოსართს შეუძლია გეოგრაფიული სახელების მწარმოებელი სუფიქსის ფუნქცია. მიუთითებს, რომ ა- ბოლოსართის ფუნქცია დაბლოებულია შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში: ოთა, წყორძა, ხიზაბავრა.[12]

ამრიგად, უდავოა რომ ხიზაბავრა რთული სიტყვაა. და შედგება ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან და თითოეულ მათ-

განს თავისი მნიშვნელობა აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში გვხვდება ამავე სახელწოდების სხვა გეოგრაფიული პუნქტები. მაგალითად, სოფლები ხიზა და ახალხიზა — ლაგოდეხის რაიონში, ბავრა — ახალქალაქის რაიონში.

სოფლის ხნოვანებას არქეოლოგიური მასალა განსაზღვრავს. კერძოდ, 1953-1956 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს აღმოჩენილ იქნა ცული და შუბის წვერები, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს ეკუთვნის და ბრინჯაოს თოხები უკვე შემდგომი ეტაპისა.[13] ამის საფუძველზე ადამიანის დასახლება ხიზაბავრის ტერიტორიაზე განისაზღვრება გვიანი ბრინჯაოს ხანა — ადრე რკინის ხანით, მაშინ, როდესაც აღნიშნული დაზვერვის დროს აღმოჩნდა უფრო ადრეული პერიოდის მასალა. კერძოდ, დაზვერვის მასალებში ვკითხულობთ: „ხარის საკულტო გამოსახულებებს ხშირად ახალი მთვარის მოყვანილობა აქვს. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის კერათა რქისებური მოყვანილობა ან მათი მსგავსი სამკაულები აღმოჩენილი ცხინვალის ნაცარგორაზე, მესხეთში (ხიზაბავრა), ურბნისთან — „ტვლეპია ქოხზე".[14]

სრულიად შემთხვევით, 1990 წელს სოფლის მკვიდრის გიორგი პაპაშვილის მიერ საინტერესო არქეოლოგიური მასალა იქნა აღმოჩენილი სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ე.წ. „უნაგირას" მთის ფერდობზე. აღნიშნული ადგილი წარმოადგენს უძველეს ნასოფლარს. აქ დღესაც კარგად შეიმჩნევა ზღუდე, სხვადასხვა ნაგებობებისა და ეკლესიის საძირკვლები. სწორედ იქ აღმოჩნდა ქვის ჯვარი, წითელი და ფერადოვანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. თიხის ჭურჭლის ძირებზე გამოკვეთილად შეიმჩნევა სხვადსხვა ხაზოვანი ფიგურები. მოხსენიებული მასალებით დაინტერესდა არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი. მან ეს ფიგურები მიიჩნია უძველესი დამწერლობის ნიმუშებად, მისივე მითითებით ასეთივე გამოსახულებიანი თიხის ჭურჭელი მოძიებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ეს პირველ აღმოჩენას წარმოადგენს სამხრეთ საქართველოში (არქეოლოგიური მასალა ინახება სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში).

ხიზაბავრის ხნოვანებას ასაბუთებს აგრეთვე სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ნასოფლარები და ეკლესიები: ხიზა, ვარანტები, უნაგირა, ოსპანაური, ობოლეთი, ღართა, რომლებიც კვლევის საფუძველზე გვაძლევენ ჯავახეთის კიდევ ერთი სოფლის ისტორიის წარმოჩენის საშუალებას.

ნასოფლართა შორის არის უნაგირა. იქ დღესაც კარგად შეიმჩნევა ზღუდე, რომლის კედლები მშრალი წყობით არის ნაგები, იგი საკმაოდ დიდ ფართობს შემოსაზღვრავს. გალავნის შიგნით შეინიშნება ასეთივე სტილით ნაშენი ნაგებობათა ნაშთები, სამხრეთ-დასავლეთით ნაეკლესიარი სჩანს. ვფიქრობთ, არქეოლოგიური გათხრები მეტ სინათლეს მოჰფენს მას.

რაც შეეხება ნასოფლარებს: ვარანტებსა და ოსპანაურს უკვე XVI საუკუნეში, გურჯისტანის ვილაეთის დავთრის მიხედვით, ხიზაბავრის სათესველად არის მიწერილი სოფელ გომის ვენახებითურთ.



უძველესი დამწერლობის ნიმუში

# ხიზაბავრის „დარნები“

სამხრეთი საქართველოს მრავალი სოფლის და მათ შორის ხიზაბავრის ტერიტორია „დარნებით“ — მიწისქვეშა სამალავებით არის დასერილი.

1953-1956 წლების არქეოლოგიური დაზვერვებისას არქეოლოგთა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მიწისქვეშა გვირაბებმა მიიპყრო: „მესხეთ-ჯავახეთშიც, როგორც მთელ საქართველოში კარგად არის ცნობილი მიწისქვეშა გვირაბები, რომლებიც ემსახურებოდა მოსახლეობას თავდაცვაში მტრის თავდასხმის დროს. საქართველოში ასეთ ნაგებობებს „დარანი“ ჰქვია“.[15] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით დარანი არის „სახლი მიწის ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“. ილია მაისურაძე მიუთითებდა, რომ სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი სოფელი: ხიზაბავრა, სარო, ერკოტა, დადეში, მუსხი, ჭობარეთი, ღრელი, ზველი - დარნების მთელ სისტემაზე დგასო და თავის დროზე მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ მინიჭებული კუთხის საბრძოლო — ისტორიულ ცხოვრებაში. და რომ ეს ნამდვილად ასე იყო ამას ასაბუთებს მრავალი ლეგენდა. ხოლო მის მეცნიერულ შესწავლას ადგილი არ ჰქონია.[16] ხიზაბავრის ტერიტორიაზე არსებული დარნებით ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს დაინტერესდა ქართული პრესა: „დარნების ერთი ტოტი მტკვრამდის ჩადის, ერთი ტოტიც ნიჯგორის მაღაროებისაკენ მიდის. ერთი კვალიც გოგალათ ნაფუზრებისაკენ. დარნებს დიდრონის ქვისკარებით ჰკეტავდნენ, რომ ლეკი და თათარი არ შემოსულიყო“[17] — ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“. ხოლო „აკაკის თვიური კრებული“ ასეთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: „დათათ სერი. აქ დარანია, რომელშიც ორი ოთახი და ერთი საყდარია. საყდარში ტრაპეზთან ქვაზე ჯვარი იყო. ეს დარანი აღმოაჩინა მღვდელმა ივანე გვარამაძემ 1886 წელს“.[18] როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს ივანე გვარამაძეს კარგად უნდა ჰქონოდა შესწავლილი ხიზაბავრის ტერიტორიაზე განლაგებული დარნების სისტემა. მან ამ საკითხთან დაკავშირებით

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში რამოდენიმე საინტერესო სტატიაც მოათავსა. 1901 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ წერდა: „დარნებს ალაგ-ალაგ სასუნთქი, ქვებში ამოჭრილი კოკროჭინები აქვთ ჰაერის შესასვლელად. ამათში ბევრნაირი სამალავები არის ქონებისა და საცხოვრები სენაკები აქეთ-იქით მთელ სოფლეულად. ასეთი დარნებია მაგალითად ხიზაბავრას (ჯავახეთში). სენაკებში დღესაც ჰყრია გროვა-გროვა ნახშირები პურის საცხობად და საჭმლის მოსამზადებლად. 1700-იან წლებში დასცემიან ხიზაბავრას სპარსელები თუ ოსმალ-ლეკნი... სოფლად ჩაკეტილან დარნებში სრულ ორ თვეს.“[19] მისივე მითითებით სოფლის წყაროსთან ახლოს ყოფილა დარნის ერთ-ერთი კარი.

უნდა აღინიშნოს, რომ დარნები ერთმანეთს უკავშირდებოდა და თითოეულ მათგანში ჩასასვლელი თითქმის ყველა სახლში იყო. მისი ერთი ტოტი მდ. მტკვრის ნაპირზე ჩადიოდა, რომელიც დარნებში ჩამალულ ხალხს წყლის პრობლემას უხსნიდა. მთხრობელთა მტკიცებით ხალხი დარნებში მხოლოდ მაშინ ჩადიოდა, როცა მტრის უეცარი თავდასხმისას გაქცევას ვერ მოასწრებდა. და თუ გაიქცეოდა თავის სარჩო-საბადებელს დარანში აბინავებდა.

დარნებთან დაკავშირებით ხიზაბავრაში ზეპირსიტყვიერებამ მრავალი ლეგენდა შემოგვინახა. ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით სოფელში თურქები უეცრად შემოჭრილან. მოსახლეობას გახიზვნა ვერ მოუსწრია და დარნებში ჩასულან. დრო გადიოდა და მტერი სოფლის დატოვებას არ აპირებდა თურმე. ვერაფრით ახსნეს ხალხის უეცარი გაქრობა. დარნებში ჩასულმა ხიზაბავრელებმა კი ხერხს მიმართეს: მათ მტკვარში დაიჭირეს თევზი. ე.წ. „ცოცხალი“, გამოაცხვეს ლავაში — მესხური პური და გამთენიისას სოფლის წყაროსთან გაშალეს სუფრა. ამ სანახაობით შეშინებულ მტერს სოფელი ხელუხლებლად დაუტოვებია.[20] ჩვენამდე მოღწეული ლეგენდების გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ავბედობის ჟამს იარაღთან ერთად დარანიც თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. ამასთანავე ხალხს რწმენის შენარჩუნებაში ეხმარებოდა, მიწის ქვეშ მოწყობილი იყო დიდი სამალავები, სადაც საეკლესიო ნივთები

ინახებოდა. ამ ფაქტზე მესხი განმანათლებელი კონსტანტინე გვარამაძეც მიუთითებდა: „ხიზაბავრაში ყოველი ფეხის წარდგმაზე ბევრს სიძველეს ნახამს უცხოთ მოსული, იქ აუარებელი დარნებია. შიგ ოთახები და ეკლესიებია.“[21]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარნებმა ხიზაბავრელებს უკანასკნელი სამსახური გაუწია 1918 წელს თურქთა შემოსევების დროს. გ. გოგოლაძის გადმოცემით საეკლესიო განძი იაკობ ბაბელაშვილის დარანში შეუნახიათ. თათრებს შემთხვევით აღმოუჩენიათ იგი და იქ დაცული მარიამ ღვთისმშობლის ძეგლისათვის ხელები მოუმტვრევიათ. გადმოცემით ერთ-ერთი მათგანი იქვე მომკვდარა, მეორე კი ჭკუაზე შეშლილა. 1919 წლის თალანის (შემოსევის) დროს ხალხს სამალავად ნასოფლარ ხიზის დარნებიც გამოუყენებიათ.

მთხრობელთა გადმოცემით, დარნების კედლები ქვით იყო ნაშენი, მასში ჩასასვლელი მოზრდილი ფიქალებით ყოფილა დახურული. გვირაბები იმდენად მოზრდილი ყოფილა, რომ ადამიანს გამართულად შეეძლო მოძრაობა. დარნებს ალაგ-ალაგ საჰაერო ერდოებიც ჰქონდა დატანებული. სოფლის მოსახლეობამ, წინაპართა გადმოცემით, დღესაც კარგად იცის დარნების კონკრეტული ადგილმდებარეობა და მათში ჩასასვლელი. როგორც უშუალოდ სოფელში, ისე მის ნასოფლარებში — ხიზებსა და ვარანტებში, დარნები მივიწყებულია და დღემდე არავის უცდია მათი მეცნიერული შესწავლა და შიგ ჩატოვებული საიდუმლეობების გახსნა. სავარაუდოა რომ მათი დიდი ნაწილი ისევ დაუზიანებელი იქნება — ამას გვაფიქრებინებს ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა. ეკატერინე ხუციშვილის გადმოცემით მის ძველ სახლში მდებარე დარნის ჩასასვლელში მიწა დროდადრო დაბლა იწევდა. ერთხელ როცა შემთხვევით წყალი დაიღვარა ჩასასვლელი მთლიანად ჩავარდა დაახლოებით ერთი მეტრის დიამეტრით. მისი სიღრმის გაზომვა მოხერხდა 5-6 მეტრამდე. ანალოგიური შემთხვევები ბევრია სოფელში. აღსანიშნავია ისიც, რომ გელა შალვას ძე ლეკიშვილის სახლის ქვეშ დღესაც არის კარებიანი დარანი, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულებით იყენებენ.

ვფიქრობთ, ხიზაბავრის დარნები მეცნიერულ შესწავლას იმსახურებს. რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს და საინტერესოს გახდის სოფლის ისედაც საინტერესო ისტორიას.



გელა შალვას ძე ლეკიშვილის სახლი



კარებიანი დარანი

# ობოლეთის ეკლესია

სოფლის სიძველის მაჩვენებელია აგრეთვე ობოლეთის ეკლესიის ნაშთები, რომელიც ხიზაბავრის ჩრდილოეთით – 7-8 კმ-ის დაშორებით ობოლეთის ტყეში მდებარეობს. მან საზოგადოების ყურადღება XIX საუკუნის ბოლოს მიიქცია. აი, რას წერდა მის შესახებ ცნობილი მესხი განმანათლებელი ივანე გვარამაძე: „ძველს ეკლესიებში შესანიშნავია კათოლიკეთა უდის ეკლესია, ალასტნის ეკლესია. ამ ეკლესიის ამოსავლის კანკელთან ხუცური ნაწერებია, მაგრამ მეტის-მეტად ძველის-ძველი ხუცურია, არ იკითხება, ამნაირივეა ხიზაბავრის ტყეში ობოლეთის ეკლესიის წარწერა. არც ეს იკითხება. ამნაირ ეკლესიებს კედლებზედ ნახატი არც ჯვარი აქვსთ, ტრაპეზეს ქვებიც მეტად მაღალია. მე მგონია, ესენი წინად უნდა იყვნენ აშენებულნი. ამიტომ, რომ ჯვრების გამოსახვა ეკვდერ ეკლესიებზედ უფრო კონსტანტინეს შემდგომ შემოვიდა ხმარებაში“.[22] ე.ი. ივანე გვარამაძის ვარაუდით ეკლესია არა უგვიანეს X საუკუნის ძეგლს წარმოადგენს. ასეთივე აზრი ჰქონდა პავლე ფირფირაშვილს, რომელმაც XX საუკუნის 50-იან წლებში შეისწავლა ეს ძეგლი და დაინტერესდა მისი წარწერით: „ობოლეთის ეკლესიის სარკმლის თავზე, გათლილ ქვაზე ამოჭრილია ერთსტრიქონიანი დაქარაგმებული სიტყვებისაგან შემდგარი წარწერა. სამწუხაროდ ქარაგმების გახსნა და წარწერის ამოკითხვა ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა. სავარაუდოა იგი გადმოსცემდეს შემკეთებლის ან ამშენებლის სახელსა და ვინაობას... ამ წარწერაში ასოების ნაწილი შესრულებულია შებრუნებული წესით. ამგვარი წესით შესრულებული წარწერა გვხვდება უჯარმის ციხის (X-XI სს.) ეკლესიაზე. ამ წარწერის უახლოეს პარალელს წარმოადგენს წმ. გიორგის ეკლესიის (X ს.) შიგნით არსებული წარწერა. თ.ბარნაველი ობოლეთის ეკლესიის შესრულების თარიღად ვარაუდობს X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის მიჯნას.[23]

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში ობოლეთის ეკლესია კვლავ მოექცა მეცნიერთა და არქეოლოგთა ყურადღების ცენტრში. ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის

პროგრამის მონაწილეებმა ( დ. ბერძენიშვილი, თ. ნემსაძე, თ. ელიზბარაშვილი, ე. ზაზაძე, კ. რაზმაძე) შეისწავლეს და შესაბამისი მეცნიერული დასკვნებიც გააკეთეს, მოახდინეს ძეგლის დეტალური აღწერა, ყურადღება მიაქციეს წარწერას: „ამჟამად წარწერებიდან მხოლოდ სამი ასოა შემორჩენილი. ასოების მიხედვით მხოლოდ მისი პოლიგრაფიული დადგენაა შესაძლებელი. ნუსხური დამწერლობის გავლენა, დამატებითი ხაზების გაჩენა ქართულ ლიპარიდულ წარწერაში IX-X სს-ში იჩენს თავს. ტექსტის გაშიფვრა წარწერის დღევანდელი მდგომარეობით შეუძლებელია“. მიუთითებდნენ: „ეს თარიღი დასტურდება როგორც ეკლესიის ცალკეული დეტალების, ასევე გეგმისა და სივრცით-კომპოზიციური განხილვის საფუძველზე“.[24] ამრიგად, ობოლეთის ეკლესია წარწერისა და არქეოლოგიური სტილის საფუძველზე IX-X საუკუნით დათარიღდა. შედგენილ იქნა ეკლესიის არქიტექტურული გეგმაც. (იხ. დანართი №2). აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობები ობოლეთის ეკლესიის შესახებ მოთავსდა 2000 წელს გამოცემულ ისტორიულ ხუროთმოძღვრულ გზამკვლევში – ჯავახეთი. დ. ბერძენიშვილი ობოლეთის ეკლესიას IX-X საუკუნეების მიჯნის ორნავიან ეკლესიად მოიხსენიებს. მისი აზრით, „იგი საკმაოდ მაღალი და აზიდული“ უნდა ყოფილიყო.[25]



უნდა აღინიშნის ისიც, რომ ობოლეთის ეკლესიის მახლობლად, რამოდენიმე მეტრის დაშორებით კარგად შეიმჩნევა სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. ეს უკანასკნელი შეიძლება მივიჩნიოთ ხალხური გადმოცემის მიხედვით აქ არსებულ თავშესაფრად. გადმოცემის მიხედვით მტერს გაუნადგურებია სოფლები: ვარანტები, ხიზა, ოსპანაური. ბევრი ბავშვი დარჩენილა ობლად. სწორედ მათთვის, სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ტყეში, გაუშენებიათ თავშესაფარი და ეკლესია. რის საფუძველზეც ეწოდა ობოლთა ეკლესია და ობოლეთის ტყე. ამ ტერმინთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ივანე ჯავახიშვილს. კერძოდ, მისი აზრით, ობოლთა და დავრდომილთა ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იყო აღიარებული IX-XII საუკუნეების საქართველოში. აქედან გამომდინარე ლოგიკური იქნება ისიც, თუ ვიტყვით რომ ობოლეთის ეკლესია სწორედ აღნიშნული პერიოდის ეკლესიაა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე წლის უკან სოფლის ახალგაზრდობამ დააწესა დღესასწაული „ობოლეთობა“, რომელიც იმართება აგვისტოს მეორე ნახევარში.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა სოფელ ხიზაბავრაში მოხდა. ადრეფეოდალური ხანის ხიზაბავრის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მემატიანე. კერძოდ, აშოტ კურაპალატის მიერ არაბთა სარდლის ხალილას დამარცხებას. სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი ასახელებს ამ მოვლენის თარიღს 841-842წწ. და ადგილს — სოფელ ხოზაბირს. ამის შესახებ დევი ბერძენიშვილი შენიშნავს: „ვარაუდობენ, რომ ესაა ზემო ჯავახეთის განაპირას მყოფი ხიზაბავრა. თუ სომეხი ისტორიკოსის მიერ გადმოცემულ ამ სახელში ჯავახეთის სხვა რომელიმე პუნქტი არ იგულისხმება, მაშინ გამოდის, რომ ხიზაბავრა IX საუკუნეში მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. მართლაც, ამ სოფლის მიდამოებში გვაქვს ადრეფეოდალური ხანის ეკლესიები სტელებითა

და ბაზებით (ხიზა). თვით ხიზაბავრაში კი განვითარებული ფეოდალური ხანის საყდარი."[26] ამ უკანასკნელში კი იგულისხმება ლაშა-გიორგის სახელობის „ღართის" ეკლესია. ეს არის XIII საუკუნეში აშენებული ბოლო მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესიის შენობა კარგად არის შენახული და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც თავდაპირველი სახით გამოიყურება. ბოლო პერიოდში მისი მოვლა-დასუფთავება მოხდა ადგილობრივი მკვიდრის ანა ხიხალაშვილის მიერ, სადაც დროდადრო წირვას ატარებენ და ღვთისმსახურებას ეწევიან მართლმადიდებელი მღვდლები. ხოლო ყოველ კვირა დღეს ღიაა ეკლესია და კათოლიკურ ეკლესიაში წირვის შემდეგ ხიზაბავრელები გადადიან „ღართის" ეკლესიაში. უნდა აღინიშნოს, რომ „ღართის" ეკლესია „იესოს გულის" სახელობის კათოლიკური ეკლესიის მოპირდა-პირე მხარეს მდებარეობს. იგი ხიზაბავრელებს ერთგვარად ახსენებს ისტორიულ წარსულს, რომ მათი წინაპარნი მართლმადი-დებლები იყვნენ. ხიზაბავრელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შორს არიან რელიგიური ფანატიზმისაგან. „ღართის" ეკლესიას როგორც მხოლოდ ისტორიულ ძეგლს ისე არ აღიქვამენ, ის უპირველესად ქრისტიანული სალოცავია მათთვის. ზემო-თქმულს ასაბუთებს ისიც, რომ სოფელმა დაიწყო „ობოლეთის" მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენა და დააწესა სახალხო დღესასწაული „ობოლეთობა".



ღართის ეკლესია

# კათოლიკობა

სოფელ ხიზაბავრის მდიდარ ისტორიულ წარსულში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას მისი გაკათოლიკება წარმოადგენს. რამაც დიდი კვალი დაამჩნია სოფლის ისტორიას. რაც შეეხება კათოლიკობის მიღებას ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც გაძლიერდა საფრთხე. ე.ი. დაახლოებით XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში კათოლიკობამ ფეხი მოიკიდა მესხეთში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ XIII ს-ის ბოლოს ახალციხეში გაშენდა პირველი კათოლიკური ეკლესია. ვფიქრობთ, ამ პერიოდში ე.წ. კათოლიკობის პირველი ტალღა ხიზაბავრას არ უნდა შეხებოდა. ამის მაჩვენებელია XIII საუკუნეში მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება. უშუალოდ ხიზაბავრაში კათოლიკობის გავრცელება თურქთა მოძალების პერიოდში უნდა ვივარაუდოთ. თვით ხიზაბავრის ტერიტორიაზე არსებული კათოლიკური ეკლესიები იძლევა აქ კათოლიკობის გავრცელების მიახლოებითი თარიღის დადგენის საშუალებას. ამ თვალსაზრისით ხალხურ გადმოცემებთან ერთად საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის მოსაზრება: „ხიზაბავრელნი ქართველ გვარს ეკუთვნიან, კათოლიკობას ძველთაგანვე დაკავშირებიან. კათოლიკური ეკლესიაც ძველთაგანვე აუშენებიათ. ეს უფრო XVI საუკუნეს უნდა შეეხებოდეს. ძველი ეკლესიის აშენება მიეწერება XVI საუკუნეს. ჯვართამაღლების სახელწოდებით, ქოხის მსგავსი ეკლესიაა“.[27] მთხრობელთა ცნობით კი XIX საუკუნეში, კერძოდ, 1828 წელს სოფლის მკვიდრს — მღვდელს ანტონ გოდებაძე- ხუციშვილს ზემოთ მოხსენიებული ეკლესიის ახლოს აუგია „მღვთის მშობლის“ ეკლესია. (მღვდელი ა. ხუციშვილი გარდაიცვალა 1859 წელს. დაკრძალულია ეკლესიის ეზოში). მაგრამ სულ მალე ეს ეკლესიაც პატარა აღმოჩენილა მრევლისათვის. ამ მიზეზმა განაპირობა, იმავე საუკუნის დასასრულს ახალი კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, რაც 1891 წელს ითავა ხიზაბავრაში მივლინებულმა მღვდელმა მიხეილ ვარძელაშვილმა (ვარძელოვმა).

ხიზაბავრაში ახალი კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა

ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ იმთავითვე პროგრესულ მოვლენად მიიჩნია და ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად ეხმაურებოდნენ თავიანთი კორესპონდენციებით. ილია ალხაზიშვილი გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ხიზაბავრელი ქართველობა დღევანდლამდე ერთ პატარა ძველი ეკლესიის ამარა იყო, სადაც ოცი კაცი ძლივს ეტეოდა. ამიტომაც დიდის მადლობის ღირსია მამა მიხეილ ვარძიელი, რომელმაც ითავა და ახალი ეკლესიის აშენების ნებართვა და გეგმა გამოიტანა. მშენებლობა დაიწყო.... სარატოვის ეპისკოპოსის ანტონ ცერის შუამავლობით სამინისტროთგან უკვე მოვიდა ნებართვა ხიზაბავრის ეკლესიის ასაშენებლად“.[28] ეკლესიის მშენებლობა 1896 წელს დაიწყო, მაგრამ საქმე მალე გაჭიანურდა უსახსრობის გამო. ამიტომ, მიხეილ ვარძელაშვილს დასჭირდა მთელი რუსეთის მოვლა შეწირულობის სათხოვნელად. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ივანე გვარამაძის არქივში დაცულია მ. ვარძელაშვილის ერთი მეტად საინტერესო წერილი: „ვიცი, მამაო, გესიამოვნებათ, რომ მინისტრისაგან ნებართვა მივიღე ფულების მოკვლევისა, ამის გამო ახალ კვირის შემდგომ ვემზადები წასვლასა რუსეთისაკენ და თუ შეიძლებოდეს ერთი ხელი სუბუქი და სუფთა შესამოსი მათხოვოთ და თქვენი პატარა ბარძიმი ყოველი შემთხვევის გამო და იმედია უარს არ მეტყვით“.[29] როგორც აღნიშნული წერილიდან ჩანს, მამა მიხეილს – „ღრმად მოსავ კათოლიკე მღვდელს“ იმდენად უჭირდა ეკონომიურად, რომ ერთი ხელი სამოსიც კი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა მას არ უფიქრია საკუთარ გაჭირვებაზე ისე მოიარა რუსეთი და შემდეგ საზღვარგარეთაც გაემგზავრა. მის გარჯას უშედეგოდ არ ჩაუვლია: „ყოვლის მხრითგან მისდიოდა ახალი ეკლესიის შემოწირულობა. დღეს კი კვლავ ნება მოსვლია და ტფილისიდამ საზღვარგარეთ მოდის. რამდენსამე ხანს დაჰყოფს სტამბოლის ახლოს ხარისჭირაშვილის ძმობასთან და აქედგან წავა პირდაპირ რომს პაპისაგან კურთხევისა და ხალხისაგან შემწეობის მისაღებად.“[30]

ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ მ. ვარძელაშვილს ეკლესიის მშენებლობისათვის სულ 30000 მანეთი შეუგროვებია. მთხრო-

ბელთა გადმოცემით მ. ვარძელაშვილი ხიზაბავრელებთან ერთად ფიზიკურად შრომობდა ეკლესიის მშენებლობაზე. ერთ-ერთი მათგანი — მ. ხითარიშვილი გადმოგვცემს დედის მოგონებას: „ეკლესიის საძირკველში მღვდელი ვარძელოვი ხურდა ფულებს გვაყრევინებდა. პატარა ბავშვები წყალს და ხიბალს (წვრილი ქვები) ვეზიდებოდით, უფროსები კი ურმებით ზიდავდნენ ქვას და სილას მდ. მტკვრის ნაპირებიდან".



მიხეილ ვარძელაშვილის თაოსნობით წამოწყებული ეკლესიის მშენებლობა მრავალთა ხელშეწყობით დასრულდა 1898 წელს. ეწოდა — „იესოს გულის" ეკლესია. იგი სოფლის ცენტრში მდებარეობს. მისი სიგრძე — 13 საჟენია, სიგანე — 7, სიმაღლე — 5. (1 საჟენი — 1,1335 მ. — კავკასიის კალენდარი. 1894წ. გვ. 11).[31] ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ ერთ ქვაზე ქართულად და ლათინურად შესრულებულია შემდეგი შინაარსის წარწერა: „აღაშენა ეს რომის კათოლიკეთა ტაძარი „იესოს გულისა" მოღვაწეობითა მღვდლის მიხეილ ვარძელაშვილისათა და შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთელ

და კავკასიელ კათოლიკეთა. წელსა უფლისასა 1898-სა.“ აქვეა ლათინური წარწერაც: „Iesus Christus Deus Homo Vivit vi cont imperiom Anno 1900 LeO XIII“ ხოლო ტრაპეზზე მოთავსებულია ასეთი წარწერა: „ტკბილო გულო იესოსაო შეგვიწყალენ ჩვენ“. უნდა აღინიშნოს, რომ „იესოს გულის“ ეკლესიის ქართულმა წარწერამ ხელისუფალთა აღშფოთება გამოიწვია. იმდენად რომ პეტერბურგიდან გამოგზავნილ იქნა სპეციალური ბრძანება ქართული წარწერის მოშლის შესახებ. ბრძანება შესრულებულ იქნა – წარწერა კირით გაგლისეს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხიზაბავრის ეკლესიის ქართულენოვანმა წარწერამ კიდევ უფრო ადრე 1898 წელს აღაშფოთა კონსტანტინეპოლის სომეხ კათოლიკეთა პატრიარქი. გაზეთი „ივერია“ ბათუმიდან გამოგზავნილი კორესპონდენციით იტყობინებოდა, რომ კონსტანტინეპოლში ჩასულ მამა მიხეილ ვარძელაშვილს ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო თანხის მოძიების ნებართვა არ მისცა სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქმა. მიზეზი გახლდათ ის, რომ ერთმა სომეხ-კათოლიკეთა მღვდელმა მას აცნობა რომ მიხეილ ვარძელაშვილი ქართველობდა და ხიზაბავრის ეკლესიაზე ქართული წარწერა გააკეთებინა. აღნიშნული წერილი პატრიარქმა მამა მიხეილს უჩვენა და პირდაპირ განუცხადა: „მე შენ მოწმობას ვერ მოგცემ, რადგანაც შენ თურმე ქართველობ და ეკლესიის კარებზედაც ქართული წარწერა გაქვსო“.[32]

აღნიშნულ ფაქტს თავის დროზე გამოეხმიანა „აღშფოთებული სომეხ-კათოლიკე“ ვინმე სალიმიანცი გაზეთ „მშაკის“ საშუალებით. იგი ხიზაბავრის მრევლს ქართულ ენაზე მოსაუბრე სომეხ-კათოლიკეთ მოიხსენიებდა. იგი „შეურაცყოფილად“ გრძნობდა თავს იმის გამო, რომ „ვარძელოვის მეოხებით ეკლესიის კედელზედ მხოლოდ ქართულად და ლათინურად წაუწერებიათ აღშენების ცნობა და სომხურად კი ერთი ასოც არ ჰსჩანსო. განა შეიძლება ესე გადაგვარება, ესე გაქართველება იქნება სომეხ-კათოლიკებისა“.[33] ე.ი. წერილის ავტორი დაჟინებით ცდილობდა ხიზაბავრელთა სომხებად „მონათვლას“. სამწუხაროდ, ასეთი ცილისწამება იმ პერიოდში რეაქციონერ სომეხ-კათოლიკეთა ჩვეულებრივი ქმედება გახლდათ.

„იესოს გულის“ ეკლესიამ ქართველი საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ზაქარია ჭიჭინაძე აღფრთოვანებული წერდა: „ეს ეკლესია, მთელს ამ კუთხის კათოლიკეთ ეკლესიებში უპირველესად ჩაითვლება. ბევრს ქალაქის ადგილებშიც არ არის ასეთი ტაძრები“.[34] ეკლესიის კურთხევა მოხდა 1900 წლის 25 ივნისს. უნდა აღინიშნოს, რომ „იესოს გულის“ სახელობის ეკლესიამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში სხვა სალოცავთა ბედი გაიზიარა – იგი დახურულ იქნა. უფრო მეტიც, კოლმეურ-ნეობის მიერ, ათწლეულების მანძილზე, ხორბლის საწყობად იყო გამოყენებული. 70-იან წლებში სოფლის მრევლის დაჟინებული მოთხოვნით აღდგენილ იქნა ეკლესიის სტატუსი. წლების მანძილზე მის მოვლა-პატრონობას უძღვებოდა სოფლის მკვიდრი ანა ხიხალაშვილი-ქუქჩიშვილისა. ხოლო გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა ეკლესიის რესტავრაცია, რაც უკავშირდება კათოლიკე მღვდელს – მამა პავლე შჩეპანეკს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხიზაბავრელთა, ისე როგორც სხვა ქართველთა, მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაზე გადასვლა იძულებითი ნაბიჯი გახლდათ ფიზიკური განადგურებისაგან თავის დაღწევისა და ქრისტიანული რწმენის შენარჩუნების მიზნით. ის ჩანაფიქრი, რაც კათოლიკობის მიღებას უკავშირდებოდა – განხორციელებულია, რამდენადაც ხიზაბავრის მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე, მტრის მრავალრიცხოვანი შემოსევების მიუხედავად შეინარჩუნა სარწმუნოებაც და სოფელიც. მაშინ, როცა მის გარშემო მდებარე მრავალი სოფელი იქცა ნასოფლარად. სოფლის გადარჩენას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო სწორედ კათოლიკობამ. აღნიშნულთან დაკავში-რებით პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „ჯვაროს-ნების შემდგომ გავრცელებული კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში მისიონერებმა მტკიცედ დაიცვეს და ოსმალოს მთავრობისაგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკე-ბულისათვის ძალა არავის დაეტანებია მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის ძლიერი მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქმნა ქრისტიანობის მტკიცე შესახიზნარი. ისინიც თავისუფლად იქცეოდნენ კათოლიკებად, რათა დევნილობა თავიდგან აეცილებინათ... ქართველმა კათოლიკეებმა თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს და ესრეთ გააერთეს სარწმუნოება და ერობა“.[35]

ალექსანდრე ფრონელი კი წიგნში „დიდებული მესხეთი" შენიშნავს: „ახალქალაქის მაზრაში სულ ორი სოფელია, სადაც ქართველ კათოლიკეებს ბინა შეურჩენიათ და სადაც სუფთად ლაპარაკობენ ქართულად: ხიზაბავრა – 1698 სული და ვარგავი – 141 სული.[36] კათოლიკობის მიღებით სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობამ შეძლო რწმენისა და მშობლიური ენის დაცვა, შეინარჩუნა ქართული ხასიათი, ჩვეულებანი, ტრადიციები და საერთოდ, არ დაქვეითებულა მათი ეროვნული ცნობიერება.

* * *

სოფელს ჰქონდა თავისი ციხე-სიმაგრეც. ამჟამინდელი მდგომარეობით იგი ფიზიკურად აღარ არსებობს. მის არსებობას ასაბუთებს წერილობითი წყაროები, ნივთიერი მასალა და ზეპირი გადმოცემები. მთხრობელთა გადმოცემით ციხე მდებარეობდა სოფლის წყაროს დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. XIX საუკუნის დასასრულისათვის იგი უკვე ნანგრევებად ყოფილა ქცეული. ციხის ქვები გამოუყენებიათ „იესოს გულის" ეკლესიის მშენებლობაზე, რის შემდეგაც თითქმის სულ წაიშალა მისი კვალი. ციხის არსებობას ასევე ასაბუთებს ციხის კარების წარწერებიანი ბალავრის ქვა (ზომით 120X80), რომელიც „ღართის" ეკლესიის ეზოში ძევს. მოხსენიებული ქვა, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ივანე როსტომაშვილს უნახავს და გადაუღია. ხოლო 1933 წლის ჯავახეთის ექსპედიციის დროს ნიკო ბერძენიშვილმა მოინახულა. იგი წერდა: „დილაადრიან ხიზაბავრის ძველი ეკლესიის ეზოში წარწერიანი ქვა მოვნახე, ის კარგად აქვს გადმოღებული ივანე როსტომაშვილს და შეიძლება საინტერესო იყოს, როგორც მხედრული ხელის გადაგვარების ნიმუში უწიგნურობის პირობებში... ხელის მიხედვით წარწერა XIII საუკუნეს ეკუთვნის. წარწერა საინტერესოა და XIII საუკუნისათვის დამახასიათებელი".[37] ეს წარწერა მაჩვენებელია იმისა რომ XIII საუკუნეში ხიზაბავრას უკვე ჰქონდა თავისი ციხე-სიმაგრე, რაც მტრის ხშირი თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა.

ციხის არსებობის ფაქტი ასევე თავისთავად მეტყველებს სოფლის სიძლიერეზე, მიგვანიშნებს რომ იმ დროისათვის სოფელი ხიზაბავრა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და სტრატეგიული პუნქტი უნდა ყოფილიყო.

ხიზაბავრა რომ საკმაოდ მოზრდილი და ძლიერი სოფელი უნდა ყოფილიყო კარგად ჩანს „გურჯისტანის ვილაეთის დავთრითაც." (როგორც ცნობილია XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალეთმა დაიპყრო სამცხე-საათაბაგო და მას „გურჯისტანის ვილაეთი" ანუ საქართველოს პროვინცია უწოდა. ოსმალებმა დაბეგვრის მიზნით საყოველთაო აღწერა მოახდინეს, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა ე.წ. „გურჯისტანის ვილაეთის დავთარი").

გურჯისტანის ვილაეთში შედიოდა: ახალციხის, ფოცხოვის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფანაკის, დიდი არტაანის ლივები. ე.ი. მთელი სამხრეთი საქართველო.

ხიზაბავრა ხერთვისის ლივაში შედიოდა — 40 კომლით, მისი გადასახადების ჯამი 15165 ახჩას შეადგენდა. (შოთა ლომსაძის განმარტებით ახჩა შეესაბამებოდა რუსულ კოპეიკს).[38] აღნიშნული დავთრის მიხედვით ხიზაბავრის მცხოვრებნი ყოფილან: რევაზა(?)-სძე, გოგიჩა ძმა მისი, -ისძე, ელია სუმბათას ძე, გულისაბედ ძმა მისი, ველიჯან ემირგულის ძე, ძმა მისი, ჯანელ (ღარიბ) ისძე, საბია ძმა მისი, გულია ძე მისი, ვარმიშას ძე, ბატატა ძე მისი, ველუ იოსების ძე, ლაშქარა ჯანელას ძე, ლომიზგულ ძე მისი, შაქარა შაქარას ძე, ყულიჯან ძმა მისი, მეორე ძმა მისი, კიდევ ძმა მისი, პაპუნა რევაზის ძმა, ყანდო აზარგულის ძე, ძამაგული (?) ძმა, პაატაგული (?) მაზანას ძე, კაკალა ძე მისი, მაზანა სოზას ძე, გოგიჩა ძმა მისი, პატია მღვდელი, პაპუნა (ირაკლი?) მეორე ძმა მისი, ძამაგულის შვილიშვილი, პატია დოვლათირას ძე, ბატატა შაქარას ძე, გულია ძმა მისი, მახა დანელას ძე, სახელად მამა, სახელად—, სახელად ძმა, მეორე ძმა მისი, ძე მისი. [39]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქთა ბატონობის პერიოდში ხიზაბავრის მოსახლეობა მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა ხარჯზე, რომლებიც მას თავს აფარებდნენ როგორც ძლიერსა და მრავალრიცხოვან სოფელს,

რომელიც თავის მხრივ შედარებით ადვილად უმკლავდებოდა თურქთა თუ ლეკთა თარეშს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ცნობა: „1655 წელს დვირელები და ზუბალაშვილები სოფელ ხიზაბავრას შეხიზვნიან, რომელიც მაშინ განთქმული იყო შესანიშნავის ქართველთ მეომრებით და ფალავნებით"[40] ასეთივე აზრია გამოთქმული XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზეც: „როცა ჯავახეთში ოსმალთა ცეცხლი გრგვინავდა, მაშინ ვინც მაჰმადის რჯული უარყო, სცდილობდა თავის მერჯულეს შეჰკედლებოდა. ამგვარად ხიზაბავრაში სხვადასხვა სოფლიდან გამოქცეულ ქართველებს მოუყრიათ თავი".[41]

მძიმე იყო თურქთა ბატონობის უღელი სამხრეთი საქართველოსათვის. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე II შეეცადა ამ ტერიტორიების დაბრუნებას. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ასპინძის ბრძოლა. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ხიზაბავრელთა მამაცობით აღტაცებულმა მეფე ერეკლემ ნადიმის გადახდა და ღამის გათევება სოფელ ხიზაბავრაში ინება: „იმავ დღეს მეფე ერეკლე თავის მხლებლებით ხიზაბავრას ამობრძანდა, ღამე აქ დაისვენა, თავით ფეხებამდე ზილხი ეცვა, მხოლოდ თვალებიღა უჩანდა. ზილხი რო გაიხსნა და დაბერტყა სამი ოყა (ცხრა გირვანქა) ტყვია დასცვივდა. — აი ბიჭებო, ამდენი ტყვია მომარტყეს ი წუნკლებმაო!!!... ხიზაბავრიდან სისხამ დილით მეფე ერეკლე გაეშურა ტფილისისაკენ მანგლისის გზით".[42]

ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას შედეგი არ მოჰყოლია. ოსმალთა ბატონობა კიდევ უფრო მეტად დამძიმდა. სამცხე-ჯავახეთს განსაკუთრებით მძიმე ხანა დაუდგა XIX საუკუნის დასაწყისში. ყოველივე ეს კარგად იქნა ასახული ახალციხურ ქრონიკებში. ამ პერიოდში გაძლიერდა ტყვეთასყიდვა. ხიზაბავრის მღვდელი ანტონ ხუციშვილი წერდა: „ჩვენმა ბატონმა ტყვეების ყიდვა დაიწყო, სადაც ქვრივნი და ობლები იყვნენ აღარ გაუშვა... რაც აგარიანთაგან კათოლიკენი გამომიხსნია და არ გამიყიდვინებია, ვინღა მოგახსენოთ".[43] ოსმალთაგან არც ხიზაბავრის მოსახლეობას დაკლებია დარბევა-აწიოკება. მისივე ცნობით, 1811 წელს რუსების მიერ ქ. ახალქალაქის აღებისას სოფელი ხიზაბავრა დაურბევიათ, გაუძარცვავთ, შიმშილის გამო სოფლის

მოსახლეობა უდესა და ვალეში გახიზნულა. ხოლო 1824 წელს რუსების მიმხრობისათვის თურქებს ხიზაბავრელ-თათვის ძალით წაურთმევიათ „სამასი ყურუში ფარა და 12 ქისა თეთრი“.

აღსანიშნავია სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკაც. კერძოდ, ქრონიკა გვამცნობს, რომ 1811 წლის ზაფხულში სოფელ ხიზაბავრაში შავი ჭირი მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას, ყოველდღე ქრებოდნენ და ცარიელდებოდნენ ოჯახები, ამოწყდა ბერი თუ ერი, მკვდრებს უზიარებლად მარხავდნენ.[44] ყოველივე ზემოთ თქმული თურქთა ბატონობის მძიმე შედეგს წარმოადგენდა.

თურქთა უღლისაგან ხიზაბავრა სამცხე-ჯავახეთთან ერთად 1828 წლის ზაფხულში განთავისუფლდა. მტრის მძიმე ბატონობის მიუხედავად, მოსახლეობამ შეინარჩუნა ენაც და სარწმუნოებაც. ამასთანავე, ამ სოფელში არ უცხოვრია არც ერთ მაჰმადიანს. ილია ალხაზიშვილი წერდა: **„სოფელი ხიზაბავრა მთელს ჯავახეთში ერთ-ერთი სოფელია, სადაც სხვა ტომთა შეურევლად 163 კომლი ცხოვრობს. ხიზაბავრელებს წმინდათ დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხურის კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაიწერება.“**[45]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX საუკუნეში თურქთაგან გათავისუფლებულ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან ერთად, რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, ხიზაბავრელნი ერთხელ კიდევ აღმოჩნდნენ ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე. კერძოდ, მათ როგორც კათოლიკეებს, გასომხების საფრთხე შეექმნათ. ხიზაბავრის მცხოვრებნი სხვა კათოლიკეებთან ერთად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სომეხი მღვდლების შოვი-ნისტური საქმიანობის გამო. როგორც ცნობილია, ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული არ იყო დამტკიცებული ღვთის-მსახურებისათვის მომქმედ ენად. ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ღვთისმსახურება ლათინურ ენაზე სრულდებოდა, ხოლო მას შემდეგ რაც თურქებმა XVII-XVIII სს.-ში ჩაკეტეს ევროპაში მისასვლელი გზები და მისიონერებს აუკრძალეს საქართველოში შემოსვლა, თანდათან ქართულ კათოლიკურ ეკლესიიდან განიდევნა ლათინური ენა, მათ წინამძღვრობდნენ სომეხი კათოლიკე მღვდლები. ისინი ხელმძღვანელობდნენ

ქართველ კათოლიკეთა ჯვრისწერას, მონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი ეპისკოპოსების მიერ რეკომენდირებულ (ე.ი. სომხურ) სახელებს, ხშირად უცვლიდნენ და გადაუკეთებდნენ ხოლმე გვარსაც. მაგალითად, ხუციშვილს სწერდნენ ხუციევად, ვარძელაშვილს — ვარძელოვად და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ფრონელი წერდა: „ქართველი კათოლიკენი, რაღა თქმა უნდა, წმინდა ქართული ენით ლაპარაკობენ, მხოლოდ საშინლად შეუბღალავთ წმინდა ქართული სახელები და გვარები სომეხ კათოლიკეთა ეკლესიის აღსარების ზეგავლენით".[46] შოვინისტი სომეხი მღვდლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ კათოლიკეებს დაევიწყებინათ მშობლიური ენა, წარმომავლობა და ისინი სომხებად გამოეცხადებინათ. მათ ნაწილობრივ კიდეც მიაღწიეს მიზანს. ქართველ კათოლიკეთა ერთ ნაწილს დაავიწყეს თავისი ეროვნება და დააბეჩავეს. „ოფიციალურ და სხვა საბუთების ქაღალდებში იწერებიან: სომეხ-კათოლიკე. ეს სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნებისა და ხალხოსნობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა. მდაბიო ქართველ კათოლიკეს რომ ჰკითხავ — ვინ ხარო? გიპასუხებს: სომეხ კათოლიკეო. თუ გაჯავრების კილოთი ჰკითხე — რას მიედ-მოედები მამა-პაპით ქართველი იყავ და სომეხად როგორ გადაიქეციო, მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიაღ, ამბობენ, რომ წინად ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო."[47]

სომეხი შოვინისტი მღვდლების წყალობით ბევრი ქართული კათოლიკური სოფელის მოსახლეობა გასომხდა: ტურცხი, ლომა— ტურცხი, ბავრა, კარტიკამი... დასახელებული სოფლების ბედი ელოდათ სამცხის კათოლიკურ სოფლებსაც. მაგრამ, მათ საქმიანობას წინ აღუდგნენ ე.წ. „მესხი განმანათლებლები": პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეები, იოსებ ხუციშვილი, მიხეილ თამარაშვილი. ისინი იბრძოდნენ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მშობლიური ენის დამკვიდრებისა და სომეხი მღვდლების ჩამოცილებისათვის, ხსნას ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებაში ხედავდნენ, რაც მათი განათლებით და კულტურული დაწინაურებით ესახებოდათ.

# ხიზაბავრაში მოღვაწე მესხი განმანათლებლები

## „ვინმე მესხი" - ივანე გვარამაძე (1831-1912 წწ.)

სოფელ ხიზაბავრაში წლების მანძილზე მოღვაწეობდა „ვინმე მესხის" ფსევდონიმით ცნობილი მესხი განმანათლებელი ივანე გვარამაძე: არქეოლოგი, ისტორიკოსი, მწერალ-პუბლიცისტი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, პოეტი და მხატვარი, მცოდნე რამდენიმე უცხო ენისა: ფრანგულის, სომხურის, ლათინურის, თურქულის. იყო იმ პერიოდში არსებული მრავალი საქველმოქმედო საზოგადოების წევრი, სამცხე-ჯავახეთში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუძემდებელი, ქართველთა ქომაგი და დამცველი, ამ კუთხეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი.

სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძემ მოღვაწეობა დაიწყო 1869 წელს, როცა იგი მღვდლად იქნა მივლინებული. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალები ნათელს ჰფენს ივანე გვარამაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას სოფელ ხიზაბავრაში. კერძოდ, მის მიერ სკოლის დაფუძნებას. როგორც ირკვევა, ხიზაბავრაში სკოლის გახსნის მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60- იანი წლების ბოლოს. 1875 წლის გაზეთი „დროება" იტყობინებოდა: „აქ ხიზაბავრაში ექვსი წლის წინ ერთს პატივცემულ მღვდელს (ი. გვარამაძე - ნ.ყ.) შკოლა დაუწყვია, კედლები აკოშკებით სრულ შეუსრულებია, ხე-ტყის გადაყრა კი არ დაუცადებიათ (ივანე გვარამაძე სხვაგან გადაიყვანეს) სხვა ვიღაც ჭკუის საწყალი მღვდელი შემოვარდნიათ და სამ წელიწადს დამდგარა, მაგრამ წარმატების მაგიერ უფრო მრავალი ვნება მოუტანია".[48]

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ მასალებში ვკითხულობთ, რომ მღვდელი ივანე გვარამაძე



ივანე გვარამაძე – „ვინმე მესხი“
1831-1912 წწ.

1880-1881 წლებში უძღვებოდა თავის მიერ დაარსებულ ხიზაბავრის ერთკლასიან სამრევლო სკოლას და სურვილი ჰქონდა რომ იგი დაექვემდებარებინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის".[49]

სოფელ ხიზაბავრაში ისევ მობრუნებული ივანე გვარამაძე კვლავ ჩაუდგა სკოლის გახსნის საქმეს. მას ზაქარია ჭიჭინაძის რჩევით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის" დახმარების თხოვნით მიუმართავს. 1881 წლის 9 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძემ, აღნიშნული საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგის სახელით, განუცხადა თანხმობა და აღუთქვა ნივთიერი დახმარება.[50]

ე.ი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას" სურდა ხიზაბავრის სკოლის თავის დაქვემდე-ბარებაში აყვანა. მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე დაგვიანებული აღმოჩნდა. თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას სამცხე-ჯავახეთში 1880 წლის შუახანებიდან დაწყებული ჰქონდა საგანმანათლებლო აგიტაცია და დირექციამ 1881 წლის 23 ნოემბერს ჯავახეთის სოფლებში გახსნა ათამდე სკოლა და მათ შორის ხიზაბავრისაც.[51] აქედან გამომდინარე, ივანე გვარამაძე ერთგვარ უხერხულობაში აღმოჩნდა. ამიტომაც იყო, რომ 23 ოქტომბერს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას" სწერდა: „რომელ მე არ ვიცოდი ჩემგან დაფუძნებული ხიზაბავრის სასწავლებლის თავგარდასავალი და არცა პატივცემულ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირობანი დღემდის. ახლა შევიტყე, რომ დირექციას გაუხსნია ხიზაბავრის სასწავლებელი, რომელიც ჩემგან დამოუკიდებელია. ეს რომ არ ვიცოდი, მის გამო მოვმართე მაგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: მინდოდა სამუდამოდ თქვენს მფარველობაში ყოფილიყო ამ სოფლის ერის სასარგებლოდ და სანუგეშოდ. მაგრამ არ იქმნა." ე.ი. ხიზაბავრაში ივანე გვარამაძის მიერ დაფუძნებულ სამრევლო სკოლის ბაზაზე დაარსდა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლა. „შკოლას დაეპატრონა დირექცია და მას სუყველა ექნებაო. მასწავლებელიც უკვე დაინიშნა", — იქვე მიუთითებდა ივანე გვარამაძე.[52]

კერძოდ, ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად დაუნიშნავთ გ.წითლანაძე, გაზეთ „დროების“[53] ერთ-ერთი კორესპონდენციიდან ვგებულობთ, რომ იგი წარმატებულად ართმევდა თავს მისადმი მინდობილ საქმეს. 1881 წლის მდგომარეობით ხიზაბავრის სკოლაში ყოფილა 60 მოსწავლე: 14 ქალი და დანარჩენი ვაჟი.

„ხ. კ-ი“-ის ფსევდონიმის დროების კორესპონდენტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ხიზაბავრის სკოლისა და მასწავლებლის შესახებ: „ქალებს თავის ოთახში ასწავლიდა მასწავლებლის მეუღლე. მაგრამ იმ ჩვენმა დალოცვილმა მასწავლებელმა ისე შეაჩვია და-ძმურად ერთმანეთს ბიჭები და გოგოები, რომ ახლა ვგონებ ერთ ოთახში უნდა აკითხონ. წრეულს კი ძალიან ბევრი ეყოლება ბიჭებიც და გოგოებიც – იქნია სკოლაში არც კი დაეტევიან. წინად არც კი გვინდოდა რომ გაგვეხსნა სკოლა.

მაგრამ ისე შეგვაყვარა სკოლაც და თავისი თავიც ბატონმა მასწავლებელმა, რომ გოგოებიც მივაბარეთ. ჩვენი მასწავლებელი ეხლაც, ამ ზაფხულშიც ასწავლის ბავშვებს უფულოდ. გვეუბნება: „ოღონდ თქვენ ატარეთ ბავშვები და თქვენი არა მინდა რაო“. ერთის სიტყვით ძალიან მადლიერნი ვართ ჩვენ ბატონ წითლანაძის“.[54]

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრაში სკოლის დაფუძნებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა იმის გამო, რომ იმ პერიოდში ეს სოფელი ვარევანის (ახალქალაქის მაზრა) სამამასახლისოში შედიოდა. ივანე გვარამაძის ცნობით „სასწავლებლის თაობაზე არეულობა მოუხდენიათ სომხებს“ – ხიზაბავრის ნაცვლად სოფელ ალასტანში მოუთხოვიათ სკოლის გახსნა.[55] აღნიშნული წინააღმდეგობის მიუხედავად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნივთიერი დახმარებით და ივანე გვარამაძის დაუზოგავი შრომით 1881 წლის 21 ნოემბერს სოფელ ხიზაბავრაში ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალციხის კარგა მოშორებით სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძეს გაუმართავს სკოლა, ამ სოფელ ხიზაბავრაში სულ ქართველი კათოლიკეები სახლობენ. სკოლის მასწავლებლად

ამოურჩევიათ გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლა შესრულებული ყმაწვილი."[56]

ხიზაბავრის სკოლა წარმოადგენდა ერთკლასიან სასწავ-ლებელს ვაჟებისათვის, სადაც ასწავლიდნენ დედა-ენას, ანგარიშს, რუსულ ენას, საღმრთო სჯულს. მეცადინეობა სეზონურად-ზამთრის პერიოდში მიმდინარეობდა. სკოლა თავდაპირველად მოთავსებული ყოფილა დაქირავებულ მიწურ ოდაში იოსებ ბალიაშვილის ბინაზე, ხოლო 1890 წელს მოსახლეობაში შეგროვებული თანხით სოფლის მცხოვრებ სტეფანე დათაშვილისაგან შესყიდულ იქნა ადგილი სასკოლო შენობისათვის, სადაც 1893 წელს აუშენებიათ ოთხოთახიანი შენობა, ხოლო მღვდელს მიხეილ ვარძიელს 1904 წელს სკოლის შენობის მახლობლად აუგია ახალი შენობა ოთხი ოთახის ოდენობით.[57] იმავე წელს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ხიზაბავრის სკოლა გადაკეთდა ორკლასიანად ორივე სქესისათვის – ხუთი განყოფილებით. მას დაემატა ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც. სამი მასწავლებლით და ახალი შენობით. მშენებლობისათვის სტეფანე ზუბალაშვილს 1000 მანეთი შეუწირავს,[58] ხოლო კათოლიკე მღვდელს – დომინიკე მულაშა-შვილს (პაწაძეს) – 200 მანეთი.

მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ ქართველი საზოგადოება და თვით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" შემდგომ პერიოდშიც არ აკლებდა ყურადღებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადოება ყურადღებას უთმობდა ქართველ კათოლიკეთა განათლების საკითხს ითვალისწინებდა რა მათ მდგომარეობას. ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობის გამო მათი გასომხების საშიშროებას. აღნიშნულს ასაბუთებს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი: „ეს საზოგადოება მოვალეა ყოველს საქართველოს სახალხო შკოლას მიეცეს შემწეობა, მხოლოდ იქ, სადაც ქართველები არიან, ანუ ქართველი კათოლიკეები."[59]

საყურადღებოა ისიც, რომ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ივანე გვარამაძეს იმთავითვე განუზრახავს ქალთა სკოლის გახსნა: „1883 წელს დიდ სიხარულს მწერს, რომ იქნებ ხიზაბავრაში ქალების

სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სკოლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეუღლეც ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო.“[60] მრავალი ხელშემშლელი მიზეზის გამო ივანე გვარამაძემ ეს განზრახვა ვერ განახორციელა.

XIX საუკუნის დასასრულს რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახალხო სკოლის გახსნას ქართულ კათოლიკურ სოფლებში. ამ სკოლის დაარსებამ ხელი შეუწყო ხიზაბავრელთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას.

1917 წლამდე სხვადასხვა დროს ხიზაბავრის სკოლაში მრავალ პედაგოგს მოუხდა მუშაობა: კონსტანტინე გვარამაძეს, გიორგი გეგიძეს, ლაზარე ნათენაძეს,· ალექსანდრე სანაკოევს (რომელიც 1905 წელს გააძევეს სოფლიდან როგორც ცარიზმის თავგამო-დებული დამცველი), მ. რაზმაძეს, ივანე ბარიკალაშვილს, პ. მესხს, ალექსანდრე ხუციშვილს და ა.შ.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში სკოლის პროგრამაში შეტანილი იყო წარმოების საფუძვლების ცოდნა. ამის უზრუნველსაყოფად სკოლას გადაცემული ჰქონდა სოფელ ხანდოს (ახალქალაქის რაიონი) ბაღი — 5კვ.კმ. ფართობით, რომელსაც მოსწავლეები ამუშავებდნენ. შემოსავლის 80% ხმარდებოდა ხელმოკლე მოსწავლეებს, ხოლო 20% — სკოლას. 1935 წლამდე ფლობდა სკოლა დასახელებულ ბაღს, იმავე წელს გადაეცა გომის ბაღი და გადაკეთდა საშუალო სკოლად. პირველი გამოშვება 1938 წელს შედგა, იყო 31 კურსდამთავრებული. 1930-1941 წლებში მოქმედებდა ე.წ. ინტერნატიც. ხიზაბავრის სკოლაში სწავლობდნენ ახალგაზრდები მეზობელი სოფლებიდან: საროდან, თოკიდან, ვარგავიდან, ვარევანიდან, ტოლოშიდან, ბარალეთიდან, კოთელიიდან, გოკიოდან, ჩუნჩხიდან, ძველ-ჭობარეთიდან და ა.შ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში ხიზაბავრის სკოლაში მუშაობდნენ: ვასილ ქურიძე, გიორგი დევდარიანი, ივლიანე კვაჭაძე, ბართლომე თოფურია, ვალიკო ნაცვლიშვილი, მიხეილ ველიჯანაშვილი, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ვანო მელაძე და სხვანი.[61] ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი. ხოლო ომის შემდგომ პერიოდში

ხიზაბავრის სკოლა ძირითადად დაკომპლექტდა ადგილობრივი კადრით. აღნიშნული პერიოდიდან მოღვაწეობდნენ: პეტრე პაპაშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ფანჩო ველიჯანაშვილი, იაკობ ბალიაშვილი, იაკობ ყრუაშვილი, სიმონ ყრუაშვილი, კონსტანტინე და ლუბა თედორაძეები, ანა ხაზალაშვილი, გიორგი და შოთა დათაშვილები, შურა პლაჭიაშვილი, ანა და თინა მექოშვილები, სტეფანე ადეიშვილი, ლუბა ველიჯანაშვილი და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ხიზაბავრაში 1937-1940 წლებში არსებობდა სამკერვალო სკოლა, სადაც ახალგაზრდა ქალებს ასწავლიდნენ ჭრა-კერვას. სწავლა იყო უფასო და გრძელდებოდა 2 წლის მანძილზე. მეცადინეობა მიმდინარეობდა დილის საათებში — ორი-სამი საათის განმავლობაში. ძირითადი მასწავლებელი იყო ანა პოსოშვილი. სკოლას ჰქონდა თავისი ინვენტარი. იგი ტერიტორიულად მდებარეობდა სოფლის ცენტრში (სასურსათო მაღაზიის გვერდით შენობაში). ამავე შენობაში მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინართა მეცადინეობაც. კერძოდ, იქ ზრდასრულ მოსახლეობას ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და არითმეტიკას. პირველი მასწავლებლები იყვნენ სანდრო ხუციშვილი და სიმონ ყრუაშვილი. ამ სკოლას „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლას" უწოდებდნენ.

დროთა განმავლობაში სკოლამ ცვლილებები განიცადა. კერძოდ, 1925 წელს შვიდწლედად გადაკეთდა, 1935 წელს კი საშუალო სკოლად, შეიცვალა ადგილმდებარეობაც. 1970 წელს სოფლის მოზარდი თაობის სამსახურში ჩადგა ორსართულიანი სკოლის შენობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1991 წლის 21 ნოემბერს აღინიშნა ხიზაბავრის სკოლის დაარსების 110 და მისი დამაარსებლის — ივანე გვარამაძის დაბადებიდან 160 წლისთავი. ამ თარიღე-ბისათვის მიძღვნილ კონფერენციაზე მიღებულ იქნა სამართლიანი გადაწყვეტილება — ხიზაბავრის სკოლისათვის ივანე გვარამაძის სახელის მინიჭების შესახებ. ეს გადაწყვეტილება დღემდე არ განხორციელებულა.

ხიზაბავრისადმი ივანე გვარამაძის მიერ გაწეული ღვაწლი მხოლოდ სკოლის დაარსებით არ ამოიწურება. უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრაში თავისი მოღვაწეობის მანძილზე ივანე გვარამაძემ შეძლო ამ სოფლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, რითაც ნათელი მოჰფინა მის მდიდარ და საინტერესო წარსულს. მოძიებულ მასალებს ის ხშირად აქვეყნებდა იმ პერიოდის ქართულ პერიოდიკაში. მაგალითისათვის მოვიყვანთ კორესპონ-დენციას ჟურნალ „აკაკის კრებულიდან": ვინმე მესხმა სოფელ ხიზაბავრაში აღმოაჩინა დათათ სერის დარანი, წაიკითხა „ჭაიტის ეკლესიის ხუცური წარწერა"... გადმოიღო „კოჭიათ ნაფუზარში" მიწის თხრის დროს ნაპოვნი ჩუქურთმიანი ფიგურული გამოსახულებანი, ღიტოს კაკლებთან მდებარე ლურსმულად მიჩნეული წარწერა და სხვა.[62] ე.ი. ქართველი საზოგადოება მისი კორესპონდენციებით გაეცნო ხიზაბავრის მდიდარ ისტორიულ წარსულსაც და თანამედროვეობასაც.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძე სოფელ ხიზაბავრაში ეწეოდა ფართო ფოლკლორულ მოღვაწეობას (რაზეც საუბარი იქნება ქვემოთ).

საყურადღებოა ისიც, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკით აღშფოთებული ივანე გვარამაძე ხიზაბავრელთა მაგალითით ხმამაღლა მოუწოდებდა თანამემამულეებს: „ ნუ გაზრდით შვილებს უცხოთ წესზე მონური სულით, დროა, ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ... დროა, აღადგინოთ, დაიცვათ თქვენი ძველთა-ძველი, მდიდარი და საამაყო დედა ენა. ტყუილად კი არ უთქვამთ ვაჟკაცობით სახელგანთქმულ ხიზაბავრელებს:

„სამშობლო მისთვის შემრგეა
ვინც დედა ენა იცისო,
ვინც არა, აღარც კაცია,
არა მწამს მისი ფიციო."[63]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძემ ხიზაბავრაში მღვდლად მსახურების პერიოდში მრავალ ცნობილ პირს უმასპინძლა. მათ შორის: მოსკოვის ისტორია — ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარეს — გენერალ კომაროვს. იგი 1882

წელს სწვევია ივანე გვარამაძეს ხიზაბავრაში, იქ რამდენიმე დღეს დარჩენილა და გასცნობია მის ნუმიზმატიკურ მასალას. უფრო ადრე, 70-იან წლებში, მისი სტუმარი ყოფილა ეთნოგრაფი ქალბატონი უვაროვისა პეტერბურგიდან.

1881 წელს ივანე გვარამაძემ ხიზაბავრაში უმასპინძლა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს შემდგომში მის პირველ ბიოგრაფს (1904 წელს ზ. ჭიჭინაძემ დაწერა მონოგრაფია – „ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე).

1903 წელს საქართველოში იმოგზაურა ტირასპოლის ეპისკოპოსმა ბარონ დე როპპმა. მან სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლებთან ერთად მოინახულა სოფელი ხიზაბავრაც. სადაც ეპისკოპოსს ივანე გვარამაძემ გაუმართა სადილი, მანვე მიაწოდა ცნობები ქართველ კათოლიკეთა შესახებ. აგრეთვე გადასცა 800 კაცის ხელმოწერით ქართველ კათოლიკეთა ლათინურ რიტზე გადასვლის თხოვნა.[64]

ამრიგად, ივანე გვარამაძის სახით დიდი ქომაგი ჰყავდათ ხიზაბავრელებს. იგი ის ადამიანი იყო, რომელზეც მისი თანამედროვენი ხმალლა ამბობდნენ: „ვიღას არ უყვარს თავის სამშობლო, მაგრამ ვინმე მესხის სიყვარული სულ სხვანაირი სიყვარული იყო. იგი ამ სიყვარულს კიდეც ქმნიდა და კიდეც ქადაგებდა“.

# კონსტანტინე გვარამაძე
# (1869-1943წწ.)



კონსტანტინე გვარამაძე — ივანე გვარამაძის ვაჟი — იყო ერთ-ერთი მესხი განმანათლებელი. მას მოუ-წია ხიზაბავრის სკოლის მოსწავლეობაც და მასწავ-ლებლობაც. 1907-1910 წლებში პირადი თხოვნის საფუძველზე მუშაობდა ხიზაბავრის სკოლის მას-წავლებლად. ამასთანავე, მას დიდი წვლილი მიუძღვის ხიზაბავრის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შეს-წავლაში. იგი მასალებს სისტემატურად ათავსებდა ჟურნალ „აკაკის კრე-ბულში". კერძოდ, ეს იყო: სოფლის გეოგრაფია, მდებარეობა, ბუნება, კლიმატი, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი, ჩაცმულობა. სოფლის მეურნეობა, ფლორა-ფაუნა, ოჯახი, ნაგებობანი, სარწმუნეობა, ზეპირსიტყვიერება. ე.ი. ხიზაბავრის მაგალითზე წარმოდგენილი ჰქონდა ჯავახეთის ტიპიური სოფლის სრულ-ყოფილი აღწერა. საყურადღებოა მისეული დასკვნაც: „ვისაც სურს ჯავახეთის ეთნოგრაფიული და სხვა ცნობების შეკრება, საკმარისია ნახოს ხიზაბავრა. ჯავახეთის ძველ თქმულებას, ჩვეულებას და სიმღერას აქვე ამოსწურავს, რადგანაც ამ მხრივ აქ უფრო ყოველივე ხსენებულნი დაცულია ვიდრე ჯავახეთის სხვა სოფლებში.[65] კონსტანტინე გვარამაძემ თავისი ფოლკლო-რისტული მოღვაწეობით მოიძია და იმავდროულად განადგურება-დავიწყებას გადაარჩინა მდიდარი მასალა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კ. გვარამაძეს დიდი წვლილი მიუძღვის მესხეთში თეატრის ფუნქციონირებაში. მან 1904 წელს რაბათში (ახალციხის ძველ ნაწილში) ჩამოაყალიბა თეატრალური დასი და დაარსა თეატრალური სცენა. ის თვითონაც წერდა სცენარებს. კერძოდ, ის იყო ავტორი სცენარისა „ხიზაბავრული ქორწილი."[66]

კონსტანტინე გვარამაძეს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ხიზაბავრაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა და მისი წიგნადი ფონდის შევსების საქმეში (აღნიშნულის შესახებ ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ).

უნდა აღინიშნოს, რომ კ. გვარამაძე მამასთან ერთად იმყოფებოდა ეპისკოპოს ბარონ დე როპპის დამხვედრ დელეგაციაში. ეპისკოპოსისათვის, სოფელ ხიზაბავრაში სტუმრობის დროს, მას ასეთი სიტყვებით მიუმართავს: „თქვენი უმოწყალესი კაცთმოყვარული სათნოება დიდს იმედს იძლევა, რომ მოუღებს ბოლოს ჩვენს დაუმორჩილებელს ქართველ კათოლიკეთა და სომეხ კათოლიკეთა შორის ატეხილ კამათს და უკმაყოფილებას, რომელიც ზნეობრივად გვცემს ჩვენ ორთავ და გვაუბედურებს სულიკერძოთაც კი. იმედია, თქვენი მამობრივი უმოწყალესი კაცთმოყვარეობა მიაქცევს ყურადღებას ამ აუტანელს და დამცემს გარემოებას და გვიხსნით ჩვენ ორს ბედშავ და ბედკრულთ ამიერ შეწუხებისაგან და იმიერ სულის წაწყმედისაგან, რისთვისაც ჩვენ ქართველი კათოლიკენი დავალებულნი ვიქნებით ვიყოთ მუდამ თქვენი მლოცველნი".[67] მის სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და დაურწმუნებია ეპისკოპოსი ქართველი კათოლი-კეების მიერ ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლის სამართლიანობაში.

ამრიგად, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეებს დიდი წვლილი მიუძღვით ხიზაბავრის წარმოჩენის საქმეში. სწორედ მათი მეშვეობით გაეცნო ქართველი საზოგადოება ხიზაბავრის წარსულსა და თანამედროვეობას. (ვრცლად იხილეთ, ნ. ყრუაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, 1999წ.)

# მიხეილ ვარძელაშვილი
# (1854-1913წწ.)

მოხსენიებულ პირებთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ სოფელ ხიზაბავრის ისტორიაში თავისი მამულიშვილური მოღვაწეობით ასევე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა აქ მოღვაწე კათოლიკე მღვდელმა მიხეილ ვარძელაშვილმა. მან „იესოს გულის“ სახელობის ეკლესიის სახით სოფელსაც და საკუთარ თავსაც სამუდამო ძეგლი დაუდგა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მან 1901 წელს სოფელ ხიზაბავრაში დააფუძნა ე.წ. სამინისტრო სკოლა. ამისათვის მას იმპერატორისთვისაც კი მიუმართავს. 1902-1903 წლებში კი საკუთარი ხარჯით აუგია სოფლის ორი შენობა — ვაჟებისა და ქალებისათვის, სტამბოლიდან კი სპეციალურად მასწავლებლად მოუწვევია ნინო პარმაქსიზაშვილი, რომელიც გოგონებს წერა-კითხვასთან ერთად ჭრა-კერვასაც ასწავლიდა. მას სამკითხველოს გახსნაც მოუნდომებია. რის გამოც იმპერატორს მიმართა თხოვნით.

მიხეილ ვარძელაშვილი ხიზაბავრის ეკლესიის მღვდლად მოღვაწეობდა 1891-1904 წლებში. მის სოფელ ხიზაბავრაში მოღვაწეობას და განსაკუთრებით „იესოს გულის“ სახელობის ეკლესიის აშენებას უმაღლესი შეფასება მისცა ივანე გვარამაძემ. მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დასახელებული ეკლესიის კურთხევის დროს. „ესრე შვენიერი ეკლესია აღაშენა ქვითკირისა თავის გამჭრიახი მეცადინეობითა, არ დაერიდა არავითარ მგზავრობის შრომას, შეჰკრიბა ქველმოქმედ მორწმუნეთაგან წვლილნი და განაშენა ყოველნაირად შიგნით თუ გარეთ შესაფერის მოწყობილობითა, სამღვდელო შესამოსებით, ბარძიმ ფეხშუმითა და შარავანდითა და ხატ-ჯვრებითა“, — წერდა იგი.

ივანე გვარამაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მამა მიხეილის ორგანიზატორულ ნიჭზე. მიუთითებდა, რომ სოფლადაც და ქალაქადაც მრავალნი არიან დიდი შეძლების მქონენი, რომელთაც მოუსურვებიათ ეკლესიის აშენება ან განახლება მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. მას სოფელ ხიზაბავრაში ეკლესიის მშენებლობა მიაჩნდა ღვთიურ სასწაულად: „ასეთს



მწირს დაგლახაკებულ დაჩაგრულს სოფელში ამნაირი დიდის შენობის ასრე ხელად მოხერხებულად თავსგატანა და სისრულეში მოყვანა სწორედ ღვთიურ სასწაულად უნდა ჩაითვალოს...“[68] მიხეილ ვარძელაშვილი მას სამართლიანად მიაჩნდა „საქებ-სადიდებელ, ღირსეულ მღვდლად. ასეთივე შეფასებას აძლევდა მას მისი თანამედროვე ქართველი ინტელიგენცია. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „კარგი მღვდელია, მსახურობს ხიზაბავრის ეკლესიაში, ირიცხება წარჩინებულ, ამაგდარ მოძღვრად.“ იგი მიხეილ ვარძელაშვილის მიერ ხიზაბავრაში აგებულ სალოცავს სრულიად სამართლიანად ტაძრად მოიხსენიებდა. მართლაც, იგი მოცულობითაც და დანიშნულებითაც ტაძრის ფუნქციას ითავსებდა და რაც მთავარია როგორც ზაქარია ჭიჭინაძე იტყოდა: „იგი შემკობილია ქართულის წარწერებით და მას ნამდვილი საგვარტომო სული

მოსია გარს. ასეთი ტაძრის აგება ამისთანა მიყრუებულ კუთხეში დიდს შრომას და ღვაწლს მოითხოვს ადამიანისგან“.[69]

მიხეილ ვარძელაშვილის მოღვაწეობას სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს კარლო მღებრიშვილის მოგონება (1920წ): „1913 წლის იანვრის 28-ს ნასადილევს 2 საათზე გარდაიცვალა წმინდა იოანე ნათლისმცემლის (ქვემო ეკლესიის) წინამძღვარი დეკანოზი მამა მიხეილ ვარძელოვი, რომელმაც თავისი შრომითა და ენერგიით ორ ალაგას ააგო ეკლესია: პირველი — სოფელ ხიზაბავრაში, მეორე — რაბათში (ძველ ნაწილში) წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც დღეს ძველ ნაწილს — რაბათს ამშვენებს. ხიზაბავრაში ააგო აგრეთვე ეკლესიის სკოლა, რომელშიც დღეს სამი განყოფილებაა.

დაასაფლავეს 31-იანვარს თავისივე აგებულ რაბათში ეკლესიის გალავანში. დიდის ამბით და ხალხის დასწრებით. თავისივე სამღვდელოებით. ღირსი იყო ამ პატივისცემისა. ყველა პატივისცემისაც, უფალმა განანათლოს. დაუტევა მეუღლე, სამი ვაჟი და ერთი ასული“.

(ვრცლად მიხეილ ვარძელაშვილის შესახებ იხილეთ: ს. ყრუაშვილი, „ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში. 2007).

## საზოგადო მოღვაწენი ხიზაბავრიდან

## სიმონ და ანტონ ხუციშვილები

სოფელ ხიზაბავრის ისტორიას ასევე ნათელი კვალი დაამჩნია კათოლიკე მღვდელმა სიმონ გოდებაძე-ხუციშვილმა. ივანე გვარამაძე მას იმ მღვდელთა რიცხვს მიაკუთვნებს, რომლებიც ოსმალთა მძლავრობის პერიოდში არ შეშინდნენ და ცდილობდნენ ქრისტიანთა დაცვას. მას სოფელ ხიზაბავრაში თითო-ოროლობით შეუკრებია მესხეთის სოფლებში დარჩენილი მტკიცე ქრისტიანი მართლმადიდებლები და თავისი ძველი ქვიტკირის ეკლესია მათთვის დაუთმია. თვითონ კი სოფლის განაპირას სხვა მოზრდილი ეკლესია აუშენებია კათოლიკეებისათვის. ე.ი. მას მართლმადიდებლებისათვის კათოლიკობის მიღება არ მოუთხოვია: „ასე ისინიც ქრისტიანობაში დაცულან შეურევლად. საერთოდ კი მრავალი სიკეთე უქმნია ქრისტიანობისათვის".

სოფლისა და ქვეყნის წინაშე ასევე უდიდესი დამსახურება მიუძღვის ხიზაბავრის მკვიდრს კათოლიკე მღვდელს — ანტონ ხუციშვილ-გოდებაძეს. მის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში — ივანე გვარამაძის არქივში. ასევე ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში „სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკეები." საინტერესო ცნობებს შეიცავს მისივე წერილი, რომელიც გაუგზავნა კონსტანტინეპოლის ვაჩენციო მთავარეპისკოპოსს, რომელიც შოთა ლომსაძის აზრით შედგენილი უნდა იყოს 1819-1820 წლებში.

ანტონ ხუციშვილი (გოდებაძე) დაიბადა 1770 წელს, რომში მიიღო განათლება. 1807 წელს ეკურთხა მღვდლად. თავდაპირველად განუწესებიათ ახალციხეში. შემდეგ, სხვადასხვა დროს, მსახურობდა უდეში, ვალეში, არალში, მშობლიურ სოფელ ხიზაბავრაში. ერთი პერიოდი, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქუთაისშიც ყოფილა მღვდლად. სწორედ იმ დროს გადაუწერია ერთი ქართული ხელნაწერი „ღვთის მეტყველება", მას აქვს ანტონ ხუციშვილის ნუსხური წარწერა: „მონამან ღვთისამან ჯვრის ცხოვლისამან, მე ხიზაბავრელმან ხუციანთ ანტონმა,

ოდეს ვიხილე ესე წიგნი „ღვთის მეტყველება“ აღმეძრა სიყვარული, რათამცა აღვწერო და კვალადაც აღვასრულე ნატვრა და წადილი ჩემი, ამ საღმრთო წიგნის მღვთის მეტყველების მთავრობისა პიოს მეშვიდის, რომის პაპის და სასწაულისა შინა პატრი ცერინესისა, მეფობასა შინა სოლომონ არჩილიანისა, წელსა მაცხოვრისასა 1800 წელს, ენკენისთვის 15. ქუთაისსა შინა“. ივანე გვარამაძის ცნობით მამა ანტონს მრავალნაირი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობაზედ. „სხვათა შორის მაჰმადიანებიც გაუქრისტიანებია და ფარ-ხმალ ამოღებული უშიშრად ძლიერ მეომრისავით წინ სდგომია ოსმალების მძლავრობას“. მისი რჩევით და ხელშეწყობით ხიზაბავრელებს მრავალი ტყვე გაუთავისუფლებიათ ლეკებისა და ოსმალებისაგან.

ხიზაბავრაში ანტონ ხუციშვილის მღვდლად განწესების პერიოდში ხერთვისის ბეგი ყოფილა „ღვთის რისხვა ბატონი“— ვინმე ლაზი ბაშაღა. მას უსამართლობით აუოხრებია ხერთვისის მაზრა, ქრისტიანი მოსახლეობიდან აუყვანია მძევლები, ხოლო ქვრივ-ობლები ტყვედ გაუყიდია. „დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ბაშაღასთვის მამა ანტონ მღვდელსა, არც მძევალი მიუცია და არც არა ქვრივ-ობოლი გაუყიდვინებია ტყვედ ხიზაბავრითგან... მამასახლისადაც ჰყოლია ძლიერი კაცი გოგალათ გოგია, რომ მისი შიშით თურმე ვერც ოსმალნი და ვერც ლეკები მოადგამდნენ ფეხს სოფელ ხიზაბავრაში.“[70] ჩვენამდე მრავალმა გადმოცემამ მოაღწია მღვდელ ანტონ ხუციშვილისა და მამასახლის გოგალათ გოგიას შესახებ. მაგალითისათვის დავასახელებთ ერთ ამბავს. ერთხელ თურმე მამასახლისი გოგია შეხვედრია თათრებს გომთან (მდ. მტკვრის სანაპიროზე — ხიზაბავრის ტერიტორიაზე). მათ ტყვედ ჰყოლიათ თეთრწვერა მოხუცი მღვდელი და ნეფე-დედოფალი, რომლებიც მიჰყავდათ ხერთვისში ბეგთან. გოგია მამასახლის ჭკუა უხმარია და თათრებისათვის უთქვამს — ხერთვისი შორს არის, ამაღამ გზაში ნუ დარჩებით, ჩემს სოფელში გაათიეთ და ხვალ დილით გაგაცილებთო. ყველანი ხიზაბავრაში მისულან. ანტონ მღვდლის ნებართვით ხიზაბავრელებს შეუფარებიათ ისინი. კერძოდ, ერთ-ერთი მოსახლის — ფირფირას სახლში გაჩერებულან. ვახშმობისას

მამასახლისს უთქვამს თათრებისათვის ტყვეებს მეორე ოდაში გავიყვანთ პურის საჭმელადო. სინამდვილეში დარანში ჩაუყვანიათ, დარნის ჩასასვლელი დაუხურიათ და ზემოდან ლოგინი გაუშლიათ, თათრებს თავიანთი ტყვეები ველარ უპოვიათ, ისინი დაურწმუნებიათ გაიპარნენო. სახლის პატრონს ფირფირას კი ტყვეები გათენე-ბამდე წალკაში გადაუყვანია და მეორე დღეს თავის სოფლამდე მიუცილებია.[71]

გოგია გოგალაძის ვაჟკაცობის ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მისი სახელი დღემდე ცოცხლობს ხიზაბავრელთა შორის. ერთ-ერთი მთხრობელი სპარტაკ გოგალაძე[72] (სოფ. ხიზაბავრა, 25 წლის, 2008წ.) მოგვითხრობს თავისი დიდი წინაპრის გმირობას წინაპართაგან გადმოცემულს. თურმე ერთხელ გოგია გოგალაძე ტყეში წასულა ცხენით შეშის მოსატანად. იქ შეხვედრია ხერთვისის ბეგი თავისი მსახურებით. იგი ძლიერი ვაჟკაცი ყოფილა, ორი თითით ტეხდა თურმე თხილს. გოგი გოგალაძისათვის უთქვამს: აბა შენ თუ გატეხ თხილს ორი თითითო. გოგიას თავისუფლად დაუმტვრევია თხილი, ამის შემდეგ შეუთავაზებია ჭიდაობა. უთქვამს: თუ წამაქცევ 12 ვირის საპალნე შეშას კარებზე დავცლიო. უჭიდავაიათ და გოგიას უჯობნია. თათარს სიტყვა არ გაუტეხია, ჩამოსულა სოფელში და თორმეტივე ვირზე აკიდებული შეშა გოგიას კარებზე დაუცლია. გოგია მას შესაფერისად გამასპინძლებია, მის შვილებს კი შეშა ისევ აუკიდიათ ვირებზე და გაუტანებიათ.

ხერთვისის ბეგს გოგია ხერთვისში მიუწვევია საჭიდაოთ. გოგია წინადღით წასულა და ღამე სიფრთხილის მიზნით ბეგის ბაღში გაუთენებია. გამთენიისას თორმეტი თათარი დასხმია თავს, მაგრამ თორმეტივე მათრახით აუჭრელებია.

გათენებულა და ხლებია ბეგს. მას უთქვამს: დღეს თუ შენ წაიქეცი იცოდე სახალხოდ მოგაჭრი თავსაო. გ. გოგალაძეს სამჯერ უჭიდავია და სამჯერვე დაუმარცხებია მეტოქე. ამის შემდგომ წამოსევიან თათრები და მისი მოკვლა განუზრახავთ, მაგრამ ბეგს ამის ნება არ მიუცია. თავისთან აუყვანია. როცა სახლში შედიოდა თურმე ერთმა თათარმა მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: რა თათრული მხარბეჭი გაქვსო. გოგიას

უხეში პასუხი გაუცია. ბეგი კი შესაფერისად გამასპინძლებია და პატივით გაუშვია სოფელში.

ჩვენამდე მოაღწია მისი სიკვდილის ამბავმაც. რამდენადაც ძლიერი ვაჟკაცი იყო და მტერს არ ახარებდა, მტერიც ბევრი ჰყავდა. მას გადამტერებიან ლეკები. დიდხანს ცდილობდნენ თურმე მის შეპყრობასა და დასჯას. სოფელზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოსახლეობა, როცა დარნებში დამალულა. გოგიაც თავის დარანში ჩასულა. ლეკებს მისი ადგისამყოფელი უთხრა ერთ-ერთი გვარის შემარცხვენელმა, თან ასწავლა მას მხოლოდ ქამანდით თუ დაიჭერთ, ისე ვერ მოახერხებთო. თვითონ კი დარანთან მივიდა და უთხრა: გოგი გამოდი არავინ არისო. გოგია გამოვიდა და ლეკებმა ქამანდით დაიჭირეს. წყაროსთან როცა გაატარეს, გოგიას უთქვამს ლეკებისათვის: ვიცი მომკლავთ და სიკვდილის წინ ერთი თხოვნა შემისრულეთო. მან დარანში ჩაჰყვირა: მტერი ისევ სოფელშია არ ამოხვიდეთო, გოგალათ გოგია ვარ და დაასახელა ვინც გაჰყიდა. ლეკებმა გოგიას ყელი გამოსჭრეს სისხლოანების ყანებში. შემდეგ მკერდი გაუჭრეს, ასეთი ვაჟკაცი, რომ იყო რა გული ჰქონდაო. თურმე ორყიჟელა გული ჰქონია მას.

ანტონ მღვდელსა და გოგია მამასახლისს მრავალი ტყვე დაუცვიათ თავიანთი უშიშრობით, ვაჟკაცობით და გონივრულობით. გადმოცემით, გოგია მამასახლისი მარჯვენა ხელი იყო თურმე ყოველ მოღვაწეობაში მღვდლისა"[73] ასეთი საქციელის გამო ხერთვისის ბეგს ბაშაღას ანტონ ხუციშვილისათვის მკვლელი მიუჩენია, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ მისი მოკვლა: „უშიში და გამჭრიახი იყო, საკვირველი ენაპირიანი, მტერს თავს შეაყვარებდა, თავს რომ ვერ მოუვიდა ვერას ღონისძიებით და მტრობით ბაშაღა, მაშინ იხმო და ძვირფასი ხალათით დაასაჩუქრა,"[74] — წერს ივანე გვარამაძე.

XIX საუკუნის 20-იან წლებში მამა ანტონი ახალციხელ ვაჭრებს გაჰყოლია ინდოეთში სამოგზაუროდ და იქ რამდენიმე წელი დარჩენილა.

ანტონ ხუციშვილის სახელს უკავშირდება ხიზაბავრაში „ღვთის მშობლის" კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა —

1828 წელს. ანტონ მღვდელი თავისი დროის შესაფერისად განათლებული ყოფილა. „ქართულ მწერლობით მოღვაწეობით ხომ არავინ ჰყოლია მას თანასწორი“, — ასეთი მაღალი შეფასება მისცა მას ივანე გვარამაძემ. იგი ყოფილა კარგი კალიგრაფი და მრავალი წიგნი გადაუწერია. მათ შორის: გორელი ტულუკაანთ დავითისაგან ლათინურიდან თარგმნილი თომა კემპელი, ღვთისმშობლის სასწაულების წიგნი, ლოცვის წიგნები, მთელი ძველი აღქმა, მხედრულად გადაუწერია მრავალი ქადაგების წიგნი შაჰყულიანის მიერ ლათინურიდან თარგმნილი, ეკლესიის ცხოვრება მეშვიდე საუკუნემდის, ასევე სხვადასხვა სასარგებლო წიგნები. მის მიერ არის გადაწერილი „ქართული ზენაური საგალობელისა და ბზობის — საღამო ელკესიით კარის განღების წესის“ ხელნაწერი წიგნი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელნაწერი ქართველ კათოლიკე მოძღვრებს შემდგომ იმის საბაბად მოჰყავდათ, რომ ძველთაგანვე არსებობდა ქართველ კათოლიკეთათვის საკმაო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, რაც ქართული კათოლიკური რიტის არსებობის უდაო საბუთიც არისო. ამასთანავე, საყურადღებოა მისი ვრცელი მოხსენება კონსტანტინეპოლელი ვარჩენციო მთავარეპისკოპოსისადმი — შეიცავს საყურადღებო ცნობებს XIX საუკუნის პირველი მეოთხედის სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. მისი წერილები ანგარიშგასაწევი წყაროა ჩვენი ისტორიისათვის.

ანტონ მღვდელს სცოდნია მხატვრობა: „ყვავილებს სჭრიდა ფიცარზედ გორგორების ქიმებზედ და დასაწერ წიგნების ფურცლებს არშიებს უვლიდა, სათაურებს ყვავილებს უბეჭდიდა.“[73] სიცოცხლის ბოლოს დაუძლურებულა და ხელის კანკალის მიზეზით წერა უჭირდა, რის გამოც ბევრი სინანულს გამოთქვამდა:

„ტერ ანტონ ხუციანოვსა სიყრმიდგან ჰუნართ ღებასა,
წიგნების კალმით წერვაში ვერვინ ედარების მასა,
სალმთო წერილი აღწერა მწერალთა განაკვირვებსა,
ეს ჰრაშიცი და სხვანიცა ქართულად თარგმანებასა.

აფსუს მის მშვენიერს კალამს, შენკობილსა ფერებასა,
ყვავილებით და ქანრებით მოკაზმულთა ტრელებასა,
აწ ხელნი უკანკალებენ, ცერი თითებთან კრებასა,
თურმე ასრეა ქვეყანა — თანდათან წავა კლებასა.
შეთხზული არს ტიხ".

ანტონ ხუციშვილის ხელოვნების მოყვარულნიც მრავლად ყოფილან, ბევრს სახოტბო ლექსიც გამოუთქვამს:

„ხელოვანი ხელი მჭევრი არ დასცხრების, დრო
აქუს ვირე,
ამკობს ვარდს ყუავილებითა, წერა-სახუა განახშირე,
სიბრძნის მოყუარე ისურე, რად ღირს სემვირე
და მას ეშვილე გინა ეძმე, მგზავრს არღა აგიჩნდეს
მწვირე.

ანტონ მღუდელს გოდებაძესა ვუქებ კალმისა ჭერასა,
მიწყივ ულუწია წერანი ძოწ-ლალსა, ბროლ-ნაჭერასა,
მელნის ტბით ურწყავს ორძილნი ბროლით გიშრისა
ჭერასა
და ვარდი წყლიანი თუმც საჭვნდეს, ნუ დასთმობ
ყნოსა-მზერასა.

ივანე გუარიძე".[76]

ივანე გვარამაძე ასევე ამახვილებდა ყურადღებას იმაზეც, რომ ანტონ მღვდლის ახლო ნათესავი იყო მისგანვე განსწავლული იოსებ ხუციშვილი. მიუთითებდა, რომ იოსებმა მოიგონა ქართული წიგნების ბეჭდვა ანტონ მღვდლის ხელმძღვანელობით.

ანტონ ხუციშვილი გარდაიცვალა 88 წლის ასაკში — 1858 წელს მშობლიურ სოფელ ხიზაბავრაში. იქვეა დაკრძალული ეკლესიის ეზოში.

*   *   *

როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა ოსმალთა ბატონობის პერიოდში ხიზაბავრა ხშირად ხდებოდა სხვადასხვა სოფლებიდან გამოქცეული ქართველების შესახიზნარი. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო იმით, რომ იგი განთქმული ყოფილა შესანიშნავი მეომრებითა და ფალავნებით.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრა ფალავნების კერად იყო ცნობილი,

მათ „ხიზაბავრელობით" მოიხსენიებდნენ. დაუმარცხებელი ფალავნები იყვნენ: დავით, გიორგი, ზაქარია ხიზაბავრელები და სხვანი. (ამ საკითხს მიეძღვნა გაბრიელ ბარჯაძის საინტერესო ბროშურა „ფალავანი  დავით ხიზამბარელი". ასევე მდიდარი მასალაა დაცული მიხეილ ველჯანაშვილის წიგნში „ხიზაბავრის მეგზური"). აღსანიშნავია ისიც, რომ ხიზაბავრაში 2004 წლიდან ადგილობრივი მკვიდრისა და ასპინძის რაიონის დეპუტატის რამაზ თედორაძის ინიციატივით აღდგენილ იქნა ჭიდაობის ძველი ტრადიცია. ოქტომბრის  დასაწყისში იმართება დავით ხიზამბარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.



ფალავანი — დავით ხიზამბარელი (შუაში)

# ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲛᲔᲡᲮᲘ ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ“

სოფელ ხიზაბავრის ისტორიული მისია სამცხე-ჯავახეთისა და საერთოდ მთელი ქვეყნის წინაშე XIX საუკუნეშიც გაგრძელდა. აღნიშნულ პერიოდში იგი მესხ განმანათლებელთა სამოღვაწეო ასპარეზს წარმოადგენდა.

მოძიებული მასალებით ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთში პირველი სტამბის დაფუძნება უკავშირდება ხიზაბავრელ კათოლიკე მღვდელს — იოსებ ხუციშვილს. მის ბიოგრაფად შეიძლება მივიჩნიოთ მისივე თანამედროვე და დაახლოებული პირი ივანე გვარამაძე. იოსებ ხუციშვილი 1800 წელს დაიბადა. 1831 წელს უკურთხებიათ მღვდლად და იმთავითვე გაუმწესებიათ სოფელ ხიზაბავრაში. ივანე გვარამაძე მამა იოსების ხიზაბავრაში მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის: „ძველ ნანგრევ კოშკის ადგილას ააშენა ეკლესია 1844 წელს და უვლიდა ერს რიგიანად“. იგი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა სოფელ უდეში, არალში, ახალციხეში, საჭიროებისამებრ რამდენჯერმე მოუხდა სოფელ ხიზაბავრაში დაბრუნება. ივანე გვარამაძის მითითებით „მან არ დააკლო თავისი ჩვეულებრივი მეცადინეობა თუ ეკლესიებში და თუ მრევლში. ამის გამო ამორჩეულ იქნა ჩვენის ეპარქიის ეპისკოპოსისაგან ორჯერ თუ სამჯერ ჩვენის სასულიერო ს.კ. მმართველობის პატივცემულ წევრად“.[77] ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების მითითებით იოსებ ხუციშვილის უპირველესი დამსახურება იყო სტამბის დაფუძნება. „თავისთავად გამოიგონა ქართული პრესის კალაპოტი და ერთხანად ჰბეჭდავდა წიგნებს, ვიდრე არ დაეშლებოდა მთავრობისაგან.“[78]

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან ორმა სწორედ ივანე გვარამაძის დამსახურებით მოაღწია ჩვენამდე და ამჟამად დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ერთ-ერთი მათგანი „პარტეზი სულიერი, რომელსაცშინა შეიკრიბებიან მრავალნი მხურვალე ლოცვანი დაბეჭდილი წელსა უფლისასა 1836, მაისის 7. პირმშო“[79] — ი. ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი პირველი





იოსებ ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი

წიგნია. ამასთანავე, ამავე წიგნის ბოლო გვერდზე ლექსადაა წარმოდგენილი ავტორის სიტყვა:

„ჩემს ძალზედ მეტი საქმე, დიაკვნობაში ავსახე,
სადნობელი მადნისაგან წერვის ასონი ჩავსახე,
საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვნახე,
კურსი ვჰკარი ჩამოვასხი, ქაღალდზედა ასო ვსახე,
წამკითხველსა გიადვილებს, ამ წიგნის თარიღი ნახე,
ჩინი ასო ხელთ დაიპყარ, ყარი მის ახლოს მონახე,
ოცდაათი ლასით შეჰკარ, ექვსიც მასთან გამონახე,
სრული თარიღი მუნ გამცნოს, მეხუთე თვის შვიდი ნახე,
აღვასრულე ქრისტეს ძალით, ზემ ხსენებულ თარიღისა,
სასჯელი ბევრი გავწიე, გვირგვინად მივეცი ერსა,
სახელი დავსდევ პარტეზი, ქართულად ბალი თარგმნესა,
მომიხსენიეთ მეც ძმანო, თქვენი ლოცვა წინ მხვდესა“.

მოხსენიებული ლექსიდან გამომდინარე, ილია მაისურაძე სამართლიანად შენიშნავდა: „ნათლად ჩანს, რომ ჩვენ მართლაც საქმე გვაქვს მოხალისე, თვითნასწავლ ხელოსანთან, ისეთ მესტამბესთან, რომელსაც სტამბა არასოდეს ენახა და მაინც წიგნის ბეჭდვა მიზნად ჰქონდა დასახული.“[80]

იოსებ ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი ერთ-ერთი წიგნის სათაური „მოთხრობანი სულთა განსაწმენდელისა: დაბეჭდილი წელსა უფლისასა 1838 მარტს ხელითა ხუციანთ იოსებისა ხიზაბავრაში“ გვაფიქრებინებს, რომ ი. ხუციშვილმა სტამბა თავდაპირველად დააფუძნა სოფელ ხიზაბავრაში და იქვე ფუნქციონირებდა 1836-1838 წლებში, შემდეგ კი გადაიტანა ახალციხეში.

იოსებ ხუციშვილი სტამბაში ბეჭდავდა საერო და სასულიერო ხასიათის წიგნებს, გაზეთ „ივერიის“ ცნობით, მას საკუთარი ლექსების კრებულიც დაუბეჭდავს.

ქ. ახალციხეში ი. ხუციშვილის სასტამბო მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1846 წელს მას მთავრობამ ოფიციალურად აუკრძალა წიგნების ბეჭდვა და განადგურებულ

იქნა საბეჭდი დაზგა. ამრიგად, იოსებ ხუციშვილის სტამბა ფუნქციონირებდა 1836-1846 წლებში. არსებობის ათი წლის მანძილზე რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხასიათის წიგნი იქნა დაბეჭდილი. რომელთა უმთავრესი დანიშნულება სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის განათლება იყო, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-შენარჩუნება და კულტურული დაწინაურება. გარდა აღნიშნულისა, მათ სახელმძღვანელოს დანიშნულებაც ჰქონდათ, რამდენადაც იოსების სახლში ე.წ. „სავაჟებო" და „საქალებო" სკოლა ჰქონდა, სადაც თავის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს იყენებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იოსებ ხუციშვილის სტამბა იმ დროს ერთადერთი ქართული სტამბა იყო. მოგვიანებით — 1890 წელს გაზეთი „ივერია" საზოგადოებას ამცნობდა: „ვინ მოიფიქრებდა, რომ საქართველოს მიყრუებულ ადგილებში თურმე გუტენბერგები ჩნდებიან. წელს თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ახალციხეში გარდაიცვალა ერთი ასეთი გუტენბერგი".[81]

1939 წელს კი კონსტანტინე გვარამაძე წერდა: „ხუციანოვი მღვდელი იოსებ მსახურობდა დიდხანს ახალციხის ჯვრის ეკლესიაში და იქვეა დასაფლავებული გალავანში. თავისი საფლავი იოსებმა ორიოდე წლის წინედ თვითონ თავისი ხელით ამოთხარა სიკვდილის სიახლოვე იგრძნო თუ არა. მისი საფლავის ქვაზე ჩასმული მარმარილო ბავშვებს გაუნადგურებიათ და ნაწერები აღარ აქვს. საჭიროა დავაწერინოთ იმ ქვაზე მაინც ვინაობა, რომ არ დაიკარგოს საფლავი ცნობილი მესხეთის ჰუტენბერგისა."[82] მოგვიანებით კი შოთა ლომსაძე მიუთითებდა: „იოსებ ხუციშვილის საფლავი დღეს დაკარგულად ითვლება. მისი მიკვლევა და დადგენა კი სრულიად იოლი საქმეა. იგი დასაფლავებულია ახალციხის კათოლიკეთა ჯვრის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელთან.[83]

იოსებ ხუციშვილის საფლავი მოძიებულ იქნა მისი თანასოფლელის მიხეილ ველიჯანაშვილის თაოსნობით და 1976 წელს „მესხი ჰუტენბერგის" ნეშტი გადასვენებულ იქნა მშობლიურ სოფელში — ხიზაბავრაში.

# დომინიკე ივანეს ძე პაწაძე (მუღაშაშვილი) (1864 —1911 წწ.)

სოფელ ხიზაბავრაში აღზრდილ ცნობილ ადამიანთა შორის მოიაზრება დომინიკე ივანეს ძე პაწაძე (მუღაშაშვილი), იგი დაიბადა 1864 წელს სოფელ ხიზაბავრაში. მისი წინაპრები ახალციხელი — რაბათელი მართლმადიდებლები ყოფილან. მესხი განმანათლებელი კონსტანტინე გვარამაძე მას „ძველად ახალციხელად" მოიხსენიებს. იგივეს ასაბუთებს მისი შთამომავალი კობა მუგასაშვილი-პაწაძე.[84] მისი წინაპრები 1600 წელს თურქებს გამოქცევიან ახალციხიდან, სოფელ ხიზაბავრაში შეუფარებიათ თავი და იქვე დამკვიდრებულან საცხოვრებლად. კათოლიკური სარწმუნოებაც მიუღიათ და რატომღაც პაწაძეების ნაცვლად მუღაშაშვილები-მუგასაშვილები გამხდარან.

დომინიკე მუღაშაშვილის მასწავლებელი ყოფილა ივანე გვარამაძე. სწორედ მისი მონდომებით და ხელშეწყობით გაიგზავნა სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასულიერო სემინარიაში და შემდეგ რომში სასწავლებლად. სარატოვის ეპისკოპოსმა აკურთხა მღვდლად. მსახურობდა თბილისის კათოლიკეთა ეკლესიაში და სხვადსხვა სასწავლებელში. კათოლიკეთა ბავშვებს ასწავლიდა საღმრთო რჯულს. ის მთელი სიცოცხლის მანძილზე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ დომინიკე თანამშრომლობდა მიხეილ თამარაშვილთან. მისი ნაშრომის — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"— დაბეჭდვისას ყოველგვარ ტექნიკურ საქმეს უძღვებოდა დომინიკე პაწაძე. 1902 წელს იგი თამარაშვილს სწერდა: „დასრულდა ბეჭდვა თქვენი დიდი ხნის ნატრული წიგნისა. თქვენი მოწერილობისამებრ რაც შემეძლო ისე მოვიქეცი"

დომინიკე პაწაძის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება იყო ჟურნალის „ჯვარი ვაზისა" დაფუძნება. იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „გაზეთების საშვალებით გაიგებდით, რომ ახლა გამოვა კათოლიკეთა ორგანო სასულიერო გაზეთი თბილისში. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი დავიდარაბის შემდეგ



მივიღე ჩვენი ეპარქიის ეპისკოპოსისაგან ნებართვაც — ლოცვა-კურთხევაც რომ გამოვცე ჩემი რედაქტორობით და გამოცემით ქართულს ენაზედ გაზეთი ჯვარი ვაზისა. გუბერნატორსაც წარუდგინე სათხოვარი რომ მალე დართოს ნება... აქ თბილისში ყველა არაკათოლიკეებმა მომიწონეს ჰაზრი და შემწეობასაც დამპირდნენ... რაც შეეხება ჩემს გაზეთს ბევრი თავში მკაკუნებელი შემოეხეთება გზაში, მაგრამ მგლის შიშით ცხვრის ფარა არავის დაუწყვეტია."[85] მართლაც, დომინიკე პაწაძის თაოსნობით და მისივე ხარჯებით 1906 წლის 26 მარტს თბილისში დაფუძნდა „ჯვარი ვაზისა"— ყოველკვირეული საზოგადოებრივი გაზეთი — ეს იყო ქართველ კათოლიკეთა მშობლიურ ენაზე კათოლიკეთა სასულიერო პერიოდული ორგანო. ამასთანავე, მისი სახელი იყო მართმადიდებელ ქართველობასთან თანადგომის სიმბოლო. ჟურნალ „ჯვარი ვაზისა" 18 ნომერი გამოვიდა.

ჟურნალის მისია ძალზედ დიდი იყო. იგი აქტიურად ეხმაურებოდა ყველა მტკივნეულ საკითხს. მათ შორის: მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ჰგმობდა მეფის ხელისუფლების რეაქციას, აშუქებდა მწვავე სოციალურ საკითხებს და ა.შ.

ილია მაისურაძე დომინიკე მუღაშაშვილის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად სამართლიანად მიიჩნევს მის მონაწილეობას 1909 წელს აკაკი წერეთლის კონსტანტინეპოლში გამართულ საიუბილეო ზეიმში. სადაც მან არამარტო უზრუნველყო ამ ზეიმის ორგანიზება, არამედ საინტერესო მისასალმებელი სიტყვაც წარმოსთქვა.[86]

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დ. მუღაშაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობას. 1904 წელს თბილისში დაიბეჭდა მისი „შემოკლებული საღმრთო ისტორია". გარდა ამისა, ჟურნალში „ჯვარი ვაზისა" დაბეჭდილი მრავალი სტატია მისი დაწერილი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ დ. მუღაშაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში, სხვადსხვა დროს ცხოვრობდა ახალციხეში — სადაც სწავლობდა ივანე გვარამაძის მიერ დაარსებულ სამრევლო სკოლაში, თბილისში იყო კათოლიკეთა ეკლესიის მოძღვარი, აგრეთვე მოღვაწეობდა ბათუმსა და გორში. ბოლოს კი დასახლდა თავისავე დაფუძნებულ სოფელ ბეთლემში (ამჟამინდელი ახალხიზა).

დომინიკე მუღაშაშვილმა უანგარო სამსახური გაუწია თავის თანასოფლელებს. სათავადაზნაურო ბანკის მეშვეობით შეისყიდა მიწის ნაკვეთები სკრის მახლობლად (ქარელში — შალიკაშვი-ლების მამულებიდან) და ხიზაბავრიდან გადმოსახლებული 30 ოჯახი ჩაასახლა. დაარსა ახალი სოფელი ბეთლემი. კონსტანტინე გვარამაძე გადმოგვცემს, რომ ეს არ მოუწონეს ოსეთიდან გადმოსახლებულმა ოსებმა, წინააღმდეგნი ყოფილან ხიზაბავრელთა ჩამოსახლებისა დაკავებული მიწების დაკარგვის შიშით. „გადემტერნენ ოსები გადმოსახლებულ პატრს და თავის სახლში თოფით მოკლულ იქნა ოსებისაგან".[87] — წერდა იგი. ეს მოხდა 1911 წელს. მაშინ, როდესაც დომინიკე მუღაშაშვილი

კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრის უფროსად იყო არჩეული და აპირებდა კიდეც წასვლას.

დ. მულაშაშვილი დაკრძალეს გორის კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში. მისი სამარის ლოდზე გაკეთდა წარწერა: „აქ განისვენებს რედაქტორი „ჯვარი ვაზისა", დამფუძნებელი სოფელ ბეთლემისა პატრი დომინიკე მულაშაშვილი (პაწაძე). დაიბადა 1864 წელს სოფელ ხიზაბავრაში, ტრაგიკულად მოკლული ავაზაკთაგან 28 ოქტომბერს 1911 წლის. განსვენება საუკუნო მიანიჭე მას უფალო."

დ. მულაშაშვილის მუხანათურმა მკვლელობამ ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. სოლომონ ბავრელმა (სოლომონ ასლანიშვილი) „სახალხო გაზეთში" დეტალურად აღწერა დ.მულაშაშვილის ყველა დამსახურება: „მამა დომინიკე დიდხანს იყო ვიკარნათ ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში, მაგრამ რამდენიმე სამღვდელოების (სომეხ-კათოლიკების) ინტრიგების გამო, დომინიკე ეპისკოპოსის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს და უმრევლოდ დარჩა. თავის ძალ-ღონეს არ ზოგავდა მეზობელ სოფლების საკეთილდღეოდ. იმან გადმოასახლა გორის მაზრაში ხიზაბავრიდან 40 კომლამდე და ზოგიც კახეთში და მამაობრივ ზრუნვას არ აკლებდა. კიდევ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება ჰსურდა, მაგრამ არ დასცალდა."[88]

დომინიკე მულაშაშვილს სიცოცხლეშივე უმაღლესი შეფასება მისცა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი ერთ-ერთ ნაშრომში „ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები" (1904წ.) წერდა: „პატრი დომინიკე ნულაშოვი (მულაშაშვილი — ნ.ყ.) ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრელია, სწავლა მიიღო კონსტანტინე-პოლს, მერე რომს, შემდეგ დაბრუნდა სარათოვს, ეპისკოპოსისაგან ეკურთხა მღვდლად, დღეს მსახურობს თბილისის კათოლიკეთა ეკლესიაში. იგი ირიცხება ერთს უწარჩინებულეს პატრად, სუფთა, უანგარო მღვდელია, უეშმაკო, მრევლის გულშემატკივარი. მღვდელმოქმედების გარეშე იგი აქა-იქ სხვადასხვა სასწავლებელში კათოლიკეთა ბავშვებს სამღვთო სჯულსაც ასწავლის... იგი მეტად დაუზარელი მსახურია თავის მოვალეობის ასპარეზზედ და უმწიკლო".[89]

ამრიგად, მისი სახით სოფელ ხიზაბავრაში აღიზარდა კიდევ ერთი ღირსეული ქართველი. სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად არის ცნობილი მისი პიროვნება და მოღვაწეობა თვით ხიზაბავრელ-თათვისაც.

უნდა აღინიშნოს რომ ქართველი საზოგადოებისათვის ასევე ნაკლებად არის ცნობილი იერონიმე მუღაშაშვილის — დომინიკე მუღაშაშვილის ძმის პიროვნება და მოღვაწეობა. მის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ივანე გვარამაძისადმი ალფონს ხითარიშვილის მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. „დავასაფლავეთ იერონიმე მუღაშაშვილი ხიზაბავრელი, რომელმაც დაასრულა ფრანციაშიდ საქებურად სემინარიის კურსი და რა უნდა ყოფილიყო ხელდასმული ლათინურს ტიპიკონზედ, მიიცვალა ჭრელქის სენითა. ხოლო მისი ძმა დომინიკე მალე წავა სარათოვში და იქ რა იქმნება ხელდასმული მოვა მამულშიც საშრომად“. მართლაც, როგორც დავინახეთ დომინიკე მუღაშაშვილს არ უღალატია მამულისათვის, არ დაუკლია თავისი შრომა და ერთგულება.

# პატრი ალფონს ხითარიშვილი
# (1840-1909წწ.)

პატრი ალფონს ხითარიშვილი ხიზაბავრის მკვიდრთაგანი იყო. იგი დაიბადა 1840 წელს. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ახალციხეში — სამრევლო სკოლაში. შვიდი წლის ალფონსი ავად გამხდარა, მამას აღთქმა დაუდვია – ბავშვის გამოჯანმრთელების შემთხვევაში — მღვდლად გავზრდიო... მშობლებმა იგი კონსტან-ტინეპოლში გაგზავნეს პეტრე ხარისჭირაშვილთან. იქ სწავლის დასრულების შემდეგ მან ჯერ რომში საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი დაასრულა. რომშივე ეკურთხა მღვდლად. 1870 წელს ალფონსი თბილისში დაბრუნდა და სარატოვის საეპისკოპოსომ მღვდლის ხარისხით შეამკო.[90]

თბილისში ყოფნის პერიოდში ა. ხითარიშვილმა 1873 წელს დაბეჭდა ლათინურიდან ნათარგმნი „ვნების კვირა", რომელიც ზ. ჭიჭინაძის სამართლიანი შენიშვნით „იმ დროის ქართველ კათოლიკეთათვის თითქმის ერთადერთ წიგნად ითვლებოდა".[91]

ალფონს ხითარიშვილი თბილისში კათოლიკურ ეკლესიაში მსახურობდა. იგი ყოველთვის ქართულად ქადაგებდა. „მისი ქადაგების ცნობა ისე იყო თბილისში გავრცელებული, რომ მრავალნი ნატვრით ელოდნენ იმ დღეს, როცა კი ალფონსი იქადაგებდა".[92]

თბილისში მოღვაწეობის პერიოდში მამა ალფონსთან ერთი საინტერესო ისტორიაა დაკავშირებული: 1885 წელს საქართველოს ეწვია იტალიის მეფისწული, რომელიც თბილისის კათოლიკურ ეკლესიასაც ესტუმრა საქართველოს გუბერნატორთან ერთად. მარიამის ამაღლების ტაძარში წირვა ქართულ ენაზე ალფონს ხითარიშვილმა აღასრულა. წირვის შემდეგ პატრმა ალფონსმა უფლისწულს იტალიურად მიმართა და მოკლედ მოახსენა, რომ ქართველებს საკუთარი ენა და მწიგნობრობა გააჩნდათ, მოკლედ მოუთხრო საქართველოს წარსულზე. ამცნო, რომ საქართველო რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშირდა 1800 წლის შემდეგ. ჩვენც კათოლიკენი ქართველები გახლავართ, ეს დღევანდელი გალობაც ქართული გალობაა. აქ საქართველოში შედგენილი.[93] მეფისწულმა

მადლობა გადაუხადა პატრ ალფონსს საინტერესო ქადაგებისათვის და კარგი იტალიური ენისათვის. ამ ფაქტმა განარისხა გუბერნატორი. კავკასიის კათოლიკეთა ვიზიტატორისა და ხელისუფლების მოთხოვნით ანტისახელმწიფოებრივი ქადაგე-ბისათვის, ქართულ ენაზე სალვთო სჯულის სწავლებისათვის ალფონს ხითარიშვილი აიძულეს დაეტოვებინა სამშობლო. იგი კონსტანტინეპოლში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წლის მანძილზე იყო კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრი. უნდა აღინიშნოს, რომ პეტრე ხარისჭირაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული სავანის წინამძღვარნი იყვნენ: სერვეთ წერეთელი, სტეფანე გიორგაძე, ალფონს ხითარიშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, პიო ბალიძე (ბალიაშვილი), შიო ბათმანაშვილი, პეტრე ტატალაშვილი, პავლე იაკობაშვილი (ანდღულაძე).

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, კონსტანტინეპოლის სავანეში ალფონს ხითარიშვილს სერიოზული პრობლემები დახვედრია. იგი 1899 წელს მიხეილ თამარაშვილს წერდა: „მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს სახლი ასე გლახაკი დამხვდებოდა და პადრე სტეფანე მარტო თავისი თავისთვის მზრუნველი, ხოლო შორს საქმეთაშინ ამნაირი და უხვი იქნებოდა.[94] იგი სთხოვდა მ. თამარაშვილს სტამბოლში ჩასვლას, რათა ერთად შეედგინათ „რიგიანი გეგმა" — „მონასტრის მართვის პლანის შედგენა".

ალ. ხითარიშვილმა მოახდინა კონსტანტინეპოლის მონასტრის აღდგენა. რაც 150 000 ყურუთი დაუჯდა. იგი მ. თამარაშვილს წერდა: „აგერ ახლა ვასრულებ ეკლესიის შენობასა, რომელიც არის შესანიშნავი და ყველა პატრიოტულ ისტორიების ნიმუშებითაც შემკული. მთავარ ტრაპეზზედ ვსვამ ორ ძეგლსა წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ნინასი, ზედ გამოხატული აქვს საქართველოს ღერბი და ლურდის ტრაპეზს ქვეშ აწერია ქართულ მხედრული ასოებითა: მარიამ ღვთის-მშობელო, საქართველოს მოციქულო მეოხ ჰყვან ჩვენ ცოდვილთა ქართველთა".[95]

ალ. ხითარიშვილს თავის შემცვლელად მიაჩნდა მიხეილ თამარაშვილი. ამიტომ წერდა: „ჩამოდი, მიგიღებ კარგად. მობრძანდი შენს მონასტერში. რადგან მარტო შენზედ მაქვს



იმედი, რომ ჩემს მოხუცებულობაში მინუგეშებ და ჩემს შემდგომაც მიიღებ წინამძღოლობასა დაააყვავებ ამა გვარისა უკვდავებასა განათლების წყაროსა“.[96]

რამდენიმე წლის შემდეგ მონთობანში გადაიყვანეს და 1905 წელს იქვე დასახლდა. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მას ურთიერთობა და თანამშრომლობა არ შეუწყვეტია თანამემამულეებთან. კერძოდ, მიმოწერა ჰქონდა ივანე გვარამაძესთან. მის მიერ გაგზავნილი წერილები ინახება სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. გარდა თანამშრომლობისა ჩანს, რომ მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, რამდენადაც ალფონსი ივანე გვარამაძეს სთხოვს: „ამ წერილთან დებული წერილიც

გთხოვთ გაუგზავნოთ ხიზაბავრასა შინა“, (ძმის შვილთან). იგი გარდაიცვალა მონთობანში 1909 წლის 24 მარტს.

ჟურნალ მონთობანის დიოცეზის კათოლიკური ბიულეტენის 1909 წლის ნომერში მოთავსებულ სტატიაში „მამა ხითაროვი“ კანონიკი ანრი კალია საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი ბიოგრაფიის შესახებ. კერძოდ, „იგი პეტრე ხარისჭირაშვილის უსაყვარლესი მოწაფე და კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის წინამძღვარი ყოფილა. იგი მოღვაწეობდა თბილისში, ტაგანროგში, ოდესაში, მღვდლად მსახურობდა რუსულ არმიაშიც და დაჯილდოებულ იქნა წმინდა ანასა და წმინდა სტანისლავის ორდენებით“.[97] ალფონსი გულით ყოფილა დაავადებული. 1909 წელს გარდაიცვალა და დიდი პატივით დაიკრძალა მონთობანში – კლერიკალთა საძვალეში. იგი ფრანგებს ძალიან ჰყვარებიათ, „თეთრწვერა მამაოს“ ეძახდნენ.

2003 წელს საქართველოდან საფრანგეთში სამეცნიერო ვიზიტით მივლინებულმა მეცნიერმა მანანა ჯავახიშვილმა ზემოთ მოხსენიებულ ჟურნალში აღმოაჩინა ნეკროლოგი ალფონს ხითარიშვილის შესახებ. მის ცხედარს წესი აუგეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. ამ მოვლენას ესწრებოდა მონთობანის ეპისკოპოსი კაპიტულოს მრავალრიცხოვან წევრებთან, მღვდლებთან და ქალაქის სასულიერო წოდებასთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ალფონს ხითარიშვილმა თავისი მოღვაწეობით სიცოცხლეშივე დაიმსახურა თანამემამულეთა სიყვარული და პატივისცემა. ზაქარია ჭიჭინაძემ ნაშრომში: „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები“ მოათავსა ვრცელი ინფორმაცია მის შესახებ, უმაღლესი შეფასება მისცა მას, როგორც მოღვაწეს და პიროვნებას: „პატრი ალფონს ხიზაბავრის მკვიდრთაგანი გახლავსთ, ...რომს და ვენეციას გაზრდილა, დროის კვალად წარჩინებული მოძღვარია, წრფელი ქართველი, მამულის შვილი, საქართველოს მოყვარე. ქართველი ერის ბედნიერებისა და წარმატების მნატრელი, ...არის მწიგნობარი პირი, საქართველოს ისტორიის მოყვარე.“[98]

# პიო ბალიძე (ბალიაშვილი)

პატრი პიო ბალიძე (ბალიაშვილი) ხიზაბავრის მკვიდრი გახლდათ. ამ სოფელში დაბადებული და აღზრდილი. მას თავისი დროის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. მესხი განმანათლებელი კონსტანტინე გვარამაძე მას პეტრე ხარისჭირაშვილის მონასტრის აღზრდილთა შორის ასახელებს: „პიო ბალიევი კეღოთი ხიზაბავრელი ყოფილა აბატი.“[99]

პიო ბალიძემ, სრულიად ახალგაზრდამ დატოვა სამშობლო და მთელი სიცოცხლის მანძილზე მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, ძირითადად კონსტანტინეპოლში. მას აღარ ღირსებია სამშობლოში დაბრუნება. ქართველ კათოლიკე მოღვაწეებს რუსეთის იმპერიის მიერ იმთავითვე აკრძალული ჰქონდათ საქართველოში ჩამოსვლა, რადგან როგორც თვით პიო ბალიძე აღნიშნავს: „ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“.[100] მრავალი მიზეზის გამო პიო ბალიძის (ბალიაშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები ჩვენთვის უცნობია და ხელმიუწვდენელი. ცნობილია ის რომ იგი ორგზის იყო კონსტანტინეპოლის ქართველ მამათა სავანის წინამძღვარი. პირველად 1912-1921 წლებში და მეორედ 1942-1956 წლებში. მას ორჯერვე ბენედიქტე ვარდიძის შემდეგ მოუხდა დასახელებული სავანის წინამძღვრობა. ეს კარგად ჩანს კონსტანტინეპოლის მონასტრის სტელიდან.

პიო ბალიძის ორგზის წინამძღვრობა ქართველ მამათა სავანის, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული სავანის არსებობის არსი და მიზნები, მისი როლი ქართველი ერის, და არა მხოლოდ ქართველი კათოლიკეების, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მისი როგორც სავანის წინამძღვარის პიროვნება კარგად ჩანს იმ შთაბეჭდილებებიდან, რომელიც დაუტოვებიათ იქ სხვადასხვა მიზეზით მოხვედრილ ქართველებს. ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:



„ჟამსა როდესაც ბერძნებმა დაგვარბიეს და აგვაწიოკეს ათონის მთაზე, და მიმოვიდოდით სავედრებლად კონსტანტინეპოლსა და საქართველოში მოვიწიე მონასტერსა ამას ქართველთასა და მისტუმრეს დიდი პატივითა რომლისთვის დიდ მადლობას ვუხდი მამა პიო ბალიძეს ამ მონასტრის წინამძღვარს და სხვა ყველა მამებს ღმერთმან გადაუხადოს ასწილად. ძველ ათონის ქართველ ბერმონაზონთა რწმუნებული მღვდელმონაზონი ილია. 1920 წ. 2 იანვარი."

1921წ. 28 მარტი

სიმონ სიმონის ძე ებრალიძე

„უიმედოთ დევნილი და გადმოხვეწილი საქართველოდან მივეკედლე უცხო ქვეყანას სადაც ყოველივე იმედი გადაწყვეტილი მქონდა ჩემი მომავლისა. ამ დროს ვილაც გაჩნდა ჩემთან დიდი აღფრთოვანებით და მეუბნება რომ ჩვენ არ ვართ დაკარგული რადგანაც აქ ქართველი სამღვდელოებააო. სწორედაც გამართლდა ის მოგონებები და ძველი ამბები, რაც წარმოდგენილი მქონდა მე საქართველოზე. სწორეთ ეს ადამიანები ყოფილან ჩვენი ერის წინამძღოლები და მათი კეთილები. და მე ვსთხოვ ყველას რომ ასეთ პირებს როგორებსაც ჩვენ ვხედავთ ამ მონასტერში არიან ქართველთაგან თაყვანისაცემი."[10]

ამრიგად, პიო ბალიძესაც და ქართველ კათოლიკეთა სავანის სხვა წინამძღვრებსა და მამებს არ ახასიათებდათ რელიგიური ფანატიზმი. ისინი ერთნაირად ეხმარებოდნენ ქართველებს განურჩევლად რწმენისა. მათთვის უპირველესი იყო ეროვნულობა.

პიო ბალიძის პიროვნებას და მის მოღვაწეობას დიდი შეფასება მისცეს მისმა თანამედროვე უცხოელმა მოღვაწეებმაც. კერძოდ, ევგენი დალეჯიო დ'ალესიო წერდა: „კონსტანტინეპოლის სავანის დამფუძნებლის (პ. ხარისჭირაშვილის) შემდეგ ამ სავანის (ფერი-კვეის) მეოთხე წინამძღვარი დღეს მამა პიო ბალიძე არის, რომელიც განსაკუთრებული მამულის სიყვარულითაა გამსჭვალული."

# მღვდელი იოსებ დათიაშვილი

„ხიზაბავრელი, დაიბადა 1835 წელს, გარდაიცვალა 1877 წელს. ძველად მათ გაგელაშვილებსაც უწოდებდნენ. სწავლა მიიღო სტამბოლს, იცოდა ევროპული და აზიური ენები. ნაკურთხი იყო ქართულ ტიპიკონზედ. იმოგზაურა ბორდოს, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში. ყველგან ქართული ტიპიკონით სწირავდა, დიდი მოტრფიალე იყო ქართული ენისა, საქართველოსი და ქართული მწიგნობრობისა. თავის დროს იყო მხურვალედ მფენელი ქართული ენისა ქართველ კათოლიკეებში და გამავრცელებელი. მისი ჩუმი თუ ხმიანი ქართული წირვა ქებული ყოფილა სტამბოლს. გარდაიცვალა ქართველ კათოლიკეთა წინაშე ქართულის ენის სამსახურის ამაგით დაჯილდოებული და ამაგდარი. ითვლებოდა პეტრე ხარისჭირაშვილის ხელქვეითად.[102]



კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი

# მიქელ თარხნიშვილი
# (1897-1958წწ.)

სოფელ ხიზაბავრაში დაიბადა და აღიზარდა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიქელ თარხნიშვილი. მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა საზღვარგარეთ. პროფესორმა გურამ შარაძემ სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად შეისწავლა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც მოათავსა წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ".[103]

მიქელ თარხნიშვილი დაიბადა 1897 წლის 12 იანვარს, მისი მშობლები სტეფანე თარხნიშვილი და სალომე სეფიძე ცხოვრობდნენ ხიზაბავრაში, ხოლო 1911 წელს სოფელ სკრაში დასახლდნენ – დომინიკე მუღაშაშვილის მიერ შეძენილ მამულში ხიზაბავრიდან გადასულ რამდენიმე ოჯახთან ერთად.

1913 წელს მიქელი კონსტანტინეპოლს გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ქართულ მონასტერთან არსებულ სასწავლებელში. 1917 წელს ქ. ეტალში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. იქ იგი განსაკუთრებული წარმატებით დაეუფლა გერმანულ ენას. მიქელი სამშობლოში ბოლოს 1919 წელს დაბრუნდა, საიდანაც კვლავ კონსტანტინეპოლს გაემგზავრა. იგი სწავლობდა ფილოსოფიას მამა პეტრე ტატალაშვილთან. მან ვენაში შეისწავლა სიღრმისეულად ფილოსოფია, შემდეგ თეოლოგია, 1930-1933 წლებში სწავლობდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1933 წელს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1931 წელს იგი მღვდლად ეკურთხა. პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში – ქართველ კათოლიკეებთან. ამასთანავე, მან შეისწავლა სომხური და სირიული ენები, საერთოდ ფლობდა ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი რომში იმყოფებოდა (1943-1958 წწ.), გარდაიცვალა 1958 წლის 15 ოქტომბერს.

მ. თარხნიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ასპარეზი იყო ქართველოლოგია, ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტისტიკა.



მ. თარხნიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა. ბულგარელი აკადემიკოსი ჟერარ გარიტი 1958 წელს გამოსათხოვარ წერილში წერდა რომ მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო, რადგან იგი იყო ქართული ისტორიისა და ლიტერატურის დარგში მთელი დასავლეთისათვის შეუდარებელი მასწავლე-ბელი. მან პირველმა დაანახა დასავლელ მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძური.

ინგლისელი პროფესორი დევიდ ლანგი მიქელ თარხნიშვილის წვლილს ადარებდა მიხეილ თამარაშვილის ამაგს და დაასკვნიდა, რომ სწორედ ამ ორი მეცნიერის დაუღალავმა მოღვაწეობამ შექმნა პირობა ევროპაში ქართული კულტურის კვლევის და გაადვილა საქართველოს წარსულის შესწვლა...

მიქელ თარხნიშვილი მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევის ავტორია. მათ შორის: „გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი", „ქართული ხელოვნების ძეგლები ანტიოქიის სანახებში", „ქართული ხელოვნების ნეშტი ეგვიპტეში", „ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნთსაცავებში" და ა.შ. მიქელმა ამოიკითხა და გაშიფრა 1953 წელს პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად წმ. თეოდორეს სახელობის ქართული მონასტრის ოთხი წარწერა. მოგვიანებით აკადემიკოსი გიორგი წერეთელი წერდა: „ჩვენი აზრით მიქელ თარხნიშვილის მიერ წარწერები წაკითხულია აბსოლიტურად სწორად და ზუსტად, და თითქმის არ არის არც ერთი ასო, რომლის წაკითხვა შესწორებას საჭიროებდეს..." საერთოდ, მისი მოღვაწეობიდან

გამომდინარე საზღვარგარეთ წერდნენ: მიქელ თარხნიშვილი გამგრძელებელია მიხეილ თამარაშვილის ტრადიციის და მეტად ღირსეული გამგრძელებელი".

მიქელ თარხნიშვილის პორტრეტს ხატავს მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გაკეთებული ლათინური წარწერა: „კაცი რელიგიური ერთგულებით სახელგანთქმული, მორჩილებითა და ღვთისმოსაობით შემკული, მუშაობაში მუყაითი და სანიმუშო, მახვილი გონებისა და ღრმა ცოდნის პატრონი... სამშობლოსაგან ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბოლოსდაბოლოს ბედნიერად ბრუნდება ჭეშმარიტ სამშობლოში".[104]

ამრიგად, მისი სახით ხიზაბავრამ საქართველოს მისცა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

## ხიზაბავრელები და მეთევზეობა

ხიზაბავრის მოსახლეობა ჯავახეთის მცხოვრებთა მსგავსად მისდევდნენ სოფლის მეურნეობის დარგებს, განვითარებული იყო შინამრეწველობაც (ტყავის დამუშავება, შალის დამზადება და ა.შ.) მაგრამ მათი ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთ უძველეს ტრადიციულ საქმიანობას წარმოადგენდა მეთევზეობა. არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ადამიანთა ნამოსახლარები სწორედ მდინარეთა ნაპირებზე იყო განლაგებული, რაც განაპირობებდა მეთევზეობისა და თევზჭერის იარაღების შემდგომ განვითარებას.[105]

სწორედ გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მდინარე მტკვართან მისმა ტერიტორიულმა სიახლოვემ განაპირობა სოფელ ხიზაბავრაში მეთევზეობის როგორც მეურნეობის დამხმარე დარგის განვითარება. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალით მტკიცდება, რომ მეთევზეობა ხიზაბავრის მოსახლეობის შრომა-საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განასხვავებდა მას მეზობელი სოფლების ყოფისაგან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თევზისჭერა ხდებოდა საჭიროების შემთხვევაში და გარკვეულ როლს ასრულებდა მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებაში, რამდენადაც მას იყენებდნენ საკვებადაც და ვაჭრობდნენ კიდეც. ამასთანავე, თევზჭერა ხდებოდა განსაზღვრულ ვადებში ისე, რომ ხელი არ შეშლოდა თევზის ქვირითობასა და გამრავლებას.

თევზჭერის საშუალებას წარმოადგენდა ნემსკავი, ბადე (სამი ტიპის: სასროლი, გაბმული და ხოლიხე), დატოპვა ანუ ხელაობა და ოჩხე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრის მოსახლეობისათვის თევზჭერის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ოჩხე. პროფესორ თინა ივելაშვილის მითითებით ოჩხეები მდ. მტკვარზე იწყებოდა ხაშურის რაიონიდან და ვრცელდებოდა ზემო ვარძიამდე.[106]

ოჩხის კეთება და შემდგომ მისი ჩხრეკვა იყო შრომატევადი, ამავე დროს მოითხოვდა დიდ ფიზიკურ გამძლეობას და საქმის ცოდნას. ამიტომაც იყო, რომ „ასპინძის რაიონში ოჩხეს აკეთებდნენ მხოლოდ ხიზაბავრელები და გელსუნდელები“ (ნასოფლარი ასპინძის რაიონში).

ოჩხის კეთება იწყებოდა ზაფხულის მიწურულსა და ადრიან შემოდგომაზე (როცა წყალი ჯერ კიდევ თბილი იყო). მდ. მტკვარში ნაპირთან ახლოს, ჩხერალის ბოლოს ჭრიდნენ საძირკველს და რიყის დიდი ქვებით აშენებდნენ ერთი მეტრის სიმაღლეზე. ნაშენს გუმბათის მოყვანილობა ჰქონდა და წყლის ზედაპირს ოდნავ აცილებული უნდა ყოფილიყო. ოჩხეს წყლის დინების მიმართულებით ორივე ბოლო გახსნილი ჰქონდა. როცა ამოაშენებდნენ ოჩხის კედლებს, მას მაშინვე ამოავსებდნენ ქვებით, ბოლოს დაგმანავდნენ თივით და ზემოდან დაადებდნენ მძიმე ქვებს. ხოლო თავს ანუ ტვინს ღიას ტოვებდნენ რომ თევზი შიგ შესულიყო და დაბუდებულიყო. ოჩხეში თევზი შედიოდა აგრეთვე მის ძირში სპეციალურად დატოვებული ხვრელებიდანაც. აკეთებდნენ დიდ და პატარა ოჩხეს. დიდი ოჩხის დიამეტრიც ორი მეტრი იყო, ხოლო პატარასი — 1,5 მეტრამდე.

მთხრობელთა გადმოცემით ოჩხეში თევზის შეტყუების მიზნით მისი პატრონი ქვების ჩაყრის დროს შიგ ტოვებდა საქონლის ლეშს. ასეთ ოჩხეში შესული თევზი ნაკლებად მოძრაობდა, რადგან ლეშით იკვებებოდა და იქვე რჩებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უწინ ოჩხეს აკეთებდნენ არა მარტო ხიზაბავრის კუთვნილებაში მყოფ მდ. მტკვრის სანაპიროზე, არამედ ხერთვისიდან ასპინძამდე მდინარის ორივე ნაპირზე. ე.ი. სარგებლობდნენ მეზობელი სოფლების ტერიტორიებითაც, რადგან მათ არ იცოდნენ და არც აკეთებდნენ ოჩხეებს. ამავე დროს ოჩხეს აკეთებდნენ მოსახერხებელ ადგილებში ისე, რომ მათ შორის მანძილი 20 მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ოჩხის ჩხრეკვა იწყებოდა დეკემბრის ბოლოს და თუ ცივი ზამთარი იქნებოდა გრძელდებოდა მარტის დაწყებამდე. ოჩხეს ჩხრეკდნენ აუცილებლედ ძლიერი ყინვების დროს — ღამით, რადგან ასეთ დროს თევზი მყუდრო, თბილ ადგილს ეძებს და შედის ოჩხეში.

ოჩხეს ჩხრეკვამდე პატრონი აუცილებლად დახედავდა, თუ ოჩხეში წყლის ზედაპირზე ჰაერის ბუშტები იქნებოდა ეს იმის მაჩვენებელი იყო რომ თევზი შესული იყო ოჩხეში და შეიძლებოდა მისი ჩხრეკვა. ასეთ შემთხვევაში ამბობდნენ: „ოჩხე ბეჭედს

ისვრისო“. ამის შემდეგ პატრონი დაიჭერდა თადარიგს. უპირველესად მოაწესრიგებდა საჩხრეკ იარაღს – აჯათს: გოდორს, ბარს, ლასტს. მონახავდა მჩხრეკავებს – 7-8 მამაკაცს (ოჩხის ჩხრეკვა ყველას არ შეეძლო, რადგან წელს ზემოთ შიშვლებს უხდებოდათ გაყინულ წყალში მუშაობა) და გამთენიისას 4-5 საათზე იწყებდნენ ჩხრეკვას. მჩხრეკავებს ოჯახის წევრები და გზაზე შემხვედრნი ლოცავდნენ: ღმერთმა ჩემი ორი წონა თევზი დაგახვედროთო.

მჩხრეკავები პირველ რიგში დიდ ცეცხლს დაანთებდნენ მდინარის პირზე, არაყს დალევდნენ რომ არ შესცივნოდათ და შემდეგ მოამზადებდნენ ოჩხეს: მას ჯერ მოჩულავდნენ, ე.ი. ბოლოში გოდორს დაუდგამდნენ, კედლის ხვრელებს თივით ამოავსებდნენ, ოჩხის თავს ანუ ტვინს თივით დაგმანავდნენ. მოარღვევდნენ ოჩხის თავს. ზედ გადებდნენ ხის კეტებს, ზემოდან დადებდნენ ლასტს და დააფენდნენ თივას. მათ ნამუშევარს პატრონი ამოწმებდა. ამის შემდგომ მჩხრეკავები წელს ზემოთ შიშველნი ლასტზე გადაწვებოდნენ და იწყებოდა ჩხრეკვა. ლასტზე ერთდროულად ორი ადამიანი თავსდებოდა. ერთი იწვა და ხელით იღებდა ქვებს, ხოლო მეორე ფეხზე იდგა და ოჩხის ბარით იღებდა მათ. თევზი ოჩხეში აირეოდა, დაუწყებდა ძებნას გამოსასვლელს და მიაშურებდა ერთადერთ თავისუფალ გასასვლელს – ბოლოს, სადაც გოდორი იდგა. თუ თევზი ბევრი იყო და გოდორი აივსებოდა, მაშინ მეორე გოდორს მიუდგამდნენ. მჩხრეკავები რიგრიგობით თბებოდნენ ცეცხლთან და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოჩხის ჩხრეკვაში. მჩხრეკავი საშუალოდ ერთ მისვლაზე 10-15 წუთს მუშაობდა. საერთოდ ერთი ოჩხის ჩხრეკვას ორ საათამდე დრო სჭირდებოდა. თუ მჩხრეკავები ოჩხიდან გამოპარულ თევზს დაიჭერდა მას ნაპირზე ისვრიდა და მისი კუთვნილება იყო. ასეთ თევზს ,,ნაცერალს“ უწოდებდნენ. სახლში დაბრუნებულ მჩხრეკავებს მასპინძელი კარგად გაუმასპინძლდებოდა და თევზსაც ატანდა სახლში.

ოჩხის ჩხრეკვა მოითხოვდა დიდ ფიზიკურ ძალას და გამძლეობას. ამიტომ, იგი ვაჟკაცობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ეს პროცესი იმდენად რთული და იმავდროულად საინტერესო




ო ჩ ხ ე



ბ ა რ ი



გ ო დ ო რ ი



ლ ა ს ტ ი

ნახატი ელვარდი ზაზაძისა

იყო, რომ ბევრისათვის თითქმის წარმოუდგენელიც. მთხრობელთა გადმოცემით მჩხრეკავებს სპეციალურად მიყვებოდნენ საყურებლად. მათ შორის დასახელებულნი არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არა ერთი მდივანი;,

მდინარე მტკვარში ბინადრობდა: ნაფოტა, ლურჯა, მურწა, ღორჯო, ციმორი, კალმახი. ოჩხეში დაჭერილ თევზს ზოგადად უწოდებდნენ „ოჩხურს“ ან „ცოცხალს“. თუ ოჩხეში ბევრი თევზი დახვდებოდათ მაშინ ვაჭრობდნენ კიდეც, როგორც სოფელშივე, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში: ახალციხეში, გორში, ბაღდადში, ბორჯომში, ზესტაფონში და ა.შ. შორ მანძილზე გასაყიდად მიჰქონდათ მოხარშული თევზი.

თევზს ხარშავდნენ სპილენძის მოზრდილ კასრებში. მარილწყალს უმატებდნენ შაბსაც. მთხრობელთა გადმოცემით, ასეთნაირად მოხარშული თევზი იყო მოთეთრო ფერის, კარგად იტანდა გრძელ მანძილზე ტრანსპორტირებას.

როგორც მთხრობელთა გამოკითხვიდან ირკვევა ხიზაბავრაში მოსახლეობა, ჯავახეთის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, 3 საკვებად იყენებდა მხოლოდ მოხარშულ თევზს. აქ ადგილი არ ჰქონია მისი დამარილებული სახით შენახვას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ წლის თითქმის ნებისმიერ დროს სხვადასხვა საშუალებით შეეძლოთ თევზის ჭერა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხიზაბავრის მოსახლეობა თევზს იყენებდა სამკურნალო დანიშნულების თვალსაზრისითაც. კერძოდ, მთხრობელთა გადმოცემით, ვისაც სუსტი მხედველობა ჰქონდა ასმევდნენ თევზის ქონს, თუ ბავშვს ჰქონდა ძვლების სისუსტე (ე.ი. რახიტი) აჭმევდნენ თევზს და ასმევდნენ ქონს. თევზის ქონს ხმარობდნენ ტანზე გამონაყარის სამკურნალოდაც.

მთხრობელთა გადმოცემით, ხიზაბავრელი მეთევზეები მტკიცედ იცავდნენ თევზჭერის ვადებს. მათი აზრით, თევზჭერა შეიძლებოდა სექტემბრიდან მაისამდე. მთხრობელებმა დაასაბუთეს ჯავახეთში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ რომელი თვის სახელშიც „რ“ ასო არ ურევია, არ შეიძლებოდა თევზაობა, რადგან ამ დროს თევზი ქვირითობს და მრავლდება. თევზჭერის წესების მკაცრად დაცვა განაპირობებდა მდ. მტკვარში თევზის სიუხვეს.

აქედან გამომდინარე იყო, რომ ხიზაბავრაში თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა თავისი ოჩხე, ზოგიერთ ოჯახს 2-3 ოჩხეც კი ჰქონდა. ოჩხე ოჯახის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და გაყრის შემთხვევაში სხვა ქონებასთან ერთად მასაც ანაწილებდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხიზაბავრაში ოჩხე მეთევზეობის სინონიმად იყო ქცეული, რადგან იგი წარმოადგენდა თევზჭერის ძირითად საშუალებას. აქ თაობიდან თაობას გადასცემდნენ ოჩხის კეთების, ჩხრეკვის ტრადიციებს. ამჟამინდელი მდგომარეობით სხვადსხვა მიზეზთა გამო ხიზაბავრელები ველარ აკეთებენ ოჩხეს, თუმცა მისი კეთების მცოდნენი და მსურველები კიდევ არიან სოფელში. ბოლო პერიოდში საუკეთესო მეოჩხეები იყვნენ: შალვა და გოგი გოგალაძეები, სტეფანე ბალიაშვილი, შალვა ლეკიშვილი, შალვა მამუკაშვილი, შალვა ველიჯანაშვილი და ა.შ. მათი მამების თაობიდან კი პროფესიონალი მეთევზეები იყვნენ: იოსებ (ოსე) ხუციშვილი, ოსიკო გოგალაძე, იოსებ ყრუაშვილი და სხვები.

სოფელ ხიზაბავრაში უძველესი დროიდან მეთევზეობის განვითარებას ზემოთ წარმოდგენილი ლეგენდაც ასაბუთებს. ამასთანავე, მეთევზეობასთან დაკავშირებით სოფელში მრავალი ტრადიცია არსებობდა. მაგალითად, მელოგინე ქალს თევზს არ შეაჭმევდნენ იმ მიზეზით, რომ მომავალ წელს ოჩხეში თევზი არ შევიდოდა. ამიტომ, იმ ოჯახს, რომელსაც მელოგინე ქალი ყავდა მეთევზე თევზს არ მისცემდა. თუ მისცემდა სთხოვდა არ ეჭმიათ მელოგინისათვის, ან თუ აჭმევდნენ თევზი უნდა აეწონათ. ასევე, თუ ოჯახში ჰყავდათ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი და თევზს შეიტანდნენ სახლში, აუცილებლად ბავშვს დააყენებდნენ თევზზე, რომ ბავშვი არ დაექელა.

თევზს მოიხსენიებდნენ ნეფე-პატარძლის დალოცვის დროსაც: „ისე გამრავლდით როგორც ცაში ფრინველი და წყალში თევზიო“. ოჯახს კი დალოცავდნენ: ოჩხეში თევზმა გიმრავლოთ და აკვანში ყმაწვილებმაო. თევზმა ასახვა ჰპოვა ზეპირსიტყვიერებაშიც, სოფელში ჩავიწერეთ ასეთი ანდაზები: „თევზმა სთქვა პირი წყლით სავსე მაქვს, თორემ ბევრ რამეს ვიტყვიო,“ „ტაფაში ერთმა თევზმა მეორეს უთხრა: მიიწიეო, მან უპასუხა: სად მივიწიო მეც შენსავით ვიწვიო“ და ა. შ.

# სახალხო-რელიგიური დღესასწაულები ხიზაბავრაში

ათასწლეულების მანძილზე ქართველი ხალხის ყოფაში მრავა-ლი რელიგიური და სახალხო დღესასწაული ჩამოყალი-ბდა. საქართველოს ყოველ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში თითოეულ მათგანს ადგილობრივი ინდივიდუალობა ახასიათებდა, რასაც განაპირობებდა იქ განვითარებული ისტორიული მოვლენ-ები, დამახასიათებელი კუთხური წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც ჯავახეთი წარმოადგენდა, ამასთანავე, იგი გამოირჩევა სადღესასწაულო რიტუალთა მრავალ-ფეროვნებით.

ქართული სადღესასწაულო რიტუალები კარგად არის გაშუ-ქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ, ს. მაკალათიას, ვ.ბარდაველიძის, ალ. ოჩიაურის, ნ. აბაკელიას, ქ. ალავერდიშ-ვილის, ნ. ლამბაშიძისა და ა. შ. ავტორთა შრომებში.

ხიზაბავრის სადღესასწაულო რიტუალები დღემდე საგანგე-ბოდ შესწავლილი არ არის. იგი, როგორც ჯავახეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელი საერთო ჯავახურ სივრცეში განიხილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას თავისი ინდივიდუალობა ახასი-ათებს, რაც განასხვავებს ჯავახეთის სხვა სოფლებისაგან, ყოვე-ლივე ამაში დაგვარწმუნებს ქვემოთ წარმოდგენილი მასალა.

ვფიქრობთ, ხიზაბავრის ისტორიას სრულად წარმოაჩენს ის დღესასწაულები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ამ სოფლის მკვიდრთა კუთვნილებად იქცა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს, როგორც რელიგიური, ისე სახალხო დღესასწაულები: შობა, ახალი წელი, ბედობა, ტერან-დარიჯობა (მირქმა), ყველიერი, აღდგომა, ვარდისმოფენობა, ფერისცვალება და ა.შ.

საახალწლო სამზადისი შობით იწყებოდა. ეს დღესასწაული იესო ქრისტეს ხორციელად შობის მოსახსენებლად ეკლესიის მიერ ძველთაგანვე იყო დაწესებული. კერძოდ, II საუკუნეში ამ დღესასწაულზე მიუთითებდა წმინდა მღვდელმთავარი კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო III საუკუნეში — იპოლიტე რომაელი.

შობა უძრავ დღესასწაულთა რიცხვს მიეკუთვნება. ის ყოველთვის 25 დეკემბერს აღინიშნებოდა და უქმე დღე იყო. შობის დღეს სრულდებოდა სხვადასხვა წეს-ჩვეულება. კერძოდ, კლავდნენ საშობაოდ გაზრდილ ცხვარს, ან ხბოს (დასავლეთ საქართველოში კი ღორს), ამ დღისათვის მზადდებოდა სქელი კორკოტი იმის სიმბოლოდ, რომ იმ წელს სქელი ყანები და უხვი მოსავალი ყოფილიყო. ასევე სპეციალურად აცხობდნენ ქადას და ბიშს. რამდენადაც შობა რელიგიური დღესასწაული იყო მრევლი გამთენიისას მიდიოდა ეკლესიაში. წირვის დაწყებამდე ახალგაზრდა გოგონები ასრულებდნენ შობის მოსახსენიებელ ლოცვას – „ნანის". შემდეგ ტარდებოდა წირვა და ბოლოს დიაკვნები ასრულებდნენ „ნანის":

ნანი, ნანი, ნანი
მოისვენე, მოისვენე
შვილო ჩემო საყვარელო
ნანი, ნანი, ნანი
ტკბილი ძილით დაიძინე
გულს ნათელი დაიფინე
შენ ხარ ამ ქვეყნად მოსული
ცოდვილების დამხსნელი
სასურველი კარის გამღები
ნანი, ნანი, ნანი.[108]

ეკლესიიდან სახლში დაბრუნებული მრევლი ქეიფობდა და ტრადიციისამებრ ნათლია ნათლულთან მიდიოდა სუფრით.

ამის შემდგომ იწყებოდა საახალწლო სამზადისი. კერძოდ, აცხობდნენ ქადასა და ნაზუქს, ამზადებდნენ ჰალვას (ბაქმაზით ან თაფლით) და გოზინაყს. საერთოდ თაფლი საახალწლო სუფრის განუყრელი ნაწილი იყო მთელს საქართველოში. იგი მომავალი ტკბილი ცხოვრების სიმბოლოდ იყო წარმოდგენილი. ასევე სპეციალურად ამზადებდნენ სანთელს.

1937 წელს სამცხე-ჯავახეთში სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით განხორციელებული ექსპედიციის დროს დაფიქსირდა

ისეთი რიტუალები, რომლებიც დღეისათვის უკვე მივიწყებულია. კერძოდ, დიასახლისი სპეციალურად აცხობდა საახალწლო კვერებს: ბასილას, ხარის ქედის, ცხვრის ბუჟუნას, ბედის პურს, ბანის პურსა და ქათამ-წიწილას პურებს. ოჯახის უფროსი მათ საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა, დაუმატებდა თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს, ტყვიას და კერასთან დატოვებდა. მამლის ყივილისას ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით: ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლ-შვილო გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმინდა ბასილას მადლი". შემდეგ ერდოდან პურებს ჩამოყრიდა. თუ ბანის პური თავქვე იყო დაცემული-ცუდი მოსავალი იყო იმ წელს მოსალოდნელი, თუ პირაღმა იყო კარგ მოსავალს ნიშნავდა".[109]

ახალწლის წინა დღეს ყოველი ოჯახი ცდილობდა გარეთ არ დაეტოვებინათ ნივთები, ხალხის წარმოდგენით ნივთის გარეთ დატოვება ოჯახს უბარაქობას მოუტანდა.

ოჯახის უფროსი იყო პირველი მეკვლე. გამთენიისას გარეთ გადიოდა, ხელ-პირს დაიბანდა, სახლში წინა დღით გამზადებულ შეშას შეიტანდა, პირველად მარჯვენა ფეხს გადადგამდა და ხმამაღლა იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო, შემოვიდა ბასილაო, ეს ოჯახი პურითა და ღვინით ავსილაო." ამ ტრადიციული მიმართვის შემდეგ თავისი სიტყვებით ულოცავდა ახალ წელს, უსურვებდა ჯანმრთელობას, გამრავლებას, სიუხვეს და ა.შ. ბუხრის პირას დაჯდებოდა და ცეცხლს დაანთებდა. ოჯახის წევრები მეკვლეს ტკბილეულით „აბერებდნენ" — ასე ტკბილად დაგვიბერდიო. ოჯახს ჰყავდა მეორე მეკვლეც — მფერხავი. ეს იყო გარედან შემოსული პირი. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით არ ხდებოდა მისი წინასწარ შერჩევა. ხალხის რწმენით მფერხავის თვისებებზე იყო დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობა მთელი წლის განმავლობაში.

ძველი ტრადიციის მიხედვით ახალი წლის დილით ქალებს უმზეოდ და უმძრახად უნდა მოეტანათ წყალი. წყაროზე მოსული ქვის ავაზნებში ქერსა და ხორბალს ჰყრიდა იმის

სიმბოლოდ, რომ იმ წელს მინდორი კარგად მორწყულიყო და შესაბამისად მოსავალიც კარგი ყოფილიყო. ხორბლის ჩაყრის დროს ქალი ამბობდა შემდეგს: „წყალო და წყლის დედაო, ბრძენმა შემოგითვალაო, როგორც შენ ხარ ულევიო, ისე ჩვენი ოჯახის დოვლათი იყოს ულევიო".[110] ხორბლის ნახევარს წყალში ჩაჰყრიდა, მეორე ნახევარს წყალს დაასხამდა და სახლში წაიღებდა. შემდეგ წყალს გადაწურავდა და ხორბალს ბეღელში ჩაყრიდა — „ეს ბრძენმა გამოგიგზავნაო". უნდა აღინიშნოს, რომ წყალს საახალწლო რიტუალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ადრე-ქრისტიანულ პერიოდში წყარო „ღვთაებრივი სიბრძნისა" და „სიცოცხლის განახლების" სიმბოლოდ იყო მიჩნეული.[111] მთხრობელთა გადმოცემით, ახალი წლის დღეს იკრძალებოდა სახლში წყლის დაღვრა — ჭიანჭველა გამრავლდებაო, სახლის დაგვა — ქარი წაიღებს პურის ნათესსაო, თმის დავარცხნა — თხელი ყანები იქნებაო, მალავდნენ ჯარასა და თითისტარს — ვინც შეხედავს თავბრუსხვევა ექნებაო, იკრძალებოდა ხმამაღლა დაძახება — კეთილი ანგელოზები დაფრთხებიანო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალ წელს ბუხრის ნაცარს ინახავდნენ და შემდეგ ბაღში ხის ძირებზე ყრიდნენ — ხეხილს კარგი მსხმოიარობა ექნებაო.

ახალი წლის მეორე დღეს სამხრეთ საქართველოში ბედობა ეწოდება, ქართლში — ქათმის მეკვლეობა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში — „ფეხის დაპწნა". ამ დღეს შეგნებულად ერიდებოდნენ ტირილს, ჩხუბს, ყვირილს, რომ არ დაბედებოდათ. ყოველ ოჯახში სულადობის მიხედვით იჭრებოდა „ბედის პური", რომელშიც ჩადებული იყო ფული (მონეტა), ვისაც შეხვდებოდა მისთვის კარგი წელი იქნებოდა. ამ დღის ერთ-ერთ აუცილებლად შესასრულებელ წესს წარმოადგენდა ნათლიისათვის მილოცვა სუფრითა და საჩუქრებით. ცარიელი ხონჩის დაბრუნება სირცხვილად ითვლებოდა. ამ წესს ანდაზაც ასაბუთებს: „როგორც მოხვალ სვინაო (ნათლიავ), ისე წახვალ შინაო".

ბედობადღეს ხდებოდა საპატარძლოს მონახულებაც. მისთვის ცხრილით მიჰქონდათ საჩუქრები და ტკბილეულობა, პატარძალი ძღვენს ხელზე მოკითხვით იღებდა.

ჯავახეთში და შესაბამისად ხიზაბავრაშიც ბედობა დღის ერთ-ერთ ტრადიციას ე.წ. ხარის შეკმაზვა წარმოადგენდა. კერძოდ, ხარს ბოსლიდან ოდაში შეიყვანდნენ, რქებზე მრგვალ პურებს (კოკორებს) წამოაცვამდნენ, რქებზე წყვილ სანთელს მიაკრავდნენ, ბავშვები ფეხებში კაკლებსა და ვაშლებს უგორებდნენ. ხარი ბაგასთან თუ მიიტანდა პურსა და სანთლებს, ეს იმას ნიშნავდა რომ ის წელი მოსავლიანი იქნებოდა. ჯავახეთში ხარისადმი პატივისცემას ხალხური ლექსიც ასაბუთებს:[112]

„ორშაბათ დღესა გაშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა,
გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა.
გასჭირდა ხვნა, თესვა, ფარცხვა ძალზედა,
ადამიანის შენახვა ვერავინ იდვა თავზედა,
ხარმა თქვა პირმა ნათელმა: მე დავიწერამ თავზედა.
მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა,
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა:
წადი ხარო და იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა,
ექვსი დღე იმუშავე, მეშვიდე დღეს დაწექ მხარზედა,
ვინც რო კვირე უქმით შეგაბას ხელი შეახმეს მხარზედა“.

მას შემდეგ, რაც მიწათმოქმედება შეიჭრა კულტის სფეროში, ხარი იქცა კულტის საგნად. ტარიელ ჩუბინაშვილის მითითებით: „ხარის საკულტო გამოსახულებებს ხშირად ახალი მთვარის მოყვანილობა ჰქონდა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერათა რქისებური მოყვანილობა და მათი მსგავსი სამკაულები აღმოჩენილი მესხეთში (ხიზაბავრა-ჯავახეთი).

ამდენად, არქეოლოგიური მასალაც ასაბუთებს უძველესი დროიდანვე ხარის კულტის არსებობას და მის უდიდეს როლს საერთო ქართულ ყოფასა და ტრადიციებში.

ამჟამინდელი მდგომარეობით სხვადასხვა მიზეზთა გამო ხიზაბავრაში მრავალი საახალწლო რიტუალი მივიწყებულია, ზოგიც სახე-ცვლილებით სრულდება. თუმცა თავისი ინდივიდუალობა მაინც შენარჩუნებული აქვს.

ახალი წლის მეექვსე დღეს მოდიოდა წყალკურთხევა. ამ დღეს ეკლესიის მსახურთ გამთენიისას ეკლესიაში მიჰქონდათ წყალი წყაროდან. მღვდელი წყალში ჩაასვენებდა ჯვარს. ვინც მეტ ფულს გადაიხდიდა ის იქნებოდა ჯვრის ნათლია იმ წყალკურთხევაზე. ჯვრის ნათლია ანაწილებდა ნაკურთხ წყალსაც. ყველა ოჯახი ცდილობდა წაეღო სახლში ნაკურთხი წყალი. მას ასხურებდნენ ოდა-სახლს, მარანს, ბავშვებს (მათ ასმევდნენ კიდეც). ისე უნდა მიესხურებინათ, რომ ძირს არ დაღვრილიყო და ფეხი არ მოხვედროდა. ხალხის წარმოდგენით ნაკურთხი წყალი სახლს იცავდა ავი თვალისაგან. ასევე მას შეეძლო ავადმყოფის განკურნებაც.

ტერანდარიჯობა — მირქმა. ეს უძრავი რელიგიური დღესასწაულია და ორ თებერვალს მოდიოდა. ამ დღეს ყველა ეკლესიაში მიდიოდა. ძველი ტრადიციის მიხედვით დანიშნულ ახალგაზრდა გოგონებს საქმროს ნათესავები ეკლესიაშივე სჩუქნიდნენ აბრეშუმს და კელეპტრებს. საპატარძლო სანთლებს ნახევარზე წვავდა, ხოლო მეორე ნახევარი ჯვრისწერის დროს უნდა დაეწვა. ტერანდარიჯობის დღეს სასიძოს პატარძლის ნათესავები ცხვირსახოცებს სჩუქნიდნენ. ე.ი. ჯავახეთში ეს პატარძლის დღედ იყო მიჩნეული, სვანეთში — ლამპრობის სახელითაა ცნობილი.

ზამთრის დღეობებიდან სამცხე-ჯავახეთში და შესაბამისად ხიზაბავრაში იცოდნენ ე.წ. ხიდრიელა (ხეძრიელა). ეს მოძრავი დღესასწაული იყო და თებერვალში აღინიშნებოდა. იგი ხუთ დღეს გრძელდებოდა — ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ამ დღეებში იყო ძლიერი ქარები. სომხები მას სურფსარქისს უწოდებენ.

ხიდრიელას დღეებში ძირითადად უქმობდნენ ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები და ვაჟები, რომელთაც რაიმე ხელობის შესწავლა სურდათ. ვინც „დაიჭერდა ხიდრიელას" ხუთი დღის მანძილზე მაძღრისად არ უნდა ეჭამათ, ხოლო პარასკევს საღამოს აუცილებლად უნდა ეჭამათ მარილიანი კვერები. მთხრობელთა გადმოცემით ახალგაზრდებს, რომლებსაც სურდათ სიზმრით შეეტყოთ ვინ იქნებოდა მათი საბედო, ბალიშის ქვეშ

დებდნენ სარკეს, სავარცხელს, წყალს და მწყურვალს სიზმარში ვინც მიაწვდიდა წყალს ის იქნებოდა მისი საბედო. ხოლო ის ვაჟები, რომლებსაც რაიმე ხელობის შესწავლა სურდათ ძილის წინ საწოლთან ტოვებდნენ იმ საჭირო ნივთებს, რომელი ხელობის შესწავლაც სურდათ.

ყველიერი — ერთკვირიანი დღესასწაულია, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი ხალხური წეს-ჩვეულებებით. ეს დღესასწაული წინ უსწრებდა დიდმარხვას. მთელი კვირის მანძილზე სოფლის მოსახლეობა თავს ირთობდა სხვადასხვა გასართობებით. ისინი იკრიბებოდნენ კალოებზე, სადაც იმართებოდა ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, იცოდნენ ხარებისა და კამეჩების დაჭიდება. ხარებს რქებზე ჯერ სანთელს მიაკრავდნენ, როცა დაიწვებოდა საჭიდაო კალოზე სპილენძის დიდი ქვაბით დაუდგამდნენ ღვინოს, დაალევინებდნენ და შემდეგ დააჭიდებდნენ. ხარის პატრონები ხშირად სანაძლეოს დებდნენ პურმარილზე. ყველიერის დღეებში ყველა ოჯახში გემრიელი და ნოყიერი კერძები მზადდებოდა: ყაურმა, ხინკალი-ბატის, კორკოტის ფლავი და ა.შ.

ყველიერის ბოლო ღამეს ე.ი. კვირა დღეს ჯავახეთში აღებლამეს უწოდებდნენ, ხევში კი აღებას. ამ ღამეს თითოეულ ოჯახში იმართებოდა დიდი პურობა. საგანგებოდ ამზადებდნენ კერძებს. აღებლამესთან დაკავშირებით სოფელში ასეთი ანდაზაც ფიქსირდება: „აღებლამეა, ხეთქის ღამე კი არაო." ყველიერის ბოლოს იმართებოდა ბერიკაობა. ამ დღეს საინტერესო რიტუალი სრულდებოდა. ერთ ადამიანს (აუცილებლად მამაკაცს) შეკაზმავდნენ: აცმევდნენ გადმობრუნებულ ქურქს, ხელებზე, ფეხებზე, კისერზე დაკიდებდნენ ზანზალაკებს. მას ყელზე თოკს მოაბამდნენ და ზურნა-დუდუკით შემოატარებდნენ სოფელს. ბოლოს მიიყვანდნენ წყაროსთან, დიდ ავაზანაში ჩააწვენდნენ, შემდეგ დასველებული ამოვიდოდა წყლიდან ხალხში გაერეოდა, შებერტყავდა (სველ ტანისამოსს) და მათ ასველებდა. საღამოს ერთ-ერთ სახლში შეიკრიბებოდნენ, მხიარულობდნენ და მღეროდნენ:



„წყარო-კალო“

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომათა რძე და ერბო,
მოდი ბიჭო დამეჭიდე
დაგლეჯილო გოგაძეო.

აღებლამის შემდეგ იწყებოდა დიდმარხვა. იგი რვა კვირას გრძელდებოდა. დიდმარხვის პერიოდში 25 მარტს აღინიშნებოდა ხარება, ეს უქმე დღე იყო და ტრადიციულად ხარშავდნენ სიმინდის მარცვალს (უხვი მოსავალი მოვიდესო) და თევზს. ამ დღესთან დაკავშირებით სხვა კუთხეებში სხვადსახვა ტრადიცია სრულ-დებოდა: ხევში — ძროხებს ბალანს აჭრიდნენ, ქართლში — ახალი მიცვალებულის პატრონი კოლიოს ამზადებდა და ა.შ.[113]

ბზობა — აღდგომის წინა კვირა საყოველთაო დღესასწაული იყო. დიდი უქმე იყო. ეკლესიაში ტარდებოდა წირვა, მღვდელი ნაკურთხ ბზას ხალხს ურიგებდა, რომელსაც მთელ წელიწადს ინახავდნენ.

აღდგომის წინა ხუთშაბათს ე.ი. დიდ ხუთშაბათს კათოლიკენი და ოთხშაბათს მართმადიდებელები ანთებდნენ ჭიაკოკონას. ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ: აგროვებდნენ გლერძს, კარტოფილის გამხმარ ღეროებს, საქონლის ნაბაგურს (საკვების ნარჩენებს). ყველა ოჯახი ანთებდა ცეცხლს სახლის წინ ეშმაკებისა და ავი სულების გასაფრთხობად. ტრადიციის მიხედვით ყველა: დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი ერთხელ მაინც უნდა გადამხტარიყო ცეცხლზე იმიტომ, რომ მათი წარმოდგენით თუ რაიმე დაავადება ჰქონდათ განიკურნებოდნენ. ცეცხლზე გადახტომის დროს აუცილებლად წარმოსთქვამდნენ ასეთ სიტყვებს: „ჭია-ჭუა გავყარე, ჭიის ქოთანში ჩავყარე“. ჭიაკოკონის ნაცარს ბაღში ხეხილის ძირებზე ჰყრიდნენ, ამასთანავე მეორე დღეს უმძრახად (უსიტყვოდ) მოიტანდნენ წყალს, ნაცარს გაურევდნენ და თავს დაიბანდნენ — თავის ტკივილები რომ არ ჰქონოდათ.

შემდგომ მოდიოდა წითელი პარასკევი. ამ დღეს აუცილებლად უნდა შეღებილიყო კვერცხი. საღებავად იყენებდნენ ენდროს, ქვის ქერქს, ხახვის ფოჩოჩს, ჭინჭარს (ენდრო კვერცხს

წითლად ღებავდა, ქვის ქერქი-ნარინჯისფრად, ხახვის ფოჩი – ჭარხლისფრად). ეს უქმე დღე იყო. იკრძალებოდა ნემსის ხმარება, კახეთში ტრადიციად ჰქონდათ ჭარხლის მოხარშვა და მეზობლებში დარიგება, ქართლში საფლავზე კოლიო და სხვა საჭმლები გაჰქონდათ.

სააღდგომო დღესასწაულის ერთ-ერთ რიტუალს წარმოადგენდა ჭონაზე სიარული. თითოეულ უბანში იკრიბებოდნენ ახალგაზრდები (განსაკუთრებით ისინი ვინც კარგად მღეროდა და უკრავდა) და საღამოობით ჩამოივლიდნენ სოფელში. მათ თან დაჰქონდათ სპეციალური კალათა (ყურზე თოკმობმული), რომელსაც ერდოდან ან ბუხრიდან ჩაჰკიდებდნენ და თან მიუმღერებდნენ:

ალათასა, ბალათასა
ჩამოვკიდებ კალათასა
ადე ქალო კვერცხი მომე
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

ოჯახის დიასახლისს კალათაში სამ კვერცხზე ნაკლები არ უნდა ჩაედო. ხშირად ჭონაზე მოსიარულეებს სახლში შეიპატიჟებდნენ და აპურმარილებდნენ. კვირა დღეს იყო აღდგომა. ამ დღისათვის სპეციალურად საფლავზე გასატანად ამზადებდნენ ნაღებს, კორკოტის ფლავს, ხარშავდნენ ხორცს, აცხობდნენ ქადა-ნაზუქს. აღდგომა უქმე იყო. იკრძალებოდა კერვა, რეცხვა, მიწის დამუშავება. დილით წირვას ესწრებოდნენ, შემდეგ კი ახალგაზრდები თავს იყრიდნენ კალოებზე, სადაც იმართებოდა „კვერცხის დაკვრა". აღდგომის მეორე დღეს გადიოდნენ საფლავებზე. სანთელს უნთებდნენ მიცვალებულს და შენდობას აძლევდნენ. რამდენადაც ამ დღეს მარხვა მთავრდებოდა სუფრაც ხსნილი იყო.

მთხრობელთა გადმოცემით ზამთარი მთავრდებოდა აღდგომით. მათი აზრით, სანამ მიწაზე წითელი კვერცხის ნაჭუჭი არ დავარდებოდა, ისე მიწაზე არ დათბებაო.

ამაღლება აღდგომის მეორმოცე დღეა. ძველი ტრადიციის მიხედვით ყველა ოჯახს რძე მიჰქონდა მღვდელთან, რომ მათი და საერთოდ უპატრონო მიცვალებულებისათვის ელოცა.

ვარდიმოფენობა — ეს მოძრავი დღესასწაული იყო, სულთმოფენობის შემდეგ მეორე კვირის ხუთშაბათი. ამ დღეს ხდებოდა წმიდა ზიარების გამოსვენება, მასთან ერთად შეიძლებოდა მარიამის ქანდაკებაც ყოფილიყო გამოსვენებული. ეს დღესასწაული მისადმი იყო მიძღვნილი და ვარდიც მას ეყრებოდა — იესოს უწმინდესი ხორცისა და სისხლისადმი. იგი მაისის თვეში იმართებოდა. ამ დღისათვის მინდვრიდან სპეციალურად მოჰქონდათ ყვავილები. ოქროლილასაგან ქსოვდნენ გვირგვინს და მარიამ ღვთისმშობელს ამკობდნენ. ყვავილებით რთავდნენ ხატებსა და საერთოდ მთელს ეკლესიას. შემდეგ მარიამ ღვთისმშობლის ძეგლს გარეთ გამოასვენებდნენ და ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ ლოცვითა და გალობით, თან ხალხი ყვავილებს აყრიდა მას. მლოცველებს ხელში ეკავათ ანთებული სანთლები და ყვავილები. მხოლოდ მარიამის ქანდაკების გამოსვენება ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც მღვდლები აღარ იყვნენ ეკლესიაში. ეს დღესასწაული ეძღვნებოდა ბუნების გამოღვიძება-აყვავებას. მთხრობელთა გადმოცემით სოფელში ტრადიციად ყოფილა ამ დღეს რძის მიტანა მღვდელთან.

საზაფხულო დღესასწაულებიდან 6 აგვისტოს სოფელში აღინიშნებოდა ფერისცვალება. ხალხის წარმოდგენით მთავრდება ზაფხული და ბუნებაც ფერს იცვლის. ფერისცვალებამდე იკრძალებოდა ახალი ხილის ჭამა. ამ დღეს ხდებოდა ხილის კურთხევა. ესეც უქმე დღე იყო. რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში ამ დღეს იცოდნენ მიცვალებულთათვის საკურთხის მომზადება. საკურთხში უნდა ყოფილიყო ხილი.

ზაფხულის ბოლო დღესასწაული იყო მარიამობა, რომელიც 15 აგვისტოს აღინიშნებოდა. ამ დღეს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა თავს იყრიდა ვარძიაში და იქ აღნიშნავდნენ. იკვლებოდა სალმვთო, ეკლესიაში ტარდებოდა წირვა.

ჯავახეთში და შესაბამისად ხიზაბავრაშიც დღესასწაულებთან ერთად დამკვიდრებული იყო მრავალი წეს-ჩვეულება და

რიტუალი, რომლებშიც აისახებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათი და საუკუნეობით ჩამოყალიბებული ყოფა-ცხოვრება. მათ შორის უნდა აღინიშნოს ხვნა-თესვასთან, უხვ მოსავლიანობასთან დაკავშირებული ტრადიციები.

მთხრობელთა გადმოცემით, ადრიან გაზაფხულზე სანამ დაიწყებოდა ხვნა-თესვა, თითოეულ ოჯახს მღვდელთან მიჰქონდა ცოტა მარცვალი საკურთხებლად. ნაკურთხ მარცვალს აურევდნენ სათესლე მარცვალში და ისე თესავდნენ. ამ ჩვეულებას ქესობა ეწოდებოდა. მათი წარმოდგენით უხვი მოსავალი იქნებოდა იმ წელს. ამასთან ერთად იცოდნენ სათესლე მარცვალზე ნაკურთხი წყლის შესხურებაც. გარდა ამისა, როცა გუთნის დედა პირველ ხნულს გაატარებდა, ტრადიციისამებრ ილოცებოდა, ღმერთს უხვ მოსავალს სთხოვდა.

გარკვეული სახის რიტუალი სრულდებოდა გვალვების შემთხვევაში. ასეთ დროს ჯავახეთში ეკლესიიდან გამოასვენებდნენ მარიამ ღვთისმშობელს, იესო ქრისტეს ხატს, ეკლესიის გარშემო ლოცვა-კურთხევით ორ-სამჯერ შემოატარებდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ რომ გაწვიმებულიყო. ხოლო როცა ძლიერი სეტყვა იყო და მოსავალს განადგურება ემუქრებოდა მარილით ჯვარს აკეთებდნენ, ხალხის წარმოდგენით სეტყვა მალე დამთავრდებოდა. როცა ჭექა-ქუხილი და სეტყვა იყო დედის პირველს ზურგში სეტყვის მარცვალს ჩაუგდებდნენ.— მალე გადაიღებსო (სეტყვის მარცვალს ადგილობრივი მოსახლეობა ხოშკაკალას უწოდებდა). ამასთანავე რამდენიმეჯერ იმეორებდნენ: „წმინდა ელია მთა-მთა იარეო". ხალხის წარმოდგენით, ელია არის ბრმა ხარაზი, რომელიც ეტლს დააქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს. ელიას თან ეშმაკი დაჰყვება და შეცდომაში შეჰყავს. ამიტომ შესძახებდნენ, რათა ელიასათვის ეცნობებინათ რომ ესა თუ ის ადგილი დასახლებულია და არ დაესეტყვა.

სოფელ ხიზაბავრაში შემორჩენილია ასეთი წესიც. როცა გაზაფხულზე პირველად გაიგონებდნენ ქუხილს ერთმანეთს ზურგზე დაარტყავდნენ ხელს და იტყოდნენ: „ზურგი, ზურგი მაგარი, ჩვენი ყანა მაძღარი". წარმოდგენილი წეს-ჩვეულებანი დღესაც შემორ-ჩენილია სოფელში. თუმცა უნდა ითქვას, რომ

ადგილი აქვს მათ მექანიკურ შესრულებას და თანდათანობით დავიწყებას. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისში სოფლის მოსახლეობა აღნიშნავდა აქ ჩამოთვლილ დღესასწაულებს. შემდგომ კი საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა ათეისტურმა პოლიტიკამ, რელიგიის უარყოფამ და აკრძალვამ გამოიწვია მრავალი დღესასწაულის დავიწყება. დღეისათვის მათი რიცხვი საგრძნობლად არის შემცირებული და შეცვლილიც. მრავალი რიტუალი გაუთვითცნობიერებლად სრულდება.

გარდა რელიგიური დღესასწაულებისა ხიზაბავრელებს აქვთ სახალხო დღესასწაულებიც. კერძოდ, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაწესდა ე.წ. „ობოლეთობა“. ეს დღესასწაული მოძრავია და ძირითადად აგვისტოს მეორე ნახევარში იმართება შაბათ-კვირას. ამ დროს სოფლის ახალგაზრდობა მიდის ობოლეთის ტყეში — ეკლესიასთან. იქვე ათევენ ღამეს, იმართება ლხინი, ჭიდაობა, გაშაირება, მელექსეები და პოეტები ამბობენ პატრიოტულ ლექსებს. ვისაც შეთქმული აქვს კლავს სალმვთოს.

XXI საუკუნე ხიზაბავრელთა ყოფაში ახალი სახალხო დღესასწაულის დამკვიდრებით დაიწყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ იმის სიმბოლოდ, რომ ხიზაბავრა ოდითგანვე ცნობილი იყო სახელოვანი ფალავნებით, ხიზაბავრაში 2004 წლიდან ადგილო-ბრივი მკვიდრისა და ასპინძის რაიონის დეპუტატის რამაზ თედორაძის ინიციატივით აღდგენილ იქნა ჭიდაობის ძველი ტრადიცია. ოქტომბრის პირველ ნახევარში იმართება დავით ხიზამბარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამ დღეს ხიზაბავრაში იკრიბებიან მოჭი-დავეები საქართველოს მასშტაბით. ტრადიციულად იმართება შეჯიბრი, რომელსაც უძღვებიან მაღალი დონის მსაჯები. ჯილდოვდებიან I, II და III ადგილის მფლობელები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დღეს შეჯიბრი იმართება ე. წ. დავით ხიზამბარელის ქვის აწევაშიც და შესაბამისად გამარჯვებულიც ჯილდოვდება.

## ზეპირსიტყვიერება

სოფელ ხიზაბავრის ერთგვარ თავისებურებას წარმოად-გენს მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორი, რაზეც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიუთითებდა არა ერთი მოგზაური და ეთნოგრაფი. მათ შორის: ილია ალხაზიშვილი, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეები, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ივანე როსტომა-შვილი და ა.შ.

„ხიზაბავრაში წმინდად დაუცავთ ნამდვილი ქართული ენა მესხურის კილოთი და იმდენი ლეგენდა, შაირი, ლექსი და ხალხის თქმულებანი შეუნახავთ, რომ მთელი ტომები დაი-წერება,“ — წერდა ილია ალხაზიშვილი. მის მიერ ხიზაბავრაში მოძიებული მასალებიდან ნიმუშად მოვიყვანთ მოშაირე სტეფანე ტატურა-შვილისაგან ჩაწერილ ლექსად თქმულ ლეგენდას: „როგორ გაჩნდა ღვინო“:

ნოემ აშენა ვენახი
ღვინო ვერ დააყენაო
დაღონებულსა ნოესა
ეშმაკი უდგა წინაო.
— ნოევ, ვერ გიქებ ღვინოსა,
შენ ვერ ახარებ ვაზსაო,
თუ ამხანაგად გამიხდი,
გასწავლი ვაზის ხესაო.
ისეთი ღვინო დაგიდგეს,
კაცი ებრძოდეს ლომსაო,
ყველა ქართველი გაქებდეს
თან სვამდეს ყურძნის წვენსაო.

ნოემ დაუთმო ეშმაკს, ამის შემდეგ მან ასწავლა თილისმა: ვენახი ჯერ წყლით მორწყო, მერე ბატკანი დაკლა და მისი სისხლი აპკურა, მესამედ ბულბულის სისხლი აწვეთა ვაზს. მეოთხედ მოზვრის სისხლი დაასხა სარს. ბოლოს ღორებიც დახოცა და სისხლი აპკურა. ამის შემდეგ ნოემ ქვევრში ღვინო დააყენა.

მას აქეთ საქართველოში
ყველა აშენებს ვაზსაო
მას აქეთ ღვინოს თან დაჰყვა
თილისმაც ეშმაკისაო.

ზოგი ღვინოს წყალივით სვამს და კრავივით მშვიდია, ზოგიც ბულბულივით ყბედია, ზოგი მოზვერს ემსგავსება — შფოთავს და ჭირვეულია, ზოგი ლომ-ვეფხვივითაა, ზოგი კი ღორივით ტალახში წვება."[114]

აღნიშნული ლეგენდა მრავალმხრივ საინტერესო ფოლკლორულ მასალას წარმოადგენს. ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს. უპირველესად კი ხაზს უსვამს იმას, რომ ხიზაბავრელნი ისტორიულად მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, რასაც ასევე ასაბუთებს ცნობილი ხალხური ლექსი:

„ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი,
წინ მინდორი და უკან ტყე
ღვინო იცის გვარიანი."

სოფელ ხიზაბავრაში ფოლკლორული მასალის სიმდიდრესა და დაცულობაზე მიუთითებდა კონსტანტინე გვარამაძეც: „ჯავახეთის ძველ თქმულებებს, ჩვეულებებს და სიმღერას აქვე ამოწურავს, რადგან ამ მხრივ აქ უფრო ყოველივე ხსენებულნი დაცულია, ვიდრე ჯავახეთის სხვა სოფლებში."[87]

ხიზაბავრასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ივანე გვარამა-ძის ფოლკლორისტული მოღვაწეობაც, რასაც იგი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სიკვდილამდე ეწეოდა. მის ერთ-ერთ ხელნაწერში კონკრეტულად არის მითითებული იმაზე რისი ჩაწერაც მოახდინა მან. კერძოდ, ლექსები: „სული და ხორცი", „გული", „სუფრულები". ივანე გვარამაძე მიუთითებდა, რომ ე.წ. „მესხური სუფრულების" უმრავლესობა სოფელ ხიზაბავრაში ჩაიწერა. იგი წერდა: „ამისთანა მტკიცე ხასიათისა და გვარის მოყვარულს ხალხში დარჩენილა

მესხური სუფრულები შემკულ-გამშვენებულნი საუცხოვო კილოებით, რომელთ ბადალი არსად მგონია რომ იყოს კიდევ დარჩენილი... საცდელად მე ვთქვი რამოდენიმე სუფრულები სხვადასხვა კილოზედ ჩვენს დიდად პატივცემულ მხცოვან პოეტს რაფიელ ერისთავთან, რომელსაც კარგად შესწავლილი აქვს საქართველოს და საიმერეთოს მხარეების ცხოვრება და მითხრა აღარსად აღარ მოიძევა მაგნაირი კილოებიო."[116]

ივანე გვარამაძე იხვეწებოდა, რომ ვინც შეძლებდა ნოტებზე გადაეღო ეს სუფრულები, რადგან დღითიდღე დავიწყებას ეძლეოდა სუფრულების კილოები, ხოლო მათი მცოდნე მოხუცები ტოვებდნენ ამ წუთისოფელს. მათგან ნასწავლს კი ზოგი ივიწყებდა და ზოგიც ამახინჯებდა. მანვე შემოგვინახა სუფრულების მცოდნე ხიზაბავრელთა ვინაობაც: „ამ ოცდახუთი წლის წინად მრავალნი მოხუცებულნი იყვნენ ხიზაბავრას მცოდნე კარგის სუფრულებისა, როგორც ლეკოთ პავლე, მამუკათ პეტრე, ველიჯანათ პავლე, დათათ იაკობი, მაზმიანთ იაკობი, მაზათ ბერნადე, ხუციანთ სიმონი და სხვა. ესენი რომ იწყებდნენ ქორწილ-ნათლობაში გაღმა-გამოღმა სუფრულებსა ტკბილის ხმითა, ალტაცებაში მოდიოდნენ მსმენელნი. ამათში შესანიშნი იყო ბევრ რამის ცოდნით სუფრულებისა და შაირების ლეკოთ პალე... ისე ზარივით ხმა ჰქონდა რომ ხიზაბავრას რო სიმღერას შემოსძახებდა თურმე საროს ჩადიოდა ორ-სამ ვერსამდის გარკვევით. დიდი და პატარა ქალით კაცით ფეხზე დგებოდნენ."[117]

ივანე გვარამაძე თვითონ იყო მესხური სუფრულების კარგი მცოდნე. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მესხეთში და ჯავახეთში არ ყოფილა არც ერთი სასიმღერო კილო, რომ ივანე გვარამაძემ კარგად არ იცოდესო."[118] ივანე გვარამაძემ შეკრიბა, აღადგინა და შეავსო მესხეთის ძველებური გალობები და სუფრულები, რაც უხმარიათ წვეულებას, ნადიმსა და ლხინში. მან მოძიებულ სუფრულებს ერთად მოუყარა თავი, „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება" უწოდა და უძღვნა იუბილარ მგოსანს — აკაკი წერეთელს. ამდენად, მესხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს „მესხური სუფრულები". მათ შორის — „ხიზაბავრული სუფრულები". ნიმუშად მოვიყვანთ ივანე გვარამაძის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ სუფრულს:

„ვთქვათ სადღეგრძელო ღვინითა,
მათ ჯიხვითა და ჩვენ მინითა,
ვიხაროთ ტკბილის ლხინითა,
გავბასროთ მტერი ჟინითა.
კარგია კარგ კაცის ბაძი
მძულს ლოთ-ავკაცი, ანცი
ძმავ, შენ რას გაგაქვს ფაც-ბაცი
დალიე ზომივრად ყანწი“[119]

ივანე გვარამაძის მიერ სოფელ ხიზაბავრაში სუფრულებთან ერთად ჩაწერილ იქნა ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ლეგენდები — ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც იმთავითვე გამოაქვეყნა სხვადასხვა გამოცემებსა და ქართული პრესის ფურცლებზე. კერძოდ, „ივერიასა“ და „დროებაში“, „კვალსა“ და „მოგზაურში“, „მოამბესა“ და „განათლებაში“, „აკაკის კრებულში“.

ივანე გვარამაძის ფოლკლორისტული საქმიანობით შესაძლებელი გახდა მესხი კაცის ნააზრევის დაცვა — შენახვა და მისი წარდგენა ქართველი საზოგადოების წინაშე.

სოფელ ხიზაბავრაში მდიდარი ფოლკლორული მასალა მოიძია აგრეთვე კონსტანტინე გვარამაძემაც. მან, როგორც ამ სოფელში აღზრდილმა და შემდგომში მისი სკოლის მასწავლებელმა, საფუძვლიანად შეისწავლა და შეკრიბა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ეს მასალა ძირითადად გამოაქვეყნა ჟურნალში — „აკაკის კრებული“ და საერთოდ იმ დროის ქართულ პერიოდი-კაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფელ ხიზაბავრაში სხვადასხვა დროს ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიება-ჩაწერა მოხდა ცალკეულ პირთა და ექსპედიციების მიერ. კერძოდ, აღსანიშნავია XX საუკუნის დასაწყისში ივანე როსტომაშვილის ხელმძღვანე-ლობით მოწყობილი ექსპედიცია, 1933 წლის ე.წ. ჯავახეთის ექსპედიცია. XX საუკუნის 60-იან წლებში ვალერიან მაღრაძის მიერ ჩაწერილ იქნა ხალხური სიმღერები... 80-იან წლებში ექსპედიცია იქნა მოწყობილი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მიერ.

# ბიბლიოთეკის დაფუძნება სოფელ ხიზაბავრაში

მესხ განმანათლებელთა და ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით XX საუკუნის დასაწყისში სოფელ ხიზაბავრაში კიდევ ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას ჩაეყარა საფუძველი. ეს იყო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორი კათოლიკე მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი 1898 წლისათვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საშუალებით ხიზაბავრაში ბიბლიოთეკის გახსნას აპირებდა. ის უთმობდა ორ ოთახს ეკლესიის შენობაში და აპირებდა საჭირო ხარჯების გაღებასაც, ხოლო დასახელებული საზოგადოებისაგან მოელოდა წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გაგზავნას და მფარველობას.

ხიზაბავრაში ბიბლიოთეკის გახსნას ჯავახეთის ქართველი ინტელიგენციაც თანაუგრძნობდა. ი. ალხაზიშვილი „ივერიის“ 1898 წლის კორესპონდენციაში ამ ეროვნული სახით შემორჩენილ დიდი სოფლის გასომხების საფრთხის ასარიდებლად და ქართველ საზოგადოებას შორის კავშირის განსამტკიცებლად საჭიროდ თვლიდა ქართული ლიტერატურით დახმარებას.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც გადაწყვიტეს ხიზაბავრაში თავისი ბიბლიოთეკის გახსნა. 1901 წლის 15 ივნისის №258 ბრძანებით „საზოგადოებამ“ შუამდგომლობა დაიწყო თბილისის გუბერნატორთან ხიზაბავრაში ბიბლიოთეკის დასაარსებლად. აღსანიშნავია, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა იმისათვის, რომ სოფელ ხიზაბავრაში დაარსებულიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ილია მაისურაძის ცნობით, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია, აღნიშნული საზოგადოების სახელზე მღვდელ მიხეილ ვარძელაშვილისა და მასწავლებელ ალექსანდრე ხუციშვილის მიერ სოფელ ხიზაბავრიდან გაგზავნილი თხოვნა: „სოფელი ხიზაბავრა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების შუა სძევს, სადაც ქართული ენა დიდი რყევისა და მოსპობის გზაზედაა დამდგარი...

ამიტომ, ჩვენ ხიზაბავრელებმა, ასეთ მოწყვეტილ და მივიწყებულ კუთხეში განვიზრახეთ ქართული სამკითხველოს დაარსება, რომლითაც შეძლება გვექნება რომ ამ კუთხის ქართველთ გვარის სოფლებში ქართული წერა-კითხვა და დედა-ენა მოიფინოს, ყველა ქართველის ოჯახში, მან კანონიერი აღორძინება მიიღოს. რადგანაც ამ საჭირო საქმის მოსაწყობად საკუთარი ძალა არ მოგვეპოვება. ამიტომ მივმართავთ ზემოხსენებულ საზოგადოებას და ვთხოვთ, რომ საჭირო საშვილიშვილო საქმეში ჯეროვანი ყურადღება მოგვაქციონ და რითაც შეეძლებათ, მით დახმარება აღმოგვიჩინონ."[120] ბიბლიოთეკის გამგე და პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ხიზაბავრელი პავლე ჭონიშვილი.[121]

თბილისის გუბერნიის კანცელარია თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს შეეკითხა პოლიტიკურად კეთილსაიმედო იყო თუ არა ჭონიშვილი. მისი არაკეთილსაიმედობის შესახებ ჟანდარმთა სამმართველოში არავითარი ცნობა არ აღმოჩნდა. ეს სამსახური წინააღმდეგი არ იყო აღნიშნულ შუამდგომლობაზე.

ახალქალაქის მაზრის უფროსმა კი ზუსტად იმავე მიწერი-ლობაზე თბილისის გუბერნატორს უპასუხა რომ გლეხი ჭონიშვილი რაიმე საძრახისში არ შენიშნულა, თუმცა იქვე დასძინა, რომ ხიზაბავრაში ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატივა ეკუთვნოდა ხიზაბავრის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ მიხეილ ვარძელაშვილს, რომელიც უხელმძღვანელებდა ბიბლიოთეკის გამგეს. მაზრის უფროსის აზრით კი ხიზაბავრაში ბიბლიოთეკა იქაურ გლეხობაში წერა-კითხვის მცოდნეთა სიმცირის გამო ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა. ამიტომ, 1901 წლის სექტემბრის №5273-ით თბილისის გუბერნატორის კანცელარიიდან აცნობეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომ მათი შუამდგომლობა გადაიდო ამ მოტივით: „На основние от 15 июния сего о разрешении открыть в сел Хизабавры Ахалкалакского уезда дешевую народную библиотеку в виду малочисленности грамотных крестьян в названном селении, мною отколенено." ე.ი. პასუხი იყო უარყოფითი. ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა ბიბლიოთეკის გახსნა განათლებულ გლეხთა მცირერიცხოვნების

საბაბით. მაშინ, როცა იმჟამინდელი მდგომარეობით ხიზაბავრაში 150 წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი იყო. ეს იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის მორიგი გამოვლინება.

აღსანიშნავია, რომ მთავრობა მიხეილ ვარძელაშვილს არასაიმედოდ თვლიდა, რადგან ზოგიერთი სომეხ-კათოლიკე მღვდლის დაბეზღებით მას ქართული ორიენტაციის მღვდლად მიიჩნევდნენ, რაც მართლაც ასე იყო.

თბილისის გუბერნატორის უარყოფითი პასუხის მიუხედავად ცოტა მოგვიანებით 1904 წელს აღნიშნული საზოგადოებისა და ქართველ ქველმოქმედთა თაოსნობით სოფელ ხიზაბავრაში დაარსებულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ხიზაბავრის სამკითხველოს დიდი ნივთიერი დახმარება გაუწია გამომცემელმა გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც შესწირა თავისი გამოცემებიდან თითო ეგზემპლარი. მას ასევე დიდი სამსახური გაუწია საზოგადო მოღვაწემ — კონსტანტინე გვარამაძემ. კერძოდ, მან ქართველ საზოგადოებრიობას პრესის საშუალებით ამცნო ახალი ბიბლიოთეკის დაარსება, ხოლო გამომცემლებს მიმართა თხოვნით, რომ თავიანთი გამოცემები შეეწირათ ხიზაბავრელთათვის, რომელთაც „წიგნის სიყვარული დიდი აქვთ და ხელმოკლეობა საშუალებას არ აძლევსო“ იქვე მიუთითებდა, რომ სამკითხველოს შესაწირავს თბილისში მიიღებდა პატრი დომინიკე მულაშაშვილი და ახალციხეში მღვდელი ივანე გვარამაძე.[122] ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხიზაბავრის ბიბლიოთეკამ ფუნქციონირება დაიწყო თითზე დასათვლელი წიგნებით. ბოლო პერიოდის მონაცემებით კი წიგნადი ფონდი 14000 შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ბიბლიოთეკას ისე, როგორც სკოლას ჰქონდა არამარტო კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულება, არამედ პოლიტიკური მისიაც. მან დიდი წვლილი შეიტანა ხიზაბავრელთა ქართულ-ეროვნული ცნობი-ერების დაცვა-შენარჩუნებაში.

# ხიზაბავრა 1918-1919 წლებში

სოფელ ხიზაბავრის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს 1918-1919 წლები წარმოადგენს. ამ პერიოდის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა ხიზაბავრის ცხოვრებაშიც ჰპოვა ასახვა. 1918 წელს დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. ბრესტის საზავო მოლაპარაკების დროს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ბედი თვითნებურად გადაწყვიტა. ბრესტის საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიიდან არავინ მიუწვევიათ. ამ ზავის IV მუხლის ძალით თურქეთის ხელში გადავიდა არდაგანისა და ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოითხოვა ამიერკავკასიის მთავრობას დაეცალა ზავით მითითებული ტერიტორია და დაიწყო იქ ჯარების შეყვანა. ტრაპიზონში დაწყებული ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება ჩაიშალა. 1918 წლის 22 აპრილს, როცა სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, გადაწყდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო ბათუმში. ამ პერიოდში კი თურქეთი შეუჩერებლივ ახორციელებდა თავის ჩანაფიქრს — სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას. თურქი აგენტების წაქეზებით მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა თურქებმა წამოიწყეს მოძრაობა თურქეთთან შესაერთებლად. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სერვერ ბეგ ათაბაგი (ჯაყელი). მას აჰყვა ახალციხისა და ახალქალაქის მაჰმადიანური ქართველობის ნაწილიც. 40 კაცისაგან შემდგარმა დეპუტაციამ, რომელიც არავის აურჩევია, მოითხოვა მესხეთი ავტონომიის უფლებით შესულიყო თურქეთის შემადგენლობაში. სერვერ ბეგის რაზმები აწიოკებდნენ მესხეთის ქრისტიანულ მოსახლეობას.[123] მათი რისხვა განსა-კუთრებით თავს დაატყდა წმინდა ქართულ სოფლებს, მათ შორის ხიზაბავრასაც. ხიზაბავრის გარშემო მდებარე სოფლები: ოსკერია, ოთა, ლაშიხევი, ალანძია, შალოშეთი, ორგორა, საყუდაბელი, ნიალა, თმოგვი, თოლერთა, ზედა ვარძია... მაჰმადიანური მოსახლეობით ყოფილა დასახლებული. აღნიშნულ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თვითმხილველთა მონათხრობი და გადმოცემები. ქვემოთ

მოყვანილი გვაქვს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში უშუალოდ სოფელ ხიზაბავრაში ჩაწერილი მასალები:

ზაქრო მელქონაშვილი (77 წლის, 1990 წელი) მოგვითხრობს: „როცა თურქეთის ჯარები შემოვიდნენ, მათზე მეტად ადგილობრივი თათრები უფრო ხოცავდნენ ქართველებს. როცა გავიქცეოდით ადგილობრივი თათრები ძარცვავდნენ ჩვენს სახლებს“.

საბე შემაზაშვილი (86 წლის, 1989 წელი) გადმოგვცემს: „თალანზე ცნობდნენ თათრებს რომელი სოფლიდანაც მოდიოდნენ. როცა ქართველი შემოვიდა, ჩვენი კაცები მიდიოდნენ და თავიანთ საქონელს ართმევდნენ“. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა მათ შემოსევებს, თავდასხმებს „თალანს“ უწოდებდა. ე.წ. თალანის დროს კი მაჰმადიანები ძარცვავდნენ სოფელს, მიჰქონდათ ყველაფერი რის წაღებასაც შეძლებდნენ, ქალებს ნამუსს ხდიდნენ, პირუტყვივით ხოცავდნენ მამაკაცებს. 1918 წელს ერთ-ერთი შემოსევის დროს მათ რამოდენიმე კაცი მოკლეს სოფელში: ხნამია და კოტა ადეიშვილები, ბასილა მურადაშვილი ცოლ-შვილით, პეტე მაზმიშვილი, სერო და სიმონა ბალიაშვილები, კეკე გოგოლაძე, მამუკა მაზმიშვილი, ამბროს ველიჯანაშვილი.

1918 წლის მაისში ხიზაბავრის მოსახლეობამ თურქთაგან თალანის მოლოდინში დატოვა სოფელი და გაიხიზნა. ხალხი ცხრა წყაროს გზით გადავიდა ბაკურიანში, სადაც იქვე დაბანაკდნენ ტყეში. სოფელში მობრუნებულთ თათრები ისე მოულოდნელად დასხმიან თავს, რომ გაქცევა ველარ მოუსწრიათ. მაჰმადიანებმა სისხლიანი კვალი დატოვეს სოფლის ისტორიის ფურცლებზე. მათი წყალობით 1918-1919 წლები ავადმოსაგონარი გახდა ხიზაბავრის მოსახლეობისათვის.

სოფლის მოხუცებულთ, რომელნიც უშუალოდ თვითონ იყვნენ იმ პერიოდის მომსწრენი, დიდი გულისტკივილით იგონებენ ე.წ. „თალანსა“ და „თურქ-მესხებს“. „თათრებისაგან ტანჯვის მეტი რა გვახსოვს, იმ დღეს გაუვლია და ნულარ გამოივლის“[124]- ასეთია მათი დასკვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანთაგან შეწუხებულ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან ერთად ხიზაბავრის მცხოვრებნიც

აქტიურად ჩაებნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული გვარდიის წარმატებულ ბრძოლაში დიდი იყო ადგილობრივი მოსახლეობის და მათ შორის ხიზაბავრელთა წვლილი. რამდენადაც მათ მოხალისეთა ათასეულიც კი ჩამოა-ყალიბეს. მოგვიანებით ხიზაბავრელთა ათასეულის ბრძოლა დოკუმენტურად, საფუძვლიანად შეისწავლა სოფლის მკვიდრმა — სპეციალობით ისტორიკოსმა პეტრე პაპაშვილმა. მან თავისი გამოკვლევა საგაზეთო სტატიის სახით გამოაქვეყნა გაზეთ „ასპინძის“ ფურცლებზე „განწირული ათასეულის“ სახელწო-დებით. პეტრე პაპაშვილის, რომელმაც მრავალი თაობა აღზარდა სამშობლოს სიყვარულით და „ათასეულის“ ხსოვნისა და უკვდავსაყოფად ქვემოთ სრულად წარმოვადგენთ დასხელებულ სტატიას.[125]

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ხიზაბავრელები აქტიურად მოქმედებდნენ არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მათ ეროვნულ მენშევიკურ მთავრობას იმთავითვე გამოუცხადეს ერთგულება და მხარდაჭერა. 1920 წლის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ სამცხე-ჯავახეთში სპეციალურად ჩამოსულა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ივანე ქარციძე. მას მოსახლეობისათვის გაუცვნია საერთო მდგომარეობა და მთავრობის პოლიტიკა. როგორც კორესპონდენტი წერს მოსახლეობას განურჩევლად ეროვნებისა სრული დახმარების სურვილი გამოუთქვამს მთავრო-ბის მიმართ. „განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდა მის გამოსვლას ქართველი კათოლიკეები სოფელ ხიზაბავრაში: ოღონდ დაგვიძახოს მთავრობამ და მზად ვართ ქუდზე კაცი გამოვიდეთ ჩვენ სამშობლო საქართველოს დასაცავადო. კმარა რაც გვტანჯეს ჩვენმა მოსისხლე მტრებმაო“[126] — წერდა წერილის ავტორი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთხრობელთა გადმოცემებში ასევე ნათლად აისახა მოსახლეობის დამოკიდებულება 1944 წლის ნოემბერში სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლების საკითხზე. კერძოდ, მთხრობელები იწონებდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას მათი გასახლების შესახებ. მიუთითებდნენ, რომ ადგილობრივი ქართველობა აღფრთოვანებული

შეხვდა მათ გადასახლებას. აი, რას გვიამბობს გარანა გოგოლაძე (84 წლის, 1989 წელი): „ადგილობრივ ხალხს ძალიან გაგვიხარდა იმათი გასახლება. გავიძახოდით: გადაშენდით და ღმერთმა აღარ მოგაბრუნოთ უკანო“. ხოლო სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები, ეკატერინე ხუციშვილის გადმოცემით, პეტრე ხუციშვილი 1944 წლის ნოემბერში (ე.ი. მათი გასახლების დროს) ჩასულა რაიონში რაიკომის მდივანთან — ძებისაშვილთან და უთქვამს: სტალინს ვენაცვალე, პარტიას ვენაცვალე, რომ ისინი მოგვაშორეთო. მაგათ ჩვენი სისხლი ბევრი სვეს, ჩვენი ქალი და რძალი მაგათი შიშით ფეხს ვერსად ადგამდა, ეხლა მოვისვენებთ და გავიხარებთ. გენაცვა-ლეთ, რომ გადაგვარჩინეთ ამ ურჯულოებსო“.[127] აქვე უდა დავსძინოთ, რომ ე.წ. „თურქი მესხების“ საკითხის მოგვარებისას, რა დროსაც არ უნდა მოხდეს ეს, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის პოზიცია. რამეთუ ამ კუთხის ხალხს ყველაზე უკეთ მოეხსენება მათი ვინაობა.

თურქთა 1918-1919 წლების სისხლიანი თარეში ისტორიის კუთვნილება გახდა. მათ მიერ მიყენებული იარებიც ნელ-ნელა მოიშორა სოფელმა...

## *განწირული ათასეული*

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგები ყველაზე მძიმე და აურაცხელი მსხვერპლის მომტანი იყო საქართველო-სათვის, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთისათვის. მსოფლიო ომის დასაწყისშივე შეიქმნა კავკასიის ფრონტი, უმეტესად კავკასიის ხალხები იბრძოდნენ. ჩვენი კუთხის მრავალმა სახელოვანმა მამულიშვილმა შესწირა ამ ბრძოლას თავი.

ქართველმა მენშევიკებმა ცარიზმის დამხობის დღიდან მმართვე-ლობის ძველი ფორმები უცვლელი დატოვეს, საგარეო პოლიტიკაში კი ავანტიურას დაადგნენ. 1918 წლის 10 თებერვალს მათ თბილისში მოიწვიეს კავკასიის სეიმი, რომელიც შედგებოდა ესერთა, დაშნაკთა, მენშევიკთა და ხანთა დეპუ-

ტატებისაგან. ისინი არჩეულნი იყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავ-კასიიდან. სეიმი მიაჩნდათ ხელისუფლების უმაღლეს საკანონ-მდებლო ორგანოდ.

სეიმმა არ სცნო საბჭოთა რუსეთის მიერ დადებული ბრესტის ზავის პირობები. იგი შეეცადა მიეღწია თურქეთთან ზავის დადების დამოუკიდებელი პირობებისათვის, რომელთა მიხედვით ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის აღდგენილ უნდა ყოფილიყო პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის არსებული საზღვრები.

სეიმმა დაიწყო თურქეთთან საზავო მოლაპარაკება. მაგრამ ვერცერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. თურქეთის არმიებმა განაახლეს შეტევა და ზედიზედ დაიპყრეს ერზინჯიანი, ბაიბურთი, მამახათუნი, არზრუმი. თურქეთი ანგარიშს არ უწევდა სეიმის პროტესტს და დაიკავა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები, შეიჭრა ოზურგეთში და დაემუქრა თბილისს.

ამიერკავკასიის სეიმს არ აღმოაჩნდა რეალური ძალა ქვეყნის დასაცავად. მენშევიკების უბადრუკმა პოლიტიკამ ქართველები ახალ ომში გახვია. ომის ასპარეზი მესხეთ-ჯავახეთი გახდა. ინგრეოდა და ნადგურდებოდა ძველი დიდების უტყუარი ძეგლები, საუკუნეების მანძილზე სისხლით, ოფლითა და ცრემლით მოპოვებული და დაცული. დამპყრობლებს უნდოდათ ტაშისკარის ზემოთა ტერიტორიები კვლავ მათი ყოფილიყო. „თურქეთის არმიის მთავარსარდალმა ვეხიბ-ფაშამ, — იგონებს ამ ბრძოლის მონაწილე ხიზაბავრელი იოსებ ველიჯანაშვილი, — დაავალა ახალციხის სარვან ბეგს, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისაგან შეექმნა მოხალისეთა ბანდები ქართველების მოსასპობად. „ამ შავბნელ დღეთა გახსენებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლის ტანში... ურჯულოებს არამარტო ჩვენი კუთხის, არამედ მთლიანი საქართველოს ჩაყლაპვის მადაც ჰქონდათ, კავკასიის ფრონტიდან ის იყო დავბრუნდი, რომ თურქებმა აწყურთან ჩაკეტეს გზა; 1918 წლის იანვრიდან მესხეთ-ჯავახეთი საქართველოს მოწყვიტეს“.

ახალციხის ქემელ-ფაშამ ახალციხის, ადიგენის და ასპინძის მაჰმადიანი მოსახლეობისაგან შეადგინა მოხალისეთა

შვიდიათასიანი ბანდა, რომელსაც შეუერთეს თურქ-ოსმალთა რეგულარული არმიის რამდენიმე ათასეული და დასძრეს მესხეთ-ჯავახეთისაკენ. ისინი წვრთნას ასპინძასა და ხერთვისში გადიოდნენ.

არც ადგილობრივი ქართველები იყვნენ უმოქმედოდ. ყველა ხედავდა, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი ახლა წყდებოდა. 1918 წლის დასწყისიდან ხიზაბავრაში ალექსანდრე ხუციშვილის თაოსნობით ბაკურიანიდან გადმოიტანეს 600 შაშხანა, 4 ტყვიამფრქვევი („მაქსიმკა"), ერთი ზარბაზანი — „სტაროდო-ობრაზცა" და აურაცხელი ტყვიაწამალი. ამას დაუმატეს კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულთა შაშხანები და დაცვის საქმეს სამხედრო ორგანიზაცია მისცეს. „ვისარგებლეთ თათრების წვრთნით, — გვიყვება სიმონ იაკობის ძე ადეიშვილი, — და ჩვენც შევქმენით მოხალისეთა ათასეული. 56 კაცი საროდან მოგვეშველა, 10 — ვარგავიდან, 7 — თოკიდან და 125 ჯავახეთის სხვადასხვა სოფლიდან". ამავეს ადასტურებს მწერალი ალ. ქუთათელი თავის რომანში „პირისპირ": „ოდესღაც განთქმულ ასპინძას, სოფელ ხიზაბავრისა და საროს მოხალისეთაგან შემდგარი ათასეული იცავდა." (გვ. 243, 1966წ.)

ათასეული დაიყო ასეულებად, ოცეულებად და ათეულებად. თითოეულ ქვედანაყოფს არმიიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაუნიშნეს მეთაურებად.

პირველ ასეულს ხელმძღვანელობდა პავლე სიმონის ძე ლეკიშვილი, მეორეს — ვასილ სტეფანეს ძე ფილიშვილი, მესამეს — ბაგრატ ყრუაშვილი, მეოთხეს — ამბროსი ველიჯანაშვილი. მისი მეზარბაზნედ გადაყვანის გამო ასეულს მიხეილ ხუციშვილი ჩაუდგა სათავეში. ტყვიამფრქვევები ასეულებზე იყო მომაგრებული, ხოლო ქვემეხს კი საერთო ხელმძღვანელი ეფრემ ველიჯანაშვილი მართავდა.

ყოველ ასეულს თავიანთი უბანი მიუჩინეს. პირველი ასეული განლაგებული იყო გორაბანზე და იცავდა ასპინძიდან ახალქალაქისა და ხიზაბავრისაკენ მიმავალ გზას. ამასთან კონტროლს უწევდა ჩიხორიშის ხევს. მეორე ასეული დაბანაკდა რუსხმულში. ისინი დარაჯობდნენ ასპინძიდან დამალაზე გავლით ჯავახეთისაკენ

მიმავალ გზას, ხოლო მესამე და მეოთხე ასეულები იცავდნენ ორმოციდან ხერთვისსა და შვიდრავანტიდან მიმავალ გზებს. ქვემეხი დადგმული იყო ჯერ სახიზრის თავზე, შემდეგ კი — ხიზაბავრის თავზე, შემდეგ ხიზაბავრის დასავლეთით.

ათასეულის სული და გული ეფრემ ველიჯანაშვილი იყო. იგი ითვლებოდა მის ოფიციალურ უფროსადაც, რომელმაც, მართლაც რკინისებური დისციპლინა დაამყარა დანაყოფებში. ეფრემი უნერგავდა მებრძოლებს თავგანწირვის, სიმხნევისა და სიმამაცის გრძნობებს. ბევრჯერ ბრძოლაში შეფერხებულ ათასეულს პირადი მაგალითით ამხნევებდა და იერიშზე მიჰყავდა, იმ დროისა და პირობების კვალობაზე საკმაოდ განვითარებული კაცი იყო. უყვარდა და კარგად იცოდა ქართველი ერის ისტორია. თავისი მჭერმეტყველების წყალობით მას ასეულების ხელმძღვანელობა და გაყოლიება შეეძლო. „სწორედ ამიტომ იყო, იგონებს ბაგრატ პაპაშვილი, რომ როცა თურქებმა შემოტევა დაგვიწყეს, სამი თვის განმავლობაში მარტო ჩვენი ათასეული უმკლავდებოდა მტერს".

ათასეული იცავდა არამარტო ხიზაბავრას, საროს, ვარგავსა და თოკს, არამედ მთელ ჯავახეთსაც. რადგან იგი ჰკეტავდა, კონტროლს უწევდა და იცავდა ჯავხეთისაკენ მიმავალ ყველა გზას. თურქ მოთარეშეებს შიშის ზარი დასცეს მეზარბაზნეებმა, რომლებიც იანვრის დასაწყისიდან თებერვლის ბოლომდე განუწყვეტლივ ურტყამდნენ ასპინძასა და ხერთვისს. 28 თებერვალს ზარბაზანმა ავარია განიცადა, რამაც ამბროსი იმსხვერპლა, ხოლო რამდენიმე მძიმედ დაშავდა და დასახიჩრდა.

აპრილის ბოლოს მენშევიკებმა ძლივს მოახერხეს დახმარება გაეწიათ გმირი ათასეულისათვის. როგორც იქნა გამოაგზავნეს ბატარეია კაპიტან ალექსიძის მეთაურობით. იყო ქვეითი და ცხენოსანი ნაწილებიც. ალექსიძის ორი ზარბაზანი ხიზაბავრაში გორაბანის პლატოზე დადგეს, ხოლო ორი — დამალაში. ალექსიძის ნაწილები გმირულად ეკვეთნენ მტერს ასპინძასთან და სასტიკად გაანადგურეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ხიზაბავრის ათასეულიც, რომელმაც დაჰკარგა 167 მეომარი, დაიჭრა — 85 კაცი.

ასპინძასთან გამარჯვების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მენშევიკურმა მთავრობამ დამხმარე ნაწილები ჯერ ვარევანში გადაიყვანა, შემდეგ — ბაკურიანში. ამრიგად, ისევ ხიზაბავრა-საროს ათასეული დარჩა მტრის პირისპირ.

თათრებს რომ დამალიდან არ შემოევლოთ და ზურგში არ დაერტყათ ათასეულისათვის, მეორე ასეულს კვლავ რუსხმული ჩააბარეს და სოფელ ვარევნის ქართველებითა და სომხებით გააძლიერეს. „იქ მარტო ხიზაბავრელები და ვარევნელი ქართველნი და სომხები იბრძოდნენ. (ალ. ქუთათელი, „პირისპირ", გვ. 275, 1966წ.).

როგორც ახალქალაქის ბრძოლის მონაწილე სტეფანე ხუციშვილი გადმოგვცემს, მენშევიკური მთავრობის იმედი აღარ ჰქონდათ. მას თვითონ უჭირდა. სხვა გზა არ იყო. მესამე ასეული მიხეილ ხუციშვილის მეთაურობით ახალქალაქის დასახმარებლად გაიგზავნა. 1918 წლის 15-20 მაისს ახალქალაქი აიღეს.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო „ზავისა და მეგობრობის" ხელშეკრულება. თურქეთს დაეთმო აჭარა ბათუმით, ახალციხის მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი. საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო ამ ტერიტორიებიდან გაეყვანა ჯარები. ასე, რომ მესხეთ-ჯავახეთი ქართველი ხალხის დაუძინებელ მტერს თურქ-ოსმალებს დაუტოვეს საჯიჯგნად. ახლა უფრო გააქტიურდნენ და გაახშირეს თავდასხმები თურქ-ოსმალთა ბანდებმა სარო-ხიზაბავრაზე.

შეტევა ხერთვისიდან დაიწყეს. მტერს შვიდი ათასამდე ავაზაკისათვის მოეყარა თავი. მათ სარო-ხიზაბავრის გზები დაიკავეს, გორაბანსა და სანიორას მთაზე გათხარეს სანგრები და სროლა დაუწყეს. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ცეცხლის რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. და, მალე ათასეული ფარხმალს დაჰყრიდა, რომ ოფიცერ კობესანიძესა (ზოგის თქმით ზაუტაშვილს) და ეფრემ ველიჯანაშვილს არ მიემართათ მათთვის პატრიოტული სიტყვით. ათასეული ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. მტრის სანგრებამდე 100 მეტრიღა იყო დარჩენილი, რომ ზაუტაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა (იგი სასწრაფოდ გაიყვანეს და... ბაკურიანში გადაასვენეს).

შეტევის წარმატებით დამთავრებას დიდად შეუწყო ხელი ჩუნჩხელთა დახმარებამ. მათ ჩუნჩხის პლატოდან პირდაპირ ზურგში დაარტყეს და არევ-დარევა შეიტანეს მტერში, ორ ცეცხლშუა მოქცეული ურდო გაიქცა. ამ ბრძოლის მონაწილეთა გადმოცემით, თათრებმა აქ დაკარგეს 2500-ზე მეტი მეომარი, ბევრიც ტყვედ ჩავარდა. ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარი გაიხიზნა.

აღსანიშნავია, რომ მტერთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებ-დნენ ქალები და მოხუცები. ისინი ხიზაბავრიდან ტყვია-წამალს ეზიდებოდნენ ვარანტის ხევამდე, აქედან კი დაჭრილები გაჰყავდათ და უვლიდნენ. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აღარავის ახსოვდა საკუთარი მწუხარება. „ის იყო მე და ბაგრატ თენოშვილი თურქეთის ფრონტიდან დავბრუნდით, რომ სოფელი ცეცხლის ალში დაგვხვდა გახვეული, — ამბობს ბაღდო ბაღდოშ-ვილი. აქაც ერთად ვიბრძოდით, ჯერ შეტევაზე არ გადავსული-ყავით, რომ ამხანაგი „ჩამხიბელასთან" მომიკლეს. მკვდართან მამამ მოირბინა, შვილს დაემხო, ერთი აქვითინდა, უცებ აიტაცა შვილის შაშხანა და ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვა".

მტერი განადგურდა, მაგრამ არა საბოლოოდ. დახმარების იმედი არსაიდან იყო. დამარცხების შემდეგ თათრებმა დიდხანს ვეღარ შეძლეს ბრძოლის განახლება. ხიზაბავრა-საროელებსაც უნდა ეზრუნათ გახიზვნაზე, თუ არადა ტყვედ ჩავარდებოდნენ.

ივნისის დასწყისში, გახიზვნამდე, ათასეულის შტაბმა ხერ-თვისში მცხოვრებ თამილ-ბეგის შუამავლობით თათრებს ტყვეები გაუცვალა. მათი რიცხვი 1500-1800 სულამდე აღწევდა.

ტყვეებში ბევრი სომეხი იყო. მეტად შესაბრალისნი იყვნენ ქალები და ქალიშვილები... თათრებს ყოველგვარი მხეცო-ბისათვის გადეჭარბებინათ. სომხები ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდათ დასაპურებლად და მოსაღონიერებლად. ამასთან ნება დაერთოთ ეშველათ თავიანთი თავისთვის...

ივნისის პირველ რიცხვებში მოსახლეობამ დატოვა სოფელი, სისხლითა და ცრემლით ნაშენი კერა და გახიზვნა დაიწყო ბაკუ-რიანისაკენ. მიდიოდნენ ურმებით, მიჰყავდათ ცხვარი, საქონელი... როცა უწიეს ცხრაწყაროს, რომელიც ზღვის დონიდან 2260

მეტრის სიმაღლეზეა, ლტოლვილთ დიდმა სეტყვამ მოუსწრო. ბევრი შიშველ-ტიტველი მგზავრი გაცივდა და ანთებით გარდაიცვალა, დაიხოცა უამრავი პირუტყვიც. ჯავახეთის მოსახლეობამ მთლიანად ბაკურიანში მოიყარა თავი, მათი ბინა ღია ცა იყო. გაჩნდა მუცლის ტიფი, რომელმაც თითქმის ყველა ოჯახს მიაკითხა და 2-3 სული გამოაცალა ხელიდან. „ტიფმა მარტო ჩვენს სოფელს, — ამბობს პავლე ბალიაშვილი, 500 კაცი დააკლო".

მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც ხან გერმანელებს და ხან ინგლისელებს ურიგდებოდა, თითქოს მოაგვარა თურქეთთან სადაო საკითხები და 1918 წლის ნოემბერში აიძულა ხიზნები მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ. მათგან 100 კომლი შიგნით კახეთში დარჩა და დაარსა სოფელი ხიზაბავრა (ახლანდელი გურგენია), ხოლო 50 ოჯახმა გორის მაზრის სოფელ ახალხიზას მიაშურა და ადრინდელ ჩასახლებულ თანასოფლელებს შეუერთდა, დანარჩენები დაუბრუნდნენ მიტოვებულ სახლ-კარს.

„აქ რომ მოვედით, — ამბობს სტეფანე გოგალაძე, — ჩვენს ბინებში თათრები ჩასახლებულიყვნენ. ჩვენი მოსავალი აეღოთ, დარჩენილ ქონებას დაპატრონებოდნენ, საქონელიც მოერეკათ გამოსაზამთრებლად. იარაღი მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოგვართვა ბაკურიანსა და კახეთში, „მასპინძლები" კი კბილებამდე შეიარაღე-ბულნი დაგვხვდნენ.

რამდენიმე კვირას „უვნებლად" ვცხოვრობდით. მაშინ კი, როცა დიდი თოვლ-ბუქის გამო გზები შეიკრა, მახეში მომწყვდეული აღმოვჩნდით. დაგვიწყეს ძარცვა-განადგურება. იმდენი ხეტიალის შემდეგ თუ რაიმე დაგვრჩა, ახლა წაგვართვეს. ამას როგორმე ავიტანდით, რომ ადამიანთ ხოცვა-ჟლეტვა არ დაეწყოთ. ირჩევდნენ ახალგაზრდებს, ვაჟკაცებს და შარაგზებზე ხოცავდნენ. მიწის მიბარების საშუალებაც არ გვქონდა, ხალხს სასოწარეკვეთა, რა გვეღონა?".

35 ვაჟკაცმა ბაკურიანში წასვლა განიზრახა, რომ მთავრობი-სათვის ემცნობებინა შექმნილი მდგომარეობა. „ჯავახეთის ზეგანზე, ცხრაწყაროს უღელტეხილზე გავლით ბაკურიანში ჩასვლა ზაფხულში რა არის რომ ზამთარში რა იყოს,— ამბობს ღრმად მოხუცი ვასილ კელოშვილი, რომელიც რჩეულთა შორის

იყო — თოვლის სისქე 60 სანტიმეტრზე მეტი იყო. მეწინავენი რიგრიგობით ვიცვლებოდით სანისლაოს მთაზე მოყინვითა და გულის ხუთვით მოგვიკვდა გ. ბალიაშვილი, რომელსაც მიწაც ვერ ვაღირსეთ. დანარჩენებმა ძლივს ჩავაღწიეთ ბაკურიანში. მაგრამ, ვაი ამ ჩასვლას. ყველანი მუხლებქვემოთ მეტ-ნაკლებ მოვიყინეთ. თითქმის ყველას ფეხის ტერფები მოგვკვეთეს, ხოლო ხუთ ვაჟკაცს, რომლებიც ხშირად წინ მიგვიძღოდნენ, მუხლებს ქვემოთ ორივე ფეხი მოკვეთეს.

ჩვენმა გაპარვამ თათრებზე იმოქმედა. ადამიანთა ხოცვა შეეჩერებინათ და ქონების გადაზიდვა დაეწყოთ ასპინძაში, ადიგენსა და ახალციხეში.

მესხეთ-ჯავახეთის ტრაგედიას ბოლო მოუღო ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა მთავრობის დროულმა დახმარებამ არსებობა შეუნარჩუნა ჩვენს მრავალტანჯულ მამულს, ჩვენს ქართველობას.[128]

პეტრე პაპაშვილი
ხიზაბავრის საშუალო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხიზაბავრაშიც რადიკალური ცვლილებები მოხდა. კერძოდ, რევოლუციამდე აქ სახელმწიფო გლეხები ცხოვრობდნენ. ხიზაბავრის გლეხობა ხერთვისის ბეგს ემორჩილებოდა. მას თითოეული კომლი 10 ბჯაში ერთს აძლევდნენ. სოფელში ლეწდნენ მის წილ ბჯას, ხორბალს ინახავდნენ „ბეგის ამბარში" (ეს ამბარი დადგმული ყოფილა სოფლის ცენტრში, ძველი სასოფლო კლუბის ტერიტორიაზე). გადმოცემით, ბეგი ხორბლის ნაწილს ღარიბ-ღატაკ გლეხობაზე ანაწილებდა, ნაწილს კი სესხად აძლევდა. ხოლო სათიბი და საძოვარი სოფლის კუთვნილებას წარმოადგენდა. სათიბს მამასახლისი ანაწილებდა. (მთხრობელი ბაგრატ ლეკიშვილი).

რევოლუციის შემდგომ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები გაერთიანდნენ მიწის საერთო ძალით დამმუშავებელ ამხანაგობებში. კერძოდ, 1927 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტელი, მასში გაერთიანდა 20 კომლი. ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ლ. ნიჟარაძე. 1929 წლის აპრილში კი ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. მისი პირველი წევრები იყვნენ: ბაგრატ პაპაშვილი, ბაგრატ და კოსტა ყრუაშვილები, ლევან, კატო, იოსებ და გაბო ველიჯანაშვილები, ფანჩო და ლაზარე მაზმიშვილები, მიხა ლეკიშვილი, იოსებ ანთაძე, პეტრე პაპაშვილი, მამუკა ქუქჩიშვილი, ქიტე და კეკელა დათაშვილები, პეტრე მაზაშვილი... ხოლო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბაგრატ პაპაშვილი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1929 წლიდან ბოლო პერიოდამდე სხვადასხვა დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად მუშაობდნენ შემდეგი პირები:

1. ბაგრატ ეფრემის ძე პაპაშვილი;
2. იაკობ სტეფანეს ძე მამუკაშვილი;
3. სტეფანე კოსტას ძე პაპაშვილი;
4. ბასილა სტეფანეს ძე მამუკაშვილი;
5. ფანჩო ივანეს ძე მაზმიშვილი;

6. გიგლა პავლეს ძე ველიჯანაშვილი;
7. სოლომონ ვასილის ძე ყრუაშვილი (1945-49წწ.);
8. თამარ ივანეს ასული თედორაძე (1949-50წწ.;
9. ბაგრატ ვასილის ძე ლეკიშვილი (1950-51წწ.);
10. ავთო ასპანიძე;
11. მიხეილ მაზმიშვილი;
12. სოლომონ ვასილის ძე ყრუაშვილი;
13. შალვა არჩილის ძე მიქელაძე (1957-60წწ.);
14. ივანე ეფრემის ძე პაპაშვილი;
15. სანდრო გაბრიელის ძე ხუციშვილი;
16. ვალიკო მარკოზის ძე ველიჯანაშვილი;
17. იაკობ (ბიჭიკო) მიხეილის ძე ხუციშვილი;
18. ვასილ კირილეს ძე ველიჯანაშვილი;
19. იოსებ ვასილის ძე ყრუაშვილი;
20. ფანჩო მარკოზის ძე ველიჯანაშვილი;
21. იაკობ (ბიჭიკო) მიხეილის ძე ხუციშვილი;
22. ვახტანგ კირილეს ძე ველიჯანაშვილი;
23. სიმონ (შურა) გასპარის ძე პლაჭიაშვილი;
24. ლერი შალვას ძე ხუციშვილი;
25. რევაზ იოსების ძე ყრუაშვილი;
26. სიმონ (შურა) გასპარის ძე პლაჭიაშვილი;

ე.ი. ხიზაბავრის კოლმეურნეობას 26 თავმჯდომარე ჰყავდა. მათ შორის სამ პიროვნებას: სოლომონ ვასილის ძე ყრუაშვილს, იაკობ (ბიჭიკო) მიხეილის ძე ხუციშვილს და სიმონ (შურა) გასპარის ძე პლაჭიაშვილს მეორედ მოუხდათ ხიზაბავრის კოლმეურნეობის თავმჯდომრად მუშაობა. ხიზაბავრის კოლმეურნეობა 1997 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად გადაკეთდა. იგი ფაქტიურად დაიშალა. მოსახლეობას გადაეცა მიწების ძირითადი ნაწილი (სახნავ-სათესი და ბაღები), მიეყიდა წარმოების საშუალებები (ტექნიკა და შენობა-ნაგებობები).

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრის კოლმეურნეობა თავდაპირველად ფლობდა 25 ჰექტარ მიწის ფართობს, კოლწევრების მიერ შეგროვილ სამუშაო იარაღს და გამწევ საშუალებებს.

80-იანი წლების მდგომარეობით კოლმეურნეობა ფლობდა 4406,41 ჰექტარს. აქედან 2836,91 ჰა — სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იყო, 39,0 ჰა — სახნავი, 191,0 ჰა — სათიბი, 2219,0 ჰა — საძოვარი, 125,6 ჰა — ტყის ფართობი, 67, 93,0 ჰა — საკარმიდამო ნაკვეთი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფელი ხიზაბავრა კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე ფლობდა სხვა ტერიტორიებსაც, რომლებიც გადაეცათ მეზობელ სოფლებს. კერძოდ, ხუციშვილები ფლობდნენ 80,0 ჰა ფართობს ვარდის ციხესთან, რომელიც გადაეცათ მიმდებარე სოფლებს: ხანდოს, ვარევანსა და თოკს. ხოლო თოკმა და ვარევანმა მიიღო — წერაკუნტა; დამალამ — ცხენთა ჭალა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 1944 წელს მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლების შემდეგ სოფელ ხიზაბავრას გადაეცა შვიდრავანტა, ოსკერია, ნიალაში — ჭალები და სახნავ-სათესი 50,0 ჰა.

1921 წლიდან — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასოფლო საბჭოს თავმჯდომრის თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ:

1. ბაგრატ გიორგის ძე ყრუაშვილი;
2. მიხეილ თომას ძე ლეკიშვილი;
3. ბაგრატ ლონდარიძე;
4. ლევან პეტრეს ძე გელაშვილი;
5. გაბრიელ ივანეს ძე ზურაბაშვილი;
6. სიმონ იაკობის ძე ტატურაშვილი;
7. ლაზარე ზაქარიას ძე მაზმიშვილი;
8. გიგლა პავლეს ძე ველიჯანაშვილი;
9. ივანე ეფრემის ძე პაპაშვილი;
10. გიორგი სტეფანეს ძე ქუქჩიშვილი;
11. იაკობ გაბრიელის ძე ველიჯანაშვილი;
12. ლუბა ივანეს ასული თედორაძე;
13. გიორგი პეტრეს ძე დათაშვილი;
14. ანზორ ლევანის ძე ხუციშვილი;
15. გიორგი პეტრეს ძე დათაშვილი;
16. ნოდარ შოთას ძე ბაბელაშვილი.

წლების მანძილზე ხიზაბავრის სასოფლო საბჭოში გაერთიანებული იყო ოთხი სოფელი: ხიზაბავრა, სარო, თოკი და ვარგავი. მოგვიანებით დაემატა ნიჯგორი. ამჟამინდელი მდგომარეობით კი ხიზაბავრის საკრებულო აერთიანებს: ხიზაბავრას, საროსა და ნიჯგორს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრამ განსაკუთრებულად იცვალა სახე დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. გარდა იმისა, რომ აშენდა თანამედროვე ტიპის მრავალი საცხოვრებელი სახლი, სოფლის მცხოვრებთა სამსახურში ჩადგა სხვადასხვა დაწესე-ბულება. კერძოდ, კლუბი ბიბლიოთეკით (დაარსდა 1949 წელს, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა კლუბისა და სასოფლო ბიბლიოთეკების გაერთიანება, წიგნადი ფონდი შეადგენს — 14000 ეგზემპლარს), ფოსტა, რომელიც გაიხსნა 1941 წელს, შემნახველი სალარო არსებობდა 1949-1999 წლებში, 1967 წლიდან ფუნქცი-ონირებს ფურნე, აქვეა ბაგა-ბაღი, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, სკოლა კაბინეტური სისტემით და ბიბლიოთეკით (წიგნადი ფონდი შეადგენს 12000). 70-იანი წლების დასწყისში აშენდა სამრეწველო მაღაზიის ახალი შენობა. 1949 წლიდან არის ელექტრო წისქვილი (მანამდე იყენებდნენ წყლის წისქვი-ლებს), 1991 წელს ამუშავდა აბანო, სოფელში მოყვანილია როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყალი. წლების მანძილზე სოფლის ტერიტორიაზე მუშაობდა ბაზალტის ქვის დამმუშა-ვებელი რამდენიმე ქარხანა. სოფელში იყო აგიტპუნქტი, ვეტპუნქტი. საავადმყოფო.

## ხიზაბავრაში მოღვაწე კათოლიკე მღვდლები

XX საუკუნის დასასრულს — 90-იან წლებში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. დაიშალა საბჭოთა კავშირი, რის შედეგად საქართველომ შესძლო სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამოუკიდებლობის დაბრუნება. ამან განაპირობა ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში. მათ შორის რელიგიის სფეროში. მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება თავის დროზე მტრად

მოევლინა ეკლესიას და ახორციელებდა ათეისტურ პოლიტიკას, ფაქტიურად დახურულ იქნა ეკლესია-მონასტრები, უარყოფილ იქნა ღმერთი და დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ სასულიერო პირები და მორწმუნენი. ეკლესიისა და რელიგიური აღმსარებლობის მიმართ ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება იყო დემოკრატიული. თავისი უფლებები აღიდგინა მართლმადიდებლურთან ერთად კათოლიკურმა ეკლესიამაც. 1992 წელს ვატიკანმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა და შესაბამისად მოავლინა თავისი ელჩი, ხოლო 1994 წლიდან, 1921 წლის შემდეგ პირველად, საქართველოში აღდგა-განახლდა მისიონერების — კათოლიკე ბერ-მონაზვნების მოღვაწეობა. ცნობილია, რომ რომის პაპის დავალებით ბოლოს მისიონერები საქართველოში გამოემგზავრნენ 1921 წლის დასაწყისში: მამა ჯოაკინო მოსკა, მამა ლუი ბაილი, მამა ვლადისლავ ტიზისკიევიჩი, ვიციო კოლანჯელო. მაგრამ ისინი საქართველოში ვერ ჩამოვიდნენ იმის გამო, რომ ბოლშევიკებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია და ამიტომ უკან გაბრუნდნენ.[129]

ამდენად, 1921-1992 წლებში რომსა და საქართველოს შორის გაწყვეტილი იყო ყოველგვარი კავშირი.

ამჟამად საქართველოში წმინდა საყდრის ელჩია მთავარეპისკოპოსი კლავუდიო გუჯეროტი, ხოლო ეპისკოპოსი — ჯუზეპე პაზოტო. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდნენ კათოლიკე ბერ-მონაზვნები, განმწესდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც. ისინი ერთდროულად ეწეოდნენ მღვდელთმსახურებასა და სწავლობდნენ ქართულ ენას. შეიძლება ითქვას, რომ მათ უპირველეს საქმედ იქცა კათოლიკური ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მრავალი ქრისტიანული ეკლესია დაინგრა და განადგურდა, გადარჩენილნი კი იყო დაკეტილი ან პურის საწყობებად გამოყენებული. ასეთი ვითარება იყო სოფელ ხიზაბავრაშიც.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დღემდე ხიზაბავრაში მოღვაწეობა მოუხდა რამდენიმე კათოლიკე მღვდელს:

მამა ანდრეი იანიცკი — სოფ. ტურცხის მოძღვარი, სალეზიელი მღვდელ-მონაზონი, 1988-1992 წლებში ჩადის ხიზაბავრაში მეტნაკლებად თვეში ერთხელ.

მამა ბერნარდინე სვიდერსკი — სოფ. არლის მოძღვარი, ფრანცისკელი მღვდელ-მონაზონი, 1992-1996 წლებში ჩადის ხიზაბავრაში დროდადრო.

მამა იეჟი შიმეროვსკი — ვალეს მოძღვარი, ეპარქიული მღვდელი, 1996-1997 წლის ზაფხულამდე, იწყებს რეგულარულად სიარულს.

მამა პავლე შჩეპანეკი — კამილიელი მღვდელ-მონაზონი, 1997- 1999. დაიბადა 1961 წლის 12 სექტემბერს პოლონეთში (*Kamienna Gyra*). კამილიელთა ორდენში შევიდა 1987 წელს, პირველი საბერმონაზვნო აღთქმენი დადო 1988 წლის 8 სექტემბერს. 1993 წლის 22 მაისს ეკურთხა მღვდლად ვარშავაში.

1993 წლის 1 აგვისტოდან მუშაობს დამხმარე მღვდლად პოლონეთში. შემდეგ, 1995 წლის ნოემბრიდან მიემგზავრება რომში, რათა მოემზადოს საქართველოში სამუშაოდ. იღრმავებს იტალიური და რუსული ენების ცოდნას და იწყებს ქართული ენის შესწავლას. ამავდროულად იგი პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის მსმენელია, რათა გაიცნოს აღმოსავლური საქრისტიანოს სულიერება და ლიტურგია. ემსახურება როგორც მღვდელი რომში პოლონელებს და სულიწმიდაში განახლების მოძრაობის წევრია. 1997 წლის 7 აპრილს რომიდან მამა პავლე მიემგზავრება თბილიში, პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარში“ სამუშაოდ. პოლიკლინიკის გახსნამდე ერთი წლის მანძილზე იგი მსახურობს სოფ. ხიზაბავრაში. ამ წლის განმავლობაში მას მეგზურობას უწევს თარჯიმნად ედვარდ გოგილაშვილი. იწყებს ეკლესიის რემონტს და პირველი მღვდელია, ვინც კომუნისტური პერიოდის შემდგომ სტაბილურად დამკვიდრდა სოფელში. აქედან იგი ჩადის აგრეთვე ვარგავში. თბილისში კამილიელთა ორდენის პოლიკლინიკის გახსნის შემდეგ (1998 წლის აპრილი) იგი გადადის დედაქალაქში, მაგრამ რეგულარულად, ყოველკვირეულად ჩამოდის ხიზაბავრასა და ვარგავში.

1999 წლის 21 ივლისს ავტოავარიამ იმსხვერპლა მოძღვარი, რომელსაც მთელი სოფელი დიდ პატივს სცემდა და რომელიც ძლიერ უყვარდა, მიუხედავად მისი ხანმოკლე მსახურებისა.

„მამა პავლე შჩეპანეკი ხიზაბავრის „იესოს გულის" სახელობის ეკლესიის მოძღვრად 1997 წელს დაინიშნა. იმთავითვე დაიწყო ზრუნვა თავის მრევლზე და ეკლესიაზე. უაღრესად შრომის მოყვარე ძალასა და ენერგიას არ იშურვებდა ეკლესიისა და მისი შემოგარენის მოწყობა-გალამაზებისათვის. მისმა დაუღალელმა გარჯამ განაცვიფრა მძიმე ფიზიკურ შრომას შეჩვეული ხიზაბავრელები. თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში (დაახლოებით ორი წელი) ბევრი რამის გაკეთება მოასწრო... და, რაც მთავარია, გულწრფელად შეიყვარა სოფელიც და მრევლიც. იმ სიყვარულს კარგად გრძნობდნენ ხიზაბავრელები. ამიტომაც იყო, რომ კვირიდან-კვირამდე ელოდებოდნენ თბილისიდან მის ჩამოსვლას. აფასებდნენ და მოსწონდათ მისი ვაჟკაცური ხასიათი: პრინციპულობა და სამართლიანობა, ჰუმანურობა და შრომის-მოყვარეობა, თავისი საქმის სიყვარული და მათდამი მზრუნველობა. ამიტომაც იყო, რომ თავზარდამცემი აღმოჩნდა მისი დაღუპვა ხიზაბავრის მცხოვრებთათვის. იმ დღეს, როდესაც მამა პავლეს ცხედარი მიასვენეს სოფელში, როგორც საკუთარი, ღვიძლი შვილი ისე დაიტირა სოფელმა იგი.

მამა პავლემ, თავისი ხანმოკლე მოღვაწეობით, ხიზაბავრის ისტორიაში ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა. „იესოს გულის" სახელობის ეკლესიას და მის ეზოს ახსივოსნებს მამა პავლეს სურათი. მისი დაღუპვის შემდეგ ჯერ მამა პავლე დილი და შემდეგ მამა ზიგმუნდი ყოველ წელს მამა პავლეს დაბადებისა და გარდაცვალების დღეს სამგლოვიარო-გასახსენებელ სიტყვას წარმოსთქვამენ და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. ხიზაბავრელებს შეახსენებენ, რომ იგი სიცოცხლის ბოლო წლებში მათ სამსახურში იყო და მათ სულებზე ზრუნავდა."[130]

მ. პავლე დილი — კამილიელი მღვდელ-მონაზონი, დაიბადა 1973 წლის 12 თებერვალს, 1994 წელს შევიდა კამილიელთა ორდენში, 1998 წელს დადო სამუდამო აღთქმები, ეკურთხა მღვდლად 1999 წლის 29 მაისს. საქართველოში ჩამოვიდა

1999 წლის დეკემბერს და ჩამოსვლისთანავე დაინიშნა ხიზაბავრაში იესოს ღმრთაებრივი გულის სამრევლოს წინამძღვრად, 2004 წლის დეკემბრამდე. 2005 წლიდან ეხმარება უდესა და არალში წინამძღვარს სამწყსო მსახურებაში. ორდენში დაკავებულია სნეულთა, ინვალიდთა, მრავალშვილიანი და დაობლებული ოჯახების დახმარებით თბილისსა და მესხეთში. მსახურობს კაპელანად წმ. კამილოს სახელობის ინვალიდთა ცენტრში. დაკავებულია აგრეთვე საბერმონაზვნო ცხოვრებისათვის კანდიდატების აღზრდით.

სამრევლოში მან ააშენა ვარგავის სნეულთა განმკურნებელი ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, გაარემონტა ხიზაბავრის ეკლესია, გახსნა წმ. კამილოს სახელობის საბავშვო ბაღი, გახსნა კარიტასის სახლი, გახსნა კარიტასთან ერთად მცირე სასოფლო მეურნეობა საბავშვო ბაღის შესანახად და უპოვართათვის რძის პროდუქტებით დასახმარებლად. კოორდინატორობს კარიტასის სამედიცინო პუნქტებს მესხეთში.

**მამა ზიგმუნტ ნიეჯვიეჯი** — კამილიელი მღვდელ-მონაზონი, დაიბადა 1969 წლის 15 აპრილს პოლონეთში ქ. კრასნოპუდში. სამედიცინო კოლეჯის დამთავრების შემდეგ შევიდა წმიდა კამილიოს სახელობის ორდენში. შემდეგ ვარშავაში სწავლობდა სემინარიაში (6 წლის მანძილზე), რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კამილიელების სახლში. 2002 წელს იგი ჩამოვიდა მამა პავლე დილთან ერთად თბილისში და დაიწყო მსახურება ხიზაბავრაში. 2003 წელს მიიღო დიაკვნის ხელდასხმა, ხოლო 2003 წლის 25 ნოემბერს ვარშავაში ეკურთხა მღვდლად, 2004 წელს იგი მიავლინეს ხიზაბავრაში მღვდლად და პარალელურად სომხეთში აშოცკის საავადმყოფოში. იგი დღემდე ერთგულად ემსახურება სამღვთო საქმეს.[131]

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ხიზაბავრაში წლების მანძილზე პერიოდულად მოღვაწეობდა აკაკი ჭელიძე (სემინარიის სტუდენტი — ამჟამად კათოლიკე მღვდელი), იგი დახმარებას უწევდა სოფელში მოვლინებულ უცხოელ კათოლიკე მღვდლებს ჯერ როგორც თარჯიმანი 1996-1999 წლებში, ხოლო 1999-2005 წლებში როგორც სემინარისტი და დიაკონი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე კათოლიკე მღვდელთა ხელმძღვანელობით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა სოფელში. უპირველესად მხედველობაში გვაქვს „იესოს გულის“ ეკლესიის აღდგენა, ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობა, ე.წ. მღვდლის სახლის თანამედროვე დონეზე მომზადება. საბავშვო ბაღის შენობის გამართვა და გახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ კამილიელთა მიერ განხორციელდა რამოდენიმე პროექტი. სოფელს დაუნიშნეს ექიმი-თერაპევტი, კბილის ექიმი და ექთანი, გახსნეს აფთიაქი, მოამზადეს საცხობი, ჭრა-კერვა შეასწავლეს ადგილობრივ მცხოვრებ ქალბატონებს. კათოლიკურმა ეკლესიამ უდიდესი დახმარება გაუწია სოფლის მოსახლეობას უმძიმესი ეკონომიური გაჭირვების პერიოდში. დღეისათვის მათ დასაქმებული ჰყავთ რამდენიმე ათეული ადამიანი. ამასთანავე, ყოველწლიურად – ივნისის თვეში აღნიშნავენ „იესოს გულის“ ეკლესიის დღეობას.



პავლე შჩეპანეკის დაბადების დღე ხიზაბავრაში –
2004 წლის 12 სექტემბერი

# ᲮᲘᲖᲐᲑᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ

საუკუნეების მანძილზე ხიზაბავრაში სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხდებოდა ჯავახეთში – ხიზაბავრაში შემოხიზვნა-დასახლება. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა მიგრაციასაც რის შედეგადაც ბევრი გვარის ხალხს მოუხდა ამ სოფლის დატოვება და სხვაგან გადასვლა. ამჟამინდელი მდგომარეობით ხიზაბავრაში შემდეგი გვარის ხალხი ცხოვრობს:

1. ადეიშვილი;
2. ანთაძე;
3. არაბაშვილი;
4. ბალიაშვილი;
5. ბაბელაშვილი;
6. ბალდოშვილი;
7. გოგალაძე;
8. გელაშვილი;
9. გორელიშვილი;
10. დათაშვილი;
11. ველიჯანაშვილი;
12. ზურაბაშვილი;
13. თენოშვილი;
14. თედორაძე;
15. თამაზაშვილი;
16. ივანიშვილი;
17. კელოშვილი;
18. კალაიჯიშვილი;
19. ლეკიშვილი;
20. მურადაშვილი;
21. მექოშვილი;

22. მელქონაშვილი;
23. მამუკაშვილი;
24. მაზმიშვილი;
25. მაზაშვილი;
26. პაპაშვილი;
27. პოსოშვილი;
28. პლაჭიაშვილი;
29. ტატურაშვილი;
30. ფეიქრიშვილი;
31. ფირფირაშვილი;
32. ფილიშვილი;
33. ქუქჩიშვილი;
34. ყრუაშვილი;
35. ყაზაშვილი;
36. ყირიმლიშვილი;
37. შემაზაშვილი;
38. ჭონიშვილი;
39. ხაზალაშვილი;
40. ხიხალაშვილი;
41. ხუციშვილი;
42. ხითარიშვილი.

როგორც ვხედავთ, შემორჩენილია ქართული გვარების ზედმეტი სახელები. ამასთან დაკავშირებით ილია მაისურაძე აღნიშნავს: „თურქ-ოსმალთა ბატონობის დროს (XVI-XVIII სს.) დადასტუ-რებულია, რომ ე.წ. გურჯისტანის ვილაეთის მოსახლეები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში იძულებულნი ხდებოდნენ დამპყრობთა კარნახით უკუეგდოთ ტრადიციული ეროვნული სახელ-გვარები და მიეღოთ თურქულ-სპარსული ზეწოდებანი, ეტარებინათ მეტ-სახელები."[132] ასეთი გზით შექმნილი მრავალი გვარ-სახელი შემორჩა ხიზაბავ-რაშიც. კერძოდ, კალაიჯიშვილი (კალაიჯი

თურქულია და ნიშნავს მკალავს), ქუჩიშვილი (ქურქჩი — თურქულად — ქურქების მკერავი), მელქონაშვილებს — დეგერმანათ უწოდებენ. ეს უკანასკნელი თურქულად წისქვილს ნიშნავს და ა.შ.

ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი გვარის ისტორია და სადაურობა. მაგალითად, გოგალაძეები გორიდან — ხიდისთავიდან არიან გადმოსულები, ყრუაშვილები რაჭიდან — სოფელ ხოტევიდან, ხუციშვილების ერთი შტოც მოსულია, ისინი გოდებაძეები ყოფილან, ტატურაშვილები — ტატუნაშვილები კასპიდან — ნოსტედან არიან.

ზოგიერთი გვარის ისტორიამ ლეგენდების სახით მოაღწია ჩვენამდე. კირილე მექოშვილის (84 წლის, 1989 წელი) გადმოცემით ტატურაშვილების გვარი უკავშირდება დალი —პავლე ტატუნაშვილს. ის ნოსტეში ერთი თავადის მოურავი ყოფილა, გლეხის ქალი მოსწონებია და თავადისათვის ჯვრისწერის ნებართვა უთხოვია. თავადს პავლე თავიდან მოუშორებია და საპატარძლოსთვის ნამუსი აუხდია. პავლეს თავადი ხანჯლით აუკუწავს, შემდეგ აყრილა და ხიზაბავრაში დამკვიდრებულა. გვარი ტატუნაშვილი კი ტატურაშვილად შეუცვლია. საინტერესოა აგრეთვე ლეკიშვილების გვარის ისტორიაც. უწინ ისინი ძირტკბილაძეები ყოფილან. ვანო ლეკიშვილი (85 წლის, 1987 წელი) გადმოგვცემს, რომ ლეკებს ერთ-ერთი თავდასხმის დროს სოფლიდან ერთი პატარა ბიჭიც წაუყვანიათ და გაუზრდიათ. ბიჭს შეჰყვარებია ლეკის გოგო, მათ ქალამნები უკუღმა ჩაუცვიათ და ისე გადმოსულან საქართველოში, სოფელში დაბრუნებულა თავის ნაფუძვარზე. ლეკებში რომ გაზრდილა ლეკიშვილი უწოდებიათ.

სოფელში ცხოვრობენ მაზმიშვილები. მაზმანი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით თოკის მგრეხავს ნიშნავს. სოფელში შინამრეწველობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული და არ არის გამორიცხული, რომ მათი წინაპარი აღნიშნული ხელობის ყოფილიყო.

რაც შეეხება ხიზაბავრელ კალაიჯიშვილებს მიხეილ ველიჯა-ნაშვილი გადმოგვცემს: „ხიზაბავრაში შემორჩენილი ძველი

გადმოცემის თანახმად კალაიჯიშვილების ნამდვილი გვარი ადრე აბაზაძე ყოფილა. ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს მკალავ გიორგის ჭობარელი ქალი შეურთავს ცოლად. წლისთავზე შეძენილი შვილი კალაიჯიშვილად ჩაუწერია.[133] მიხეილ ველიჯანაშვილი ასევე გადმოგვცემს ველიჯანაშვილების საგვარეულო ისტორიასაც. ველიჯანაშვილების წინაპარს გიორგი ჯანათს თავისი ოჯახით დაუტოვებია არტაანი, კერძოდ, სოფელი ველი (XV-XVI საუკუნეში) და ხიზაბავრაში დამკვიდრებულა. მის შვილს ემირგულს მშობლიური სოფლის სიყვარულის ნიშნად გვარისათვის წინ სოფლის სახელი დაუმატებია. რის შედეგადაც წარმოიშვა ახალი გვარი ველიჯანაშვილი. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ „გურჯისტანის ვილაეთის დავთარში" ხიზაბავრის ერთ-ერთ მოსახელედ იხსენიება ველიჯანა ემირგულის ძე.[134]

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ხიზაბავრულ გვარზე საინტერესო ცნობებია დაცული ივანე გვარამაძის არქივში. კერძოდ, მისი ცნობით XVII საუკუნის დასასრულს, როდესაც ოსმალები შემოიჭრნენ სამცხეში, მათ აუყრიათ სოფელ აწყურის მოსახლეობა. მათ შორის ზოზოშვილები — ყოფილი გვარამაძეები. მათი ერთი შტო სოფელ ხიზაბავრაში დამკვიდრებულა. ერთ-ერთ ზოზოშვილს შვიდი ვაჟი ჰყოლია: დათა, ზურაბი, ლეკო, გელა, მამუკა, გორელი, და მექო. ისინი მამის გარდაცვალების შემდეგ გაყრილან და ცალ-ცალკე კომლად დაწერილან. მათი სახელები კი მათ შთამომავლობას თავიანთ გვარად გაუხდიათ. ე.ი. ასე წარმოშო-ბილა ახალი გვარები: დათაშვილი, ზურაბაშვილი, ლეკიშვილი, გელაშვილი, მამუკაშვილი, გორელიშვილი, მექოშვილი. ე.ი. ივანე გვარამაძის მტკიცებით დასახელებული გვარების ძირი გვარი გვარამაძე ყოფილა.[135]

არსებობს გოგალაძეთა გვარის ხიზაბავრაში გადმოსვლის მეორე ვერსიაც. მთხრობელის (სპარტაკ გოგალაძე, 2008წ.) გადმოცემით მათი გვარი გორიდან — ციხისძირიდან გადმოსულა. ერთ ბატონს რძალ-დედამთილი უღელში შეუბამს როცა მამაკაცები სამუშაოდ ყოფილან ტყეში. სახლში დაბრუნებულებს რომ გაუგიათ ბატონის ავკაცობა, არ უპატიებიათ, მისთვის ყელი გამოუჭრიათ და გადმოსახლებულან ხიზაბავრაში.

XX საუკუნის დასწყისში, კერძოდ, 1900 წელს სოფელ ხიზაბავრაში ცხოვრობდა 150 კომლი — 2000 მცხოვრებით. ამავე პერიოდში გაძლიერდა მიგრაცია, რაც მრავალი მიზეზით აიხსნება: ერთ-ერთ ძირითად მიზეზს მიწის სიმცირე წარმოადგენდა. კონსტანტინე გვარამაძე თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვრცლად საუბრობდა ხიზაბავრელთა მცირემიწიანობაზე. მიუთითებდა, რომ ამ სოფლის მოსახლეობა გასაჭირში ჩავარდნილა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობას მათთვის ჩამოურთმევია ზედაველის მთა (ბაკურიანის ახლოს), სადაც ზაფხულში მიჰყავდათ საქონელი. კ. გვარამაძის თქმით, ხიზაბავრის მოსახლეობას იმდენად გასჭირვებია, რომ მთავრობას სხვაგან გადასახლებასაც კი სთხოვდნენ: „ამის მსურველი 40 კომლზე მეტია, რომელთაც უფრო არტაანის მხარეში სურთ გადასახლება — სოფელ ველში, რომელიც უწინ სოფლათ ყოფილა და ახლა კი ნაოხრათ არის დარჩენილი“[136] ეს ის ველი იყო, საიდანაც XIX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა იქ მცხოვრები ქართველების სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწორედ ამ სოფელს უკავშირდება ველიჯანაშვილების გვარის წარმოშობაც.

ხიზაბავრიდან მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი თურქ-ოსმალთა შემოსევები იყო. ცნობილია, რომ 1919 წელს თურქთა მორიგი თავდასხმის დროს, როცა ხიზაბავრის მოსახლეობას კვლავ მოუხდა გახიზვნა, 100 კომლი კახეთში დარჩა და დაარსა სოფელი ხიზაბავრა (ე.წ. გურგენია), მიხეილ ველიჯანაშვილის ცნობით გადმოსახლებულნი ყოფილან ვასო, პეტრე, პავლე, ბაგრატ, ალექსანდრე და მარო ისკანდარაშვილები. ამ გვარის ხალხს სოფელ ხიზაბავრაში მას შემდეგ არ უცხოვრიათ. ამდენად, ისკანდარაშვილები ხიზაბავრიდან გადასულ გვართა რიცხვს ეკუთვნის. 1894-95 წლებში გორის რაიონის სოფელ ახალხიზაში დასახლდა დომინიკე მულაშაშვილის თაოსნობით 20 ოჯახი და მოგვიანებით 1911 წელს კი 30 ოჯახი. აღნიშნული ფაქტის შესახებ კონსტანტინე გვარამაძე კორესპონდენციით, ჯერ კიდევ 1908 წელს, საზოგადოებას აუწყებდა: „ამჟამად ხიზაბავრიდან 30

კომლი მიდის გორის ახლოს სოფელ სკრაში, სადაც თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მამულებს ყიდულობენ: 400 დესეტინა სახნავ-სათესი და სავენახე ადგილებია, 40 დესეტინა სათიბი ჭალები და 1 დესეტინა ტყე, სულ 40 ათას მანეთად ყიდულობენ."[137] კერძოდ, ახალხიზაში გადასულან: მამუკაშვილები, ბალიაშვილები, მურადაშვილები, მაზმიშვილები, კაკაშვილები, სეფიშვილები.[138] ამავე პერიოდში — 1922 წელს რამოდენიმე ოჯახი გადასახლდა ახალქალაქის რაიონის სოფელ გოკიოში. მთხრობელთა გადმოცემით სოფელ ხიზაბავრიდან ამ სოფელში გადასახლებულან: ხუციშვილები, ჭონიშვილები, პაპაშვილები, მურადაშვილები, ველიჯანაშვილები. ამ ფაქტის შესახებ ცნობას გვაწვდის ნიკო ბერძენიშვილი: „გოკია 1918 წლამდე თურქული სოფელი იყო. აქ ყარაფაფახები ცხოვრობდნენ, 1918 წელში აყრილან ისინი. მათგან მხოლოდ ოთხი კომლიღა დარჩენილა. წასულთ ადგილი დაუჭერიათ სომხებს, ქართველებს, ოსებს, ბერძნებს. ქართველები სამცხიდან მოსულან: ანდრიაწმინდიდან, ხიზაბავრიდან, არიან ჯავახეთის გოგაშნიდანაც."[139] 1908 წელს ხიზაბავრიდან შვიდი კომლი საცხოვრებლად გადასულა სოფელ აბში — ახალციხის მახლობლად.[140]

როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა ხიზაბავრიდან მოსახლეობის მიგრაციას ადგილი ჰქონდა არამარტო საქართველოს შიგნით, არამედ გარეთაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ივანე გვარამაძე: „მრავალი შეწუხება და ტანჯვა-სიგლახაკე მოუთმენიათ ოსმალობის მძლავრობისაგან, მრავალი შეძლებული კათოლიკობა გარდახვეწილან მოზდოქს, აშტრახანს, ვლადიკავკავს და სხვაგანაც ამ ხიზაბავრითგან".[141]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსახლეობის მიგრაციის საფუძველზე ამჟამინდელი მდგომარეობით მრავალი გვარი აღარ ცხოვრობს ხიზაბავრაში. მაგალითად: მაღრაძეები, გვარამაძეები, მაზნიაშვილები, ზუბალაშვილები, კაკაშვილები, სეფიშვილები, მანველიშვილები, თარხნიშვილები, ისკანდარაშვილები, მულაშაშვილები და ა.შ. ივანე გიორგის ძე მანველიშვილ-ზაქროშვილის გადმოცემით სოფელ ვალეში მცხოვრები მანველიშვილები —

გიქორათების შტო გადასულები ყოფილან ხიზაბავრიდან. ხოლო ვალედან გიქორათების შტო გორშიც გადასულა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ზუბალაშვილები სოფელ ხიზაბავრაში XVII საუკუნის დამლევს დასახლებულან. აქ უცხოვრია იოსებ ზუბალაშვილის ოჯახს. მეფე თეიმურაზი და ერეკლე ყოველნაირ პატივს ანიჭებდნენ მის შვილს – მერაბს (1700-1781წწ.). სწორედ იგი გადასულა საცხოვრებლად გორში. გორის კათოლიკეთ მოძღვარის დასაბუთებით „1781 წელს მერაბი ზუბალაშვილი ხიზაბავრელი გარდაიცვალა 80 წლისა“.[142]

სხვადასხვა დროს სოფელ ხიზაბავრიდან მოსახლეობა საცხოვრებლად გადასულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხესა და რაიონში. მაგალითად XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში მრავლად მოიპოვება ცნობები ჯავახეთის ქართული სოფლებიდან მოსახლეობის ნებით თუ ძალით გადაყვანის შესახებ... კერძოდ, ხიზაბავრიდან, ბარალეთიდან, კოთელიიდან... ამ ხალხს უკეთეს პირობებს ჰპირდებოდნენ ქართლში, თუმცა უკან დაბრუნების მსურველებიც ყოფილან. ამჟამინდელი მდგომარეობით ხიზაბავრელთა დიდი დიასპორა ცხოვრობს: თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზესტაფონში, ახალციხეში, ოზურგეთში, გორში, გამარჯვებაში (გარდაბანის რაიონი), აწყურში, თისელში (ახალციხის რაიონი), ფხეროში, ქიქინეთში, აბასთუმანში, ვარხანში (ადიგენის რაიონი), მთისძირში, სანავარდოში, ყვარელში, ბაღდადში, ქარელის რაიონში, ახალხიზაში და ა.შ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს საქართველოს არცერთი კუთხე და სოფელიც კი, სადაც არ ცხოვრობდეს სოფელ ხიზაბავრიდან გადასული ოჯახი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხიზაბავრიდან ახალგაზრდობის მიგრაციას წლების მანძილზე ხელს უწყობდა ისიც, რომ სოფლის პირობებში შეუძლებელი იყო უმაღლესი განათლებით სხვადასხვა სპეციალობის მქონე ახალგაზრდების დაკავება-დასაქმება.

# ხიზაბავრა დიდი სამამულო ომის წლებში

სოფელს დიდი დაღი დაამჩნია დიდმა სამამულო ომმა. ხიზაბავრიდან ომში გაწვეული იყო ხუთასზე მეტი ვაჟკაცი. 116 ბრძოლის ველზე დარჩა. ომგადახდილთა შორის იყვნენ I ჯგუფის ინვალიდები: სიმონ იაკობის ძე დათაშვილი, მიხეილ აბრამის ძე პაპაშვილი, ლაზარე გაბრიელის ძე თამაზაშვილი, მახარე მელქონის ძე მელქონაშვილი, ივანე ვასილის ძე ყრუაშვილი, მიხეილ ივანეს ძე ზურაბაშვილი. ასევე იყვნენ მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდები: პავლე გაბრიელის ძე მურადაშვილი, სიმონ თომას ძე ველიჯანაშვილი, მიხეილ სერგოს ძე მამუკაშვილი, ლევან ველიჯანაშვილი, ალიოზ ვასილის ძე ფეიქრიშვილი, მიხეილ იოსების ძე თამაზაშვილი, პავლე გაბრიელის ძე შემაზაშვილი, რაფიელ იოსების ძე ველიჯანაშვილი, გიგილო სოლომონის ძე მაზმიშვილი.

მათ შორის იყვნენ „დიდებისა“ და „წითელი ვარსკვლავის“ I და II ხარისხის ორდენების მფლობელნი, სხვადასხვა მედლებით დაჯილდოებულნი, ორივე ფრონტის მონაწილენი. ბევრ მათგანს ჰქონდა მიღებული მთავარსარდლის მადლობა. ხიზაბავრელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში. იქ იყო მრავალი ოჯახი, საიდანაც მამაკაცები თითქმის სრული შემადგენლობით იყვნენ გაწვეულნი ომში. მაგალითად, გიორგი მექოშვილის შვიდი ვაჟიდან ხუთი იბრძოდა ფრონტზე, მათ შორის სამი — პავლე, სტეფანე და გაბრიელი ველარ დაუბრუნდა ოჯახს.

ომში დაღუპული 116 მეომრის უკვდავსაყოფად ხიზაბავრის მკვიდრის მიხეილ ველიჯანაშვილის ინიციატივითა და ხიზაბავრის მოსახლეობის დაუღალავი შრომით 1972 წელს სოფლის შესასვლელში აღმართული იქნა ობელისკი. 22 მეტრის სიმაღლის მარმარილოს დაფაზე ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შინმოუსვლელთა გვარები, აქვეა მათი ფოტოსურათებიც. დურმიშხან ცინცაძე (მ. ველიჯანაშვილის წიგნის — „ხიზაბავრის მეგზური“ — რედაქტორი) სამართლიანად მიუთითებს,




დიდების სახლი

რომ მიხეილ ველიჯანაშვილმა ობელისკი არქიტექტორულად დაგეგმა, ააგო და თავისივე სიტყვებით დაამშვენა:

მესხნო კეთილნო, ქებულნო,
ეს ძეგლი სოფლის გულია,
დავგეგმე, ტრფობით ავაგე,
ჩავუდგი ხალხის სულია.[143]

შეიძლება ითქვას, რომ ობელისკი ერთგვარ მუზეუმს წარმოადგენს, რამდენადაც იქ გარდა დასახელებული მასალისა განთავსდა სოფლის ისტორიის ამსახველი ფოტოდოკუმენტური მასალაც. კერძოდ, ხიზაბავრელ და აქ მოღვაწე მამულიშვილთა ფოტოები. ობოლესკის ეზოში დაკრძალულია იოსებ ხუციშვილი, აქვეა თავმოყრილი ეთნოგრაფიული მასალაც (დარნის კარები, ზეთის სახდელი, წისქვილის დოლაბი და ა.შ.)




მიხეილ ველიჯანაშვილი

* * *

და ბოლოს მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის ხიზაბავრისა და ხიზაბავრელთა დახასიათებას:

*„შესანიშნავი ისტორია აქვს ამ სოფელს და მის მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებს. მრავალი ტანჯვა უნახავთ მტერთაგან, მაგრამ თავიანთ დღეში სჯულისათვის კი არ უღალატნიათ, ნაცვლად ამისა იგინი მედგრად ამხნევებდნენ თავის ახლო-მახლო მდებარე ქართველ მართლმადიდებელ სოფლელებსაც, რომ ამათაც მათებურად შეენახათ ქრისტიანობა, არ დაკავშირებოდნენ ისლამს. მამა-პაპის ხსოვნა და გვაროვნება არ გამქრალიყო მათში...*

*ურთიერთშორის მეგობრობა და ნათესაობაში ძრიელ განწყობილნი და კეთილთვისებიანი არიან. მათში კაცს და ქალს ფლიდობა, მზაკვრობა, მტრობა და შური სულ არა აქვსთ, გინება-ლანძღვა, ლოთობა, მეძაობა მთლად მოსპობილია. ყოველივე სრულდება ძველ პატიოსნურად, წყნარად და კეთილთვისებიანათ. ლაპარაკში და ზრდილობაშიც ჩენილნი არიან, ბევრ რამ სანაქებო თვისება სჭირთ, ქართლ-კახეთის გლეხკაცობაზედ იგინი ბევრის რამით სდგანან მაღლა. კათოლიკობას მტკიცედ იფარვენ, უკანასკნელ წელს კარგათ შეიტყვეს, რომ იგინი სარწმუნოებით კათოლიკენი არიან, ხოლო ტომით ქართველნი, საქართველოს შვილნი..."*[144]

# ხიზაბავრისადმი მიძღვნილი ლექსები

## პეტრე ფერაძე



დაიბადა სოფელ ხიზაბავრაში. ამჟამად ცხოვრობს ასპინძაში. მისი პოეზიის მუზა მშობლიური სოფელია, გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „ერთი უბრალო ქოხი მაქვს“ და „ობოლეთი“

## ჩემი ხიზაბავრა

ამ ჩემსა სოფელსა ისტორია აქვს მდიდარი,
მესხეთის განაპირა დგას გარშემო აკრავს მთა-ბარი,
ოდითგან განაწამები, აოხრებული ლეკისგან,
შემდეგ თურქეთს და ოსმალეთს გადარჩენილი
ბეწვითა.

მერე მოსცილდა წამება, ამოისუნთქვა შვებითა.
მე, სიმართლისა მთხრობელი, თავს არ შეგაწყენთ
ქებითა,
სოფელი განსხვავდებოდა სხვებისგან შედარებითა,
იქ თურქი, თუნდაც სხვა ერი, ვერ ისუნთქვებდა
შვებითა.

უვლიდნენ თავის ბაღ-მინდორს, დასტრიალებდნენ ცხენითა,
ვინც კი მოყვრულად ესტუმრა, წინ უხვდებოდნენ ძღვენითა.
ასმევდნენ, დააპურებდნენ სიცილითა და ლხენითა,
ვაჟკაცნიც ბევრნი გააჩნდათ აუწერელი ენითა.

მოჭიდავე თუ მოკრივე, იქ, საამაყო სოფლისა,
დღესაცა მოსდგამს სოფელსა ის ფხა და ძველი წესიცა,
სათქმელსა პირწინ გიამბობს, არა ზურგსუკან წყევლითა,
ეს ამოდენა სოფელი დაჩაგრულია ბედითა.

ბევრი სხვა მხარეს წავიდა, დარჩა იქ თავის ნებითა,
მოიგონებენ ძველ წარსულს, ერთურთს უხმობენ წყენითა,
სად, რომელ მხარეს არ ცხოვრობს წასული თავის ნებითა,
არ ივიწყებენ ძველ სოფელს, მამა-პაპისგან ქებულსა.

თავიანთ ვენახს თუ ტერასს, იმ მამა-პაპის ძველ კერას,
მოდიან, მოაკითხავენ, ბიძაშვილს, მამიდაშვილსა,
ხელი-ხელ გადახვეულნი უსხედან სუფრას გაშლილ-სა,
ჩემს ხალხში ეს სიყვარული ოდითგან დღემდე მოდისა.

სულით ძლიერი ბიჭები იმ წინაპრების მოდგმისა,
დავითნი, თუნდ იაკობნი ისევ ზღვასავით მოჰქრისა,
არ იკარგება გენები, ისევ უცვლელად მოდისა.

## ᲝᲑᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ

შენ, ობოლეთო, ობლების ღმერთო,
მაგ უღრან ტყეში, შენ, ერთადერთო,
წინ ცივი წყარო, ირგვლივ ვერხვები,
გარტყია მცველად ვითა მხედრები.

ერთ დროსა ჰქუხდი, იყავ მორთული,
ტანთ კაბა გეცვა ძველი ქართული
გულს ვარდი გესხა ზამთარ-ზაფხული,
ობოლ ბავშვების იყავ მსახური.

მომხიბვლელი ხარ, არ მეორდები,
კვლავ შენთან ვნატრობ, მიმძიმს, გშორდები.

## ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ

მიყვარს ეს მთები, მიყვარს ეს მხარე,
რადგან ბავშვობა აქ გავატარე.
ეს ჩემი გული სად არ ვატარე,
მე სხვა მიწაზე ვერ გავახარე.

მიყვარს ფერდობი, ნაცნობი გზები,
გავცქერი მაღლა თოვლიან მთებსა.
იმ დაკლაკნილსა ბილიკს და გზებსა,
ისევ ვიხსენებ იმ განვლილ წლებსა.

სად თიკან-კრავი გვიბალახნია,
სად მინდვრის მარწყვი დაგვიკრეფია,
სად უწყლოობით გაგვჭირვებია,

ქვის კოპინებში დაგვილევია.
ეს მოგონება, ო, რა ტკბილია,
როცა ვიგონებ, არ მაქვს ძილია,
რა უცებ გაჰქრა ვითა ჩრდილია,
გამეორდება? — არა, ტყვილია.

იქ ჩემი კერა მუდამ თბილია,
დარბაზი ჩვენი მუდამ გრილია,
იქ დასვენება საამურია,
უკეთესი რომ, მართლაც, ტყვილია.

## ჩემი სოფლის ბილიკი

ფეხით მივყვები ჩემ სოფლის გზას,
გამოვიარე მთები და ველი.
მუდამ მიზიდავს ბილიკი მისი,
თუნდაც ვიცოცხლო მე ასი წელი.

ეს სიყვარული მაშინ ჩამიჯდა,
როცა მის კალთებს ფეხი დავადგი,
მე მსიამოვნებს აქ სიარული,
როცა აქ მოვალ ვარ მხიარული.

## შალვა კელოშვილი-ჩიხორიშელი



დაიბადა სოფელ ხიზაბავრაში. ამჟამად ცხოვრობს ადიგენში. არის ადიგენის რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის უფროსი, წლების მანძილზე იყო ქ. ახალციხის და ქ. გორის თეატრების მსახიობი. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: ,,ცოტაც დაქალდი და...“ და ,,ვაზს ცრემლები ვინ სწმინდოს“.

### ხიზაბავრელებია

კვნესის მოშოს დუდუკი
ცეკვავენ და მღერიან,–
დავითობას ღრეობენ
ხიზაბავრელებია!
— ღარიბაანთ საყდართან
წყარო ავაზნებია, —
,,საჯილდაოდ“ მოსულან
ხიზაბავრელებია!
— მიწის ქვეშა ქალაქი
,,ორმო ნადარნებია“
მტერს არ შეშინებია,
მტერს არ დანებებია,
— ასპინძას თუ ტაშისკარს
დიდი ომი რგებიათ
ულალატნო ქართველნი
ხიზაბავრელებია!
— შრომაში თუ გარჯაში
სად არ შემოგხვდებიან
ნაღდი ჯავახებია
ხიზაბავრელებია!

## ᲮᲘᲖᲐᲑᲐᲕᲠᲐᲕ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲮᲐᲠ

სამყინვაროს კაკაბია
გნოლი ხმელ-ხევს კივისაო
აგერ! ჩემი ჩიხორიში, —
— აი, ჩემი ხვილიშაო.
ობლის ხევზე ფუტკარია,
თაფლი წვეთავს ივლისსაო,
გაშხლართულა წვერზე ვაკე
ნისლი აწევს დილისაო.
სატაცური, ატაცულა
ხარ-ირემი ყვირისაო!
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო
არ გერიოს ხვილიშაო“.
ვენახებში დარანია
საწურავი ღვინისაო
ილვენთება, დალოცვილი,
ტუჩ-დამსკდარი ხიხვისაო.
ხიზაბავრავ ლეგენდა ხარ
ჭირისა და ლხინისაო
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო
არ გერიოს ხვილიშაო“.

8/X 2007წ.

# რა კარგი ხარ ჩიხორიშო

კოდის ხევზე მოწანწკარებს
ფიქლის წყარო, ფიქრისაო, –
უკვდავების კი არა დის
როგორც რაში მიჰქრისაო,
– სამყინვაროს კაკაბია
დედა შვილებს ითვლისაო,
არემარე აუკლია
კაკანსა და წივწივსაო.
– ჭობაურას მზე ანთია
ხმელ-ხევს ყანა იწვისაო
ო, ყვავიანს ბავრელებო
რა ჭერამი იცისაო.
– დამალას ხევს ვაზი ყრია
ხერთვისულას ხიხვისაო
მთელ დუნიას არსით არის
მისი მოდგმა-ჯიშისაო, –
– მისი წვეთით ნალოცვი ვართ
ღმერთმა ასე იცისაო
მესხები ვართ, მესხურ მიწას
გაუტეხელ ფიცისაო.
– ხიზაბავრავ გენაცვალე
წინ მინდორო, უკან ტყეო
„რა კარგი ხარ ჩიხორიშო
არ გერიოს ხვილიშაო“.

დ. ადიგენი
25/VI 20008წ.

# პეტრე მექოშვილი



დაიბადა სოფელ ხიზაბავრაში. ამჟამად ცხოვრობს ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას — მათემატიკოსია, გამოცემული აქვს ლექსთა კრებულები.

## მაგონდება

ჩემი სოფელი ხიზაბავრა მოვინახულე

სიჭაბუკის ნაფეხურებს ავედევნე,
უკან დამრჩა ნახევარი საუკუნე,
მაგონდება კაფანდარა მეხრე ბიჭი —
დაკარგული ახლა ძლივს რომ დავიბრუნე.
მაგონდება კუნთმაგარი გუთნის დედა,
სოფლის მთვარე განთიადზე რომ დამდნარა,
მაგონდება ნიშა ხარის მშვიდი ფშვინვა,
ღირღიტოზე დახვეული ის ჯამბარა.
ტკბილი იყო მაგონდება იმ ურმულის,
სოფლის თავში მეურმე რომ ღიღინებდა,
პურის ჭამა ქარაფების ნიავქართან,
სოფლის რუ სათავეს რომ იქ ილებდა.
მაგონდება დაგრეხილი ბილიკები,
მე ის ვნახე, ზღაპარი რომ ცხადი გახდა,
მაგონდება ხევის გაღმა, ღრმა ტაფობში
უცხო ვინმე ჩემი ხმით რომ მე მეძახდა.
მაგონდება სათივეში ღამის თევა,

სურვილი აქვთ რომ პირველ ცისკარს ნახავს,
დგება ჟამი, დღე და ღამის გასაყართან,
განთიადის მოლოდინში სულს რომ ნაბავს.
მაგონდება ჩემი სოფლის სკოლის ზარი,
ის პირველი გაკვეთილი მენატრება,
მაგონდება ის ქურდული გამოხედვა
და კუდრაჭა ერთი გოგო მელანდება.
პაწაწინა ნაფეხურებს აველევნე,
ნახევარი საუკუნე გაპარულა,
დამიბრუნეთ შორს წასული სიყმაწვილე,
დარჩენილი ის სათქმელი, ჯერ არ თქმულა.

840-842 წლებში არაბებმა ორჯერ გაილაშქრეს საქართველოში ხალიდ იაზიდისძის სარდლობით. მესამე გამოლაშქრება ჩვენს ქვეყანაში არაბთა ცნობილი მხედართმთავრისათვის საბედისწერო გამოდგა. აშოტ კურაპალატის შვილის ბაგრატ მეფის მხედრიონმა გვარამის მეთაურობით, ხიზაბავრაში ტრიალ მინდორზე გამართულ ბრძოლაში ხალიდს ხმლით თავი გააგდებინა. მტრის სისხლით მოირწყა ხიზაბავრის მინდორი, რის გამოც ადგილობრივი მკვიდრნი დღესაც „სისხლუანებს“ უწოდებენ.

(ლიტ. ავტორი მ. ველიჯანაშვილი, „ხიზაბავრის მეგზური“ 1982წ.)

## ხალიდ

ეს მესამეჯერ შემოიჭერთ
ტაოს და კლარჯეთს,
იქ გამოსჭერით, კურაპალატო,
მზაკვრულად ყელი,
არაბთა ურდომ ვერ გატეხა,
ციხე ხერთვისის,
ქართველთა სისხლით დაიბანეთ,
ურჯულოვ, ხელი
ეს მესამეჯერ გადათელეთ
სამცხის კოშკები,
ქრისტეს მორწმუნეთ სამობით აქვთ
თურმე დაცდილი.
სამების მადლმა არ შეგინდოთ
ყველა ცოდვები,
შურისძიების ფიალაა
ახლა დაცლილი,
აქ, ხიზაბავრის ვრცელ მინდორზე
დაგიგეს მახე
და ამ ლოდინში არ გასულა
